ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ღია საზოგადოების ფონდი

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე

კვლევის ანგარიში
2020 წელი

კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე

კვლევის ავტორები

გავინ სლეიდი - საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა;

ანტონ (ტატო) ქელბაქიანი და **ნატალია ცაგარელი** - ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა, დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება.

სოციოლოგი

იაგო კაჭკაჭიშვილი - თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება.

2020 წელი

წინამდებარე კვლევა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის” მიერ. კვლევა ჩატარდა „ღია საზოგადოების ფონდის“ პროექტის - „კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე“ და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - ,,ხელისუფლების ვალდებულებების მონიტორინგი და რეფორმების ხელშეწყობა პენიტენციურ და პრობაციის სფეროში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ - ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებლები არიან ავტორები და ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირისა და „ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას.

კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით არასამთავრობო ორგანიზაციებს:

“წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT);
იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“;
„უფლებადამცველი“;
„ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“;
„საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრი თანადგომა”.

სარჩევი

შესავალი.....9

კვლევის მიზანი.....9

კვლევის ამოცანა.....9

კვლევის მეთოდოლოგია 10

ა) საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა.....10

ბ) ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა.....10

თვისებრივი კვლევა.....10

კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი.....10

გ) დასკვნა და რეკომენდაციები.....11

კვლევის შეზღუდვა.....12

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი.....12

1. შესავალი.....12

2. მთავარი კონცეფციები: პატიმართა მორალური კოდექსები, თვითმმართველობა და კრიმინალური სუბკულტურა.....13

ა) ყველა პატიმართა საზოგადოება ქმნის პატიმართა კოდექსს.....13

ბ) ზოგიერთი ციხის საზოგადოება აყალიბებს „მტაცებლურ“ (PREDATORY) ან გადარჩენაზე (SURVIVAL) ორიენტირებულ თვითმმართველობას.....14

გ) პატიმართა ცენტრალიზებული თვითმმართველობა მტაცებლურ ფორმას იძენს მისი ავტონომიურობის, უნარიანობის და ავტორიტეტის მიხედვით.....14

დ) „კრიმინალური სუბკულტურა“ ცენტრალიზებული თვითმმართველობის ფორმაა...15

ე) „კრიმინალური სუბკულტურა“ საბჭოთა მემკვიდრეობაა.....16

ვ) ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში „კრიმინალური სუბკულტურის“ „ავტონომია“, „უნარი“ და „ავტორიტეტი“ განსხვავებებული ფორმებით გვხვდება.....17

3. კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შედეგები.....17

ა) მტაცებლური თვითმმართველობა განაპირობებს პატიმართა შორის ძირითადი უფლებების არათანაბარ დაცვას.....18

ბ) კრიმინალური სუბკულტურა, როგორც დამოკიდებულების წყარო.....18

გ) კრიმინალური სუბკულტურა აუარესებს ციხის გარემოსა და ატმოსფეროს.....19

4. კრიმინალური სუბკულტურის ხელშემწყობი პირობები.....19

ა) რაც უფრო დიდი ზომის არის ციხე და რაც მეტ პატიმარს იტევს, მით უფრო იზრდება კრიმინალური სუბკულტურის პოტენციური ძალა.....19

ბ) ციხის პერსონალისა და პატიმრების არაპროპორციული თანაფარდობა კრიმინალურ სუბკულტურას აძლიერებს.....20

გ) პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის უნდობლობა ხელს უწყობს კრიმინალურ სუბკულტურას.....20

დ) ინფორმატორების ფართოდ გამოყენება დინამიკურ უსაფრთხოებას აფერხებს.....21

ე) ციხის პერსონალს გააჩნია საკუთარი სუბკულტურა, რომელიც კრიმინალურ სუბკულტურასთან შეიძლება თანაარსებობდეს.....21

ვ) ციხეების სათანადო რესურსებით აღჭურვა შეაჩერებს კრიმინალური ლიდერების მიერ „შავი ბაზრების“ მართვას.....22

ზ) ბარაკული ტიპის არქიტექტურა და საცხოვრებელი პირობები კრიმინალური სუბკულტურის აღმოცენებას უწყობს ხელს, თუ პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი, მაგრამ არც სასაკნე ტიპის დაწესებულება წარმოადგენს პანაცეას.....22

თ) დაკანონებული წახალისების მექანიზმები მნიშვნელოვანია კრიმინალური სუბკულტურის მიმზიდველობის შესამცირებლად.....23

ი) პატიმრების გადაყვანა დაწესებულებებს შორის კრიმინალური სუბკულტურის გავრცელების საზღვრებს აფართოებს.....23

კ) პერსონალის კორუფცია დიდწილად უწყობს ხელს კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებას.....24

ლ) საქართველოს პენიტენციური სამსახურის ზემოთაღნიშნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში უნდა აღინიშნოს კრიმინალური სუბკულტურის არსებობის შესახებ და განისაზღვროს მისი დაძლევის პოლიტიკა.....25

5. „მტაცებელი“ თვითმმართველობის პრევენციის სტრატეგიები.....26

ა) კონტროლზე ორიენტირებული მოდელი ბანდების აქტივობებს ამცირებს, თუმცა შესაძლოა ქონდეს ნეგატიური შედეგებიც.....26

ბ) საქართველოს მცდელობა განეხორციელებინა კონტროლზე დაფუძნებული მოდელი.....27

გ) თანამმართველობის მოდელი უფრო იაფი ჯდება და ადამიანის უფლებების დაცვასაც მეტად უზრუნველყოფს.....27

დ) თანამმართველობის ფორმა პრობლემური აღმოჩნდა აშშ-ს, რუსეთისა და ფილიპინების ციხეებში....28

ე) თანამმართველობის წარმატებული მოდელები ახდენს ციხის გარემოს დემოკრატიზაციას და უზრუნველყოფს სამოქალაქო ზედამხედველობას და საზოგადოების ჩართულობას....29

ვ) კონტროლზე ორიენტირებული მოდელები ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, შეიძლება წინააღმდეგობას შეხვდეს, რადგან პატიმართა თვითმმართველობა სასჯელის ცნების ისტორიული და კულტურული ასპექტია....29

6. დამატებით საკვლევი საკითხები....30

ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზი....31

ა) არაფორმალური ჯგუფების სტრუქტურა პენიტენციურ დაწესებულებებში....31

- იერარქია....31
- სტატუსის მინიჭების და დაკარგვის წესი....34
- იერარქიული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა....35
- პატიმრების მოტივაცია, თავი მიაკუთვნონ კონკრეტული გავლენის ჯგუფს....36
- გავლენის მქონე ჯგუფები/განსხვავება დაწესებულების ტიპების მიხედვით....38

ბ) არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა დაწესებულების მართვაში....39

- პატიმრებს შორის ურთიერთობა....43
- სუბკულტურული წესების მდგრადობა....45
- არაფორმალური ჯგუფების ჩართულობა უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფაში....46
- არაფორმალური ჯგუფების ჩართულობა პატიმართა მიღება-განთავსების ეტაპზე....47
- არაფორმალური ჯგუფების გავლენა გასაჩივრების პროცედურაზე....48
- არაფორმალური ჯგუფის წევრების როლი პატიმრებს შორის კონფლიქტების მოგვარებაში....49
- სუბკულტურის გავლენა საგანამანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვაზე....49
- არაფორმალური ჯგუფების გავლენა სამედიცინო სერვისის მიწოდებაზე....51
- არაფორმალური ჯგუფების გავლენა სხვა პროცესებზე....51

გ) კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ძალადობის წყარო....52

• პატიმრებს შორის ფიზიკური ძალადობა.....52

• პატიმრებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობა.....53

• პატიმრებს შორის სექსუალური ძალადობა.....54

• პატიმრებს შორის ეკომონიკური ძალადობა.....54

• ადმინისტრაციის რეაგირება ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.....56

• ძალადობრივი გარემოს შედეგები პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.....57

• პენიტენციური დაწესებულების პერსონალზე ძალადობა.....58

დ) რესპონდენტების მოსაზრებები სამომავლო ნაბიჯებთან დაკავშირებით.....58

• კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური ჯგუფების გავლენის შემცირების შესაძლო შედეგები.....59

• პატიმრების გამოყენება დაწესებულების მართვის პროცესში.....60

ე) ადგილობრივი პრაქტიკის კვლევის ძირითადი მიგნებები.....61

დასკვნა და რეკომენდაციები.....65

ა) კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ფენომენი.....65

ბ) დიდი ზომის ციხეები.....66

გ) პატიმართა ჩართულობა დაწესებულების მართვის პროცესში.....67

დ) მატერიალური რესურსების დეფიციტი.....67

ე) ეკომონიკური ძალადობა, ე.წ. „საერთო“.....68

ვ) პერსონალის უფლებრივი მდგომარეობა.....68

ზ) პატიმართა მოტივირების სისტემა.....69

თ) ინსტიტუციური კულტურა და ხელისუფლების პოლიტიკური ნება.....70

შესავალი

საზოგადოებასა და პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობის პირებს ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ პენიტენციურ სისტემასთან მიმართებაში. სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა მცირე ჯგუფის გარდა, ცოტას თუ ესმის მკაფიოდ, თუ როგორ მუშაობს პენიტენციური სისტემა. პენიტენციურ დაწესებულებებში დახურული გარემოა, რომელსაც მივყავართ არაერთგვაროვანი მორალური და ემოციური კლიმატისკენ, რაც იწვევს განსხვავებული სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებას სისტემის შიგნით. როგორც წესი, სოციალურ წესრიგს აყალიბებს პენიტენციური დაწესებულებების ინსტიტუციური კულტურა და მისი თანაარსებობა პენიტენციური სისტემის შიგნით არსებულ კრიმინალურ სუბკულტურასთან.

ბოლო პერიოდში, ყველაზე ხშირად პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრისას მიუთითებენ სისტემის შიგნით არსებულ სუბკულტურაზე და ადმინისტრაციის ფუნქციონირებისას მის ზეგავლენაზე. როგორც ადგილობრივი (პრევენციის ეროვნული მექანიზმი), ასევე საერთაშორისო (წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი) ორგანიზაციების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს შორის ჩამოყალიბებულია არაფორმალური იერარქიები, სადაც არსებობენ პრივილეგირებული პატიმრები, რომლებსაც გავლენა აქვთ როგორც სხვა პატიმრებზე, ასევე დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. გარდა ამისა, ამავე ანგარიშებში ხაზი გაესვა, რომ კრიმინალური სუბკულტურა პატიმრებს შორის ძალადობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

პატიმრებისთვის არაფორმალური ძალაუფლების გადაცემამ, შესაძლოა, დაამყაროს არალეგიტიმური ძალაუფლება, რომელსაც ისინი მათ წიაღში არსებული სუბკულტურის მეშვეობით საკმაოდ ეფექტურად იყენებენ. ადმინისტრაციის მიერ ლეგიტიმური ზომების არასაკმარისად გამოყენება შეიძლება ისეთივე სახიფათო იყოს, როგორც უფლებამოსილების გადამეტება, თუკი ეს მიგვიყვანს ისეთ რეჟიმამდე, სადაც არასაკმარისი ზედამხედველობა და უწესრიგობაა. გადამეტებულ ძალასა და სამართლებრივ წესრიგს შორის სწორი ბალანსის მოძებნა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მთავარი ამოცანაა (Sparks და სხვები, 1996 წ.). ეს მორალური, მენეჯერული და პიროვნული გამოწვევაა მათთვის, ვინც პენიტენციურ დაწესებულებებს მართავს, რადგან მათ სწორი ბალანსი უნდა იპოვნონ დაწესებულებებში წესრიგის დამყარებასა და პატიმრებისადმი პატივისცემით და ლეგიტიმურად მოპყრობას შორის.

საქართველოს უახლესი ისტორიის ანალიზი გვაჩვენებს, რომ პრაქტიკაში გამოყენებული იყო პენიტენციური სისტემის მართვის მხოლოდ ორი მოდელი, რომლებიც პირობითად შეგვიძლია ასე დავახასიათოთ: ა) პენიტენციური დაწესებულებების მართვა კრიმინალური სუბკულტურის ელემენტების გამოყენებით; ბ) პენიტენციური სისტემის მართვა და კონტროლი დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ, თუმცა ისეთი მეთოდების გამოყენებით, როდესაც სისტემურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები. საქართველოს პენიტენციურმა სისტემამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ჩამოეყალიბებინა ისეთი სახის სისტემა, სადაც დაცული იქნება ბალანსი უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებს შორის. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ბოლომდე არ არის გააზრებული თუ რა ფენომენს წარმოადგენს კრიმინალური სუბკულტურის ეს ფორმა, რითი საზრდოობს ის და როგორ ინარჩუნებს გავლენას პენიტენციური დაწესებულებების ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას - რა არის ამის გამომწვევი მიზეზი და რამდენად მასშტაბურია ეს პრობლემები, რათა მოხდეს მისი საფუძვლების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხორციელდეს კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის კვლევა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე, იმ მიზნით, რომ შემდგომი ნაბიჯები დაემყაროს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვასა და ზოგადად ინსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის ამოცანა

ა) პენიტენციური სისტემის ინსტიტუციურ კულტურაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ პატიმართა უსაფრთხოებაზე, პენიტენციური დაწესებულებების მართვასა და მენეჯმენტზე;

ბ) კრიმინალური სუბკულტურიდან გამომდინარე რისკების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც ინსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბებაზე, ასევე პენიტენციური დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მართვასა და მენეჯმენტზე;

გ) კვლევის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრას, სუბკულტურასთან ბრძოლის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

კვლევის მეთოდოლოგია

ა) საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა

კვლევის ამ ნაწილში განხილულია სხვადასხვა ქვეყნების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გამოცდილება პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენასთან ბრძოლის მიმართულებით. მოყვანილია მაგალითები თუ პატიმართა თვითმმართველობის როგორი ფორმები არსებობს და რა ტიპის გამოწვევებს აწყდებიან სხვადასხვა ქვეყნები ციხეებში წესრიგის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კვლევის ავტორი შეეცადა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რა გავლენა აქვს კრიმინალურ სუბკულტურას პატიმრებსა და პერსონალს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, რატომ არის ხშირ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია ტოლერანტული კრიმინალური სუბკულტურის მიმართ, რატომ სჭირდებათ პატიმრების გამოყენება ციხის მართვის პროცესში, ამ კუთხით, სხვადასხვა კონტექსტში განხილულია - ამერიკის შეერთებული შტატების, ვენესუელას, ეკვადორის, პანამის, პერუს, ჰონდურასის, კოსტა-რიკას, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, ფილიპინების, მოლდავეთის, ყირგიზეთისა და ლიეტუვას მაგალითები. აღნიშნული ნაწილი მომზადებულია სამაგიდე კვლევის პრინციპით.

ბ) ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა

ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა განხორციელდა ორი მეთოდის გამოყენებით - თვისებრივი კვლევა და კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი.

თვისებრივი კვლევა

კვლევის განხორციელების პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა კვლევითი გუნდი, რომელშიც გაერთიანდნენ პროექტის ხელმძღვანელი, ასისტენტი, მკვლევარი, საერთაშორისო ექსპერტი და სოციოლოგი. გუნდმა ერთობლივად დაგეგმა პროექტის მიმდინარეობა. გუნდის წევრებს შორის გადანაწილდა პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობები.

კვლევის რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპით. შერჩევა მოხდა იმ რესპონდენტებს შორის, რომელთა სამსახურებრივი საქმიანობა ან/და სასჯელის მოხდა **2013-2019** წლების განმავლობაში დაკავშირებული იყო პენიტენციურ სისტემასთან და რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდნენ კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებით.

<u>თვისებრივი კვლევა არ ეხება ქალ პატიმრებს და კაც პატიმრებს, რომლებიც წარსულში იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების/ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები.</u>

კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ შემდეგი რესპონდენტები:

ა) **საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ყოფილი და მოქმედი წევრები/ამ სფეროში მომუშავე სხვა ექსპერტები** (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) - **16 რესპონდენტი;**

ბ) **პენიტენციური სისტემის ყოფილი მოსამსახურე** (მათ შორის რეჟიმის, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ექიმი, დაწესებულების დირექტორები). პენიტენციური სისტემის მოსამსახურეებიდან შეირჩნენ ის თანამშრომლები, რომლებსაც ჰქონდათ განსაკუთრებული რისკის, დახურული ტიპის, ნახევრად ღია ტიპის, დაბალი რისკის, არასრულწლოვანთა და სამკურნალო

დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება - **18 რესპონდენტი.**

გ) **ყოფილი პატიმრები** - პროექტის მიზნებისთვის სპეციალურად იყვნენ შერჩეულნი ყოფილი პატიმრები (და არა მოქმედი), ვინაიდან კითხვარით გათვალისწინებულ სენსიტიურ კითხვებზე მათი გახსნილობა, პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პირობებში, იქ არსებული სუბკულტურისა და ინსტიტუციური კულტურის, ასევე არსებული პრობლემების გათვალისწინებით რთულად მისაღწევია. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყოფილი პატიმრები სასჯელს იხდიდნენ განსაკუთრებული რისკის, დახურული ტიპის, ნახევრად ღია ტიპისა, დაბალი რისკის და სამკურნალო დაწესებულებებში - **17 რესპონდენტი.**

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჯამში გამოიკითხა **51 რესპონდენტი.**

თვისებრივი კვლევის ანალიზის ფარგლებში სრულად იქნა დაცული რესპონდენტების ანონიმურობა, რის გამოც, არ არის მითითებული დეტალები რესპონდენტებთან დაკავშირებით. გაუარესებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, სხვადასხვა სახის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად - ინსტრუმენტების შემუშავება და უშუალოდ მონაცემების შეგროვება. ინსტრუმენტების პილოტირების მიზნით განხორციელდა 3 რესპონდენტის ინტერვიურება, რის საფუძველზეც მოხდა ინსტრუმენტის მოდიფიცირება. შედეგად, კვლევა ჩატარდა კვლევითი გუნდის მიერ შემუშავებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში შემუშავდა 3 სახის ინსტრუმენტი - ექსპერტებისთვის (NPM-ის ყოფილი ან მოქმედი წევრები; არასამთავრობო ორგანიზაციების ან საერთაშორისო პროექტების წარმომადგენლები); პენიტენციური სისტემის ყოფილი მოსამსახურეებისთვის; ყოფილი პატიმრებისთვის.

კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი

თვისებრივ კვლევასთან ერთად, ასევე განხორციელდა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მეორადი ანალიზი. კერძოდ, შეფასდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) და სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები; არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ თემასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები.

საერთო ჯამში, ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა ჩამოყალიბდა შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- არაფორმალური ჯგუფების სტრუქტურა პენიტენციურ დაწესებულებებში;
- არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა დაწესებულების მართვაში;
- კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ძალადობის წყარო;
- რესპონდენტების მოსაზრებები სამომავლო ნაბიჯებთან დაკავშირებით;
- კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური ჯგუფების გავლენის შემცირების შესაძლო შედეგები;
- კვლევის ძირითადი მიგნებები.

გ) დასკვნა და რეკომენდაციები

საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შემუშავდა დასკვნა და რეკომენდაციები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებულ ტენდენციებთან, მის გამომწვევ მიზეზებთან და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

კვლევის შეზღუდვა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში იგეგმებოდა არამარტო პენიტენციური სისტემის ყოფილი, არამედ მოქმედი მოსამსახურეების გამოკითხვაc. ამის თაობაზე კვლევითმა გუნდმა ორჯერ მიმართა თხოვნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და შესთავაზა ინტერვიუების ჩატარება, მათ შორის ონლაინ რეჟიმში, თუმცა, იუსტიციის სამინისტროს მხრიდან აღნიშნულ შეთავაზებაზე პასუხი არცერთ შემთხვევაში არ მიგვიღია, რის გამოც მოქმედი თანამშრომლების გამოკითხვა ვერ მოხერხდა.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი

1. შესავალი

ციხეთა სისტემაში წესრიგის დაცვას მხოლოდ ციხის ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს. ციხის კონტიგენტის მართვის პროცესში პერსონალი, დიდწილად, დამოკიდებულია პატიმართა მიერ შინაგანაწესის დაცვაზე და მათი მხრიდან დახმარებაზე. ის, თუ რამდენად არიან პატიმრები ოფიციალურად ან არაფორმალურად ჩართული ციხის მართვაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება პენიტენციურ სისტემებს შორის და ხშირად ერთ სისტემაში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებაში.

საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წესრიგის დასამყარებლად პატიმრების გამოყენება ორ უკიდურესობას შორის ექსპერიმენტის ხასიათს ატარებდა. 2004 წლამდე საკუთარ საცხოვრებელ გარემოს პატიმრები, ძირითადად, თვითონ მართავდნენ. 2004-2012 წლებში ქვეყნის მართვის სადავეებთან მყოფმა ხელისუფლებამ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში პენიტენციური რეფორმა წამოიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა ციხის კონტიგენტზე სრული კონტროლის დაწესებას, ხშირად, უკიდურესი ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით.

2013 წლიდან პენიტენციური სისტემის შესახებ სხვადასხვა ანგარიში მიუთითებს გარკვეული სახის გარიგებაზე, როდესაც ზოგიერთი დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმრებს გარკვეულ ავტონომიას ანიჭებს შინაგანაწესის დაცვისა და ციხის მართვაში დახმარების სანაცვლოდ. 2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ბოლო ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი ციხეების მართვაში პატიმართა არაფორმალური ჩართულობის შემთხვევები. ამ ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ ზოგიერთ პატიმარზე პირდაპირ ხდება უფლებამოსილების დელეგირება, ნაწილს კი დამოუკიდებლად აქვს უფლებამოსილება მოპოვებული, რომ ციხეებში წესრიგი დაამყაროს და შეინარჩუნოს. მაგალითად, 2018 წლის სექტემბერში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ქსნის N15 დაწესებულებაში არსებული პრაქტიკით, ციხის ადმინისტრაცია არაფორმალური ავტორიტეტის მქონე პატიმრებს გარკვეულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რათა მათ უზრუნველყონ ციხის კონტიგენტის უსაფრთხოების დაცვა და წესრიგი დაწესებულებაში“.[1]

ფუნდამენტური კითხვა, თუ რა დოზით და ფორმით უნდა არსებობდეს პატიმართა თვითმმართველობა პენიტენციურ დაწესებულებებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერი პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციას აწუხებს. ეს საკითხი განსაკუთრებით რთულია საქართველოში იმ სპეციფიკური კულტურული და ისტორიული როლის გათვალისწინებით, რაც ციხეებსა და პატიმრებს ჰქონდათ ქართული საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერებაში. საბჭოთა კავშირმა შექმნა მსოფლიოს ისტორიაში უპრეცედენტოდ დიდი პენიტენციური სისტემა (გულაგი) და მასთან ერთად ჩამოაყალიბა უკიდურესად კომპლექსური და კარგად განვითარებული პატიმართა თემი და კულტურა. პატიმართა ამგვარ ერთობას და ციხის კულტურას საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ხშირად „კრიმინალურ სუბკულტურას“ უწოდებენ. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „არსებული მდგომარეობის ფონზე პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს აქვთ ცდუნება, რომ დაწესებულებებში „წესრიგის“ შესანარჩუნებლად გარკვეულწილად დაუშვან და მეტიც, ხელი შეუწყონ არაფორმალური მმართველობის (სუბკულტურის) არსებობას“.[2]

საქართველოში კრიმინალური სუბკულტურა მძლავრად სიმბოლური დატვირთვის მქონეა. თუმცა, ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმები საქართველოში გარკვეულწილად მაინც აღიქმება როგორც შეტევა ღირებულებათა ცალკეულ სისტემაზე, ინსტიტუციური ცხოვრების წესზე და თაობების მანძილზე არსებულ არაფორმალურ სტრუქტურებზე. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ნახსენებმა „კრიმინალურმა სუბკულტურამ“ საშუალება მისცა პატიმრებს დაელაგებინათ და ემართათ თავიანთი გარემო რთულ პერიოდებში, როგორც საბჭოთა ავტორიტარული რეპრესიების, ასევე პოსტსაბჭოთა სახელმწიფო კოლაფსის დროს,

1 https://www.coe.int/en/web/cpt/-/council-of-europe-anti-torture-committee-publishes-report-on-georg-4 (იხ. გვ. 29).
2http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf (იხ. გვ 40).

როდესაც, ხშირად, ციხის პერსონალი ან არ იყო ხელმისაწვდომი ან არ ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.[3] კრიმინალური სუბკულტურა წლების განმავლობაში არამხოლოდ კრიმინალურ ქსელს აყალიბებდა, არამედ ხელს უწყობდა პოლიტიკური ამბოხისა და წინააღმდეგობის წარმოშობას როგორც ციხის შიგნით, ისე მის გარეთ. პატიმრები მას სიმბოლურ და ინსტრუმენტულ ღირებულებას და მნიშვნელობას ანიჭებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიმინალური სუბკულტურა ციხეში ხელს უწყობს მწირი რესურსების გადანაწილებას, მათ შორის პატიმართა ჯგუფებს სთავაზობს ერთგვარ დაცულობას და ზოგიერთ პატიმარს ანიჭებს ღირებულ სტატუსსა და მნიშვნელოვან იდენტობას ციხის გარემოში.

საქართველოში კრიმინალური სუბკულტურის თავისებურების გათვალისწინებით, ამ ანგარიშის მიზანია ყურადღება გამახვილდეს იმ საკითხზე, თუ როგორ მონაწილეობენ პატიმრები ციხის მმართველობის პროცესში. ციხის მართვაში კრიმინალური სუბკულტურის მონაწილეობა ციხის პერსონალთან მიმართებაში ორ მთავარ კითხვას ბადებს. ამგვარად, წინამდებარე ანგარიში ყურადღებას ამახვილებს პირველ რიგში იმაზე, თუ როგორ ასრულებს კრიმინალური სუბკულტურა ციხის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის შუამავლის როლს. მეორე მხრივ, ანგარიში ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას, თუ რა როლს და ფუნქციებს ასრულებს კრიმინალური სუბკულტურა ციხის პერსონალისთვის.

კვლევითი კითხვები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- რა გავლენას ახდენს კრიმინალური სუბკულტურა ციხის თანამშრომლებზე, ასევე მათსა და პატიმრებს შორის ურთიერთობაზე?
- რატომ არის ციხის ადმინისტრაცია კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ტოლერანტული საქართველოს ციხეებში? რატომ მიმართავენ თანამშრომლები ციხის მართვაში დახმარებისთვის პატიმართა არაფორმალურ მმართველობას?

მომდევნო თავებში, ანგარიშში უფრო ნათლად არის გადმოცემული კრიმინალური სუბკულტურის რაობა და მისი სპეციფიკური როლი პოსტსაბჭოთა კონტექსტში. ამის შემდეგ, ანგარიშში მიმოხილულია სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მიგნებები იმის თაობაზე, თუ როგორ ყალიბდება პატიმართა ჩართულობა პენიტენციური სისტემის თანამართვის პროცესში. წარმოდგენილი ანგარიში მიმოიხილავს პატიმართა თვითმმართველობის განხორციელების შედეგებს და გავლენას, ასევე განიხილავს თუ რა წინაპირობები ქმნის და აყალიბებს ამ შედეგებს და რა გავლენა აქვს ამ ტიპის პირდაპირ ინტერვენციებს.

2. მთავარი კონცეფციები: პატიმართა მორალური კოდექსები, თვითმმართველობა და კრიმინალური სუბკულტურა

ამ თავში განმარტებულია ანგარიშში გამოყენებული კონცეფციები. ქვემოთ მსჯელობა იწყება იმით, თუ როგორ აყალიბებენ პატიმრები პატიმართა კულტურას, განხილულია ამ კულტურის სპეციფიკური ფორმები, რაც მოიცავს ციხის გარემოს მართვის მცდელობას. უნდა აღინიშნოს, რომ პატიმართა თვითმმართველობები განსხვავდება და შესაძლოა ან ავსებდეს ფორმალურ მმართველობას ან მასთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს; შეიძლება არსებობდეს პენიტენციური დაწესებულების მხოლოდ ერთ ფლიგელში, ან მთელს პენიტენციურ სისტემაში; ის შესაძლოა, სათავეს იღებდეს ძალაუფლების სხვადასხვა წყაროდან - როგორც მატერიალური, ასევე სიმბოლური რესურსებიდან. მმართველობის ამგვარ ფორმას ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში „კრიმინალური სუბკულტურა“ ეწოდება. როგორც ასეთი, კრიმინალური სუბკულტურა რჩება საბჭოთა მემკვიდრეობად.

ა) ყველა პატიმართა საზოგადოება ქმნის პატიმართა კოდექსს

პატიმართა ერთობა ქმნის ციხის კულტურას, რაც განმარტებულია, როგორც პატიმრებს შორის სტაბილური დამოკიდებულებების, ღირებულებებისა და ქცევის წესების ერთობლიობა.[4] ციხეში მოხვედრის შემდეგ, პატიმრებს უწევთ მათ მდგომარეობასთან ადაპტირება. ამ ადაპტაციის პროცესს „prisonization“ ეწოდება.[5] ადაპტაციის ფორმები სხვადასხვა პენიტენციური სისტემის

3 Piacentini, L., & Slade, G. (2015). Architecture and attachment: Carceral collectivism and the problem of prison reform in Russia and Georgia, *Theoretical Criminology*, *19* (2), 179-197/პიაჩენტინი და სლეიდი (2015 წ.) „არქიტექტურა და მიკუთვნებულობა: კარცერული კოლექტივიზმი და ციხის რეფორმის პრობლემა რუსეთსა და საქართველოში“, ჟურნალი „თეორიული კრიმინოლოგია“.

4 Akers, R. L., Hayner, N. S., & Gruninger, W. (1977). Prisonization in five countries type of prison and inmate characteristics. *Criminology*, *14*(4), 527-554/„პენიტენციურ სისტემაში ადაპტაცია ხუთი ციხის მაგალითზე: ციხეების ტიპები და პატიმართა მახასიათებლები“.

5 Sykes, G.M. (1958) *The Society of Captives: A Study of a Maximum Security Prison*. New York: Princeton University Press. „ტყვეთა საზოგადოება: მაქსიმალური უსაფრთხოების ციხის კვლევა“; Sykes, G. & Messinger, S. (1960). ‘The Inmate Social System’ in R.A. Clonard, D.R. Clemmer,

სპეციფიკაზეა დამოკიდებული. ამ განსხვავებებს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: ციხის რეჟიმი, ადმინისტრაციული პროცედურები, პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, ციხის არქიტექტურა და ციხის გარეთ საზოგადოებასთან არსებული ურთიერთობები/კავშირები.

პენოლოგების კვლევებით, პატიმართა კულტურის უმეტესობას ახასიათებს ზოგად ამკრძალავ ნორმათა ერთობლიობა, ე.წ. „პატიმართა კოდექსი“,[6] რომელიც წარმოადგენს დაუწერელი წესების ერთობლიობას, რაც ციხის ადმინისტრაციასთან დაპირისპირებაში იქმნება და პატიმართა ურთიერთმხარდაჭერასა და ლოიალობას ეფუძნება. „კოდექსის“ დამრღვევი ციხის საზოგადოებიდან გაირიყება/მოიკვეთება. აღნიშნულ „კოდექსებს“ პატიმართათვის სარგებელი მოაქვს, ემსახურება რა მათში ნდობის გამყარებას. ის აგრეთვე ახალისებს გარკვეულ გარიგებებსა და ნივთების ურთიერთგაცვლას პატიმრებს შორის, ქმნის სოლიდარობას და კოლექტიურ იდენტობას, თუმცა, ეს წესები ასევე დაბრკოლებას უქმნის ციხის პერსონალს პატიმრებთან ურთიერთობაში. რაც უფრო ძლიერია პატიმართა კოდექსი, მით უფრო რთულია პატიმრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ამ ვითარებაში ციხის თანამშრომლებს, ხშირად, უწევთ გარკვეულ დათმობაზე წასვლა და პატიმართა მხრიდან თანამშრომლობის სანაცვლოდ მათთვის შეღავათების გაწევა.

ბ) ზოგიერთი ციხის საზოგადოება აყალიბებს „მტაცებლურ“ (predatory) ან გადარჩენაზე (survival) ორიენტირებულ თვითმმართველობას

კვლევები მოწმობს, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ციხეთა სისტემებში პატიმართა „კოდექსები“ თითქმის ერთმანეთის მსგავსია. ზოგიერთ სისტემაში პატიმართა თვითმმართველობის უფრო პრობლემური ფორმები წარმოიშობა. თვითმმართველობის ასეთ ფორმას ხშირად „ციხის ბანდებს“ (prison gangs) უწოდებენ. ბანდები ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჰონდურასის და ფილიპინების ციხეთა სისტემებში გვხვდება. ციხეში ბანდების წარმოშობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: ციხის კონტიგენტის ზრდა, მისი საშუალო ასაკის გაახალგაზრდავება, დიდი ზომის ციხეები და გადატვირთულობა.[7] ამ ფაქტორების გამო, ციხის ადმინისტრაცია ნაწილობრივ ან თითქმის ვერ უზრუნველყოფს პატიმართა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამგვარ პირობებში, ციხის ადმინისტრაციას უჭირს იმ ტიპის ფორმალური მმართველობის უზუნველყოფა, რაც პატიმრებს სჭირდებათ.

ასეთ ვითარებაში მხოლოდ „პატიმართა კოდექსი“ არ წარმოადგენს მექანიზმს პატიმრებს შორის ურთიერთობის კოორდინაციისათვის, ციხის გარემოში უსაფრთხოებისა და სამომავლო პროგნოზის უზრუნველყოფისათვის. „პატიმართა კოდექსის“ ნაცვლად, პატიმრები იწყებენ უფრო ცენტრალიზებული და იერარქიული სტრუქტურების შექმნას ერთმანეთს შორის, ასევე ციხის პერსონალთან ურთიერთობების დასალაგებლად. ეს სტრუქტურები, შესაძლოა, ორიენტირდეს გადარჩენისთვის აუცილებელი ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფაზე, როგორიცაა დაცულობა, საკვები, ტანსაცმელი. გადარჩენაზე-ორიენტირებული (survival-oriented) სტრუქტურა პატიმართა სამომხმარებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ორგანიზებით არის დაკავებული.

არსებობს სხვაგვარი განვითარების ტრაექტორიაც, მაგალითად, პატიმართა თვითმმართველი ჯგუფი, შესაძლოა, მტაცებლური ტიპის (predatory) ბანდად გარდაიქმნას და სხვა პატიმრებზე დომინირებაც შეძლოს. ეს ჯგუფები, რომელთაც ხშირად „ციხის ბანდებს“ უწოდებენ, პატიმრებს აიძულებენ მათ მიერ მიწოდებული სერვისებით ისარგებლონ, ამყარებენ ციხეში სასურველი და მოთხოვნადი ნივთების მიწოდებასა და გაყიდვაზე მონოპოლისტურ კონტროლს. ტერმინი „ბანდა“ (gang), რომელიც, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების კონტექსტიდან წარმოიშვა, შესაძლოა, არ იყოს სავსებით მორგებული ან შესაფერისი სხვა კონტექსტისთვის, მაგალითად, როგორიც საქართველოა. შემდეგში გადარჩენაზე ორიენტირებული ან მტაცებლური ფორმის პატიმართა მიერ მართული ცენტრალიზებული და კომპლექსური სტრუქტურების აღნიშვნისთვის, რომლებიც ციხის სოციალური ცხოვრებისა და წესრიგის მართვაში ეხმარება ადმინისტრაციას, ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს „პატიმართა თვითმმართველობა“.

გ) პატიმართა ცენტრალიზებული თვითმმართველობა მტაცებლურ ფორმას იძენს მისი ავტონომიურობის, უნარიანობის და ავტორიტეტის მიხედვით

ზოგჯერ პატიმართა თვითმმართველობა უბრალოდ საშუალებას წარმოადგენს და სამომხმარებლო საკითხების გადაჭრასა და პატიმრებისთვის საქონლის მიწოდებას ემსახურება. სხვა შემთხვევებში, კი თვითმმართველობა შეიძლება იქცეს გამოძალვის მექანიზმად, რომლის ფარგლებში პატიმართა ჯგუფი სხვა პატიმრებზე „ყიდის“

G.H. Grosser, R. McCleery, L.E. Ohlin, G.E. Sykes & S.E. Messinger (eds) *Theoretical Studies in Social Organization of the Prison*. New York: Social Science Research Council (p. 5-19). „თეორიული კვლევები ციხეების სოციალურ ორგანიზაციის შესახებ“.

6 Ibid.

7 Skarbek, D. (2014). *The social order of the underworld: How prison gangs govern the American penal system*. Oxford University Press/სკარბეკი, „კრიმინალური სამყაროს სოციალური წესრიგი: როგორ მართავენ ციხის ბანდები ამერიკის პენიტენციურ სისტემას“.

იმ საფრთხისგან დაცვას, რომელსაც თვითონ წარმოადგენს; სხვა პატიმრებს აიძულებენ დაიცვან წესები და შეიძინონ საქონელი, მიუხედავად იმისა, სჭირდებათ და სურთ ეს თუ არა. პატიმართა თვითმმართველობა გამოკვეთილად მტაცებლურ სახეს იძენს, როდესაც ის იმდენად მძლავრი და ავტონომიური ხდება, რომ ციხის ადმინისტრაციის კონტროლს აღარ ემორჩილება. ასეთ შემთხვევაში, თვითმმართველ სტრუქტურებს შეუძლიათ შეარყიონ ციხის პერსონალის ავტორიტეტი და ძალაუფლება. პატიმრები ციხის თვითმმართველ სტრუქტურას მხარს უჭერენ სხვადასხვა მიზეზით: იმის გამო, რომ ის მათ საჭირო ნივთებით ამარაგებს, ან შიშის ფაქტორის ზემოქმედებით, ან კი იმის გამო, რომ თავად სჯერათ პატიმართა თვითმმართველობის იდეოლოგიის, სახელმწიფო იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამგვარად, პატიმართა მმართველობის ძალაუფლება სამ განზომილებას ემყარება, რაც განსხვავდება სხვადასხვა პენიტენციური სისტემების მიხედვით:

- <u>ავტონომია:</u> რამდენად შეუძლია ციხის თვითმმართველობას ციხის ადმინისტრაციასთან თანაარსებობა და მასთან კომპრომისისა და მორიგების მეშვეობით თანამშრომლობა?

- <u>უნარიანობა:</u> სისტემაში ერთი თვითმმართველი სტრუქტურა არსებობს, თუ რამდენიმე ერთმანეთის კონკურენტი სტრუქტურა იკვეთება? ერთი სტრუქტურა მოქმედებს ერთი სისტემის სხვადასხვა ციხეში თუ მხოლოდ ერთია სისტემის მასშტაბით? სხვადასხვა სახელმწიფოში ბევრ ციხეში არსებობს ერთგვაროვანი სტრუქტურა?

- <u>ავტორიტეტი:</u> რა რესურსებს იყენებს თვითმმართველობა საკუთარი არსებობის გასამართლებლად? მოიცავს თუ არა ეს ფიზიკურ და სიმბოლურ რესურსებს?

პატიმართა თვითმმართველობის აღნიშნული განზომილებები განსაზღვრავს გადარჩენაზეა ორიენტირებული იგი, თუ მტაცებლური. უფრო ხშირად თვითმმართველობა მტაცებლურ სახეს იღებს, როდესაც ის ავტონომიური ხდება, ანუ მხოლოდ ნაწილობრივ კონტროლდება ან საერთოდ ვერ კონტროლდება ციხის ადმინისტრაციის მიერ.

სხვადასხვა ციხეთა სისტემაში ვხედავთ ვარიაციებს თვითმმართველობის ავტონომიის, უნარიანობისა და ავტორიტეტის თვალსაზრისით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ციხეებში სხვადასხვა რასობრივ ნიადაგზე შექმნილი ბანდები ერთმანეთს უპირისპირდებიან და იბრძვიან დომინანტობისთვის.[8] ძალიან იშვიათად არის შესაძლებელი, რომ ერთი ბანდა გახდეს დომინანტი ერთი შტატის ფარგლებს მიღმა სხვადასხვა ციხეში. ამ ციხეებში ბანდები შედარებით ავტონომიურები არიან, ადმინისტრაცია ნაკლებად ცდილობს მათ გაკონტროლებას, ხელს უწყობს მათ დანაწევრებას და ეგუება მათ სისტემურ არსებობას. ამერიკული ბანდების ძალაუფლება ემყარება ციხეში ნარკოტიკული საშუალებების ვაჭრობაზე კონტროლს და რასობრივი იდეოლოგიით არის გაჯერებული. მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამერიკაში ციხის ბანდები უფრო მტაცებლური სტრატეგიის მიმდევრები არიან და გადარჩენაზე ორიენტირებულ სტრატეგიას ნაკლებად ირჩევენ.[9]

ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევა ძალიან განსხვავდება სხვა ქვეყნების შემთხვევებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ვენესუელა და ეკვადორი. ამ ქვეყნებში პატიმართა თვითორგანიზებას განაპირობებს ციხეში არსებული ძალადობრივი და არალეგიტიმური პრაქტიკა, რომლის საშუალებითაც პატიმართა ჯგუფს მოპოვებული აქვს არაფორმალური ძალაუფლება და კონტროლი, არეგულირებს და მართავს კოლექტიურ ცხოვრებას მთელ პენიტენციურ სისტემაში.[10] როგორც აღინიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების ციხეთა სისტემაში კრიმინალური ბანდები აკონტროლებენ პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს, ეურჩებიან რა ციხის ადმინისტრაციებს და ციხის კონტროლში ეცილებიან სხვა ჯგუფებს, ამ დროს ვენესუელასა და ეკვადორში პატიმართა თვითორგანიზებული ჯგუფები ინარჩუნებენ შედარებით სტაბილურ და მონოპოლისტურ კონტროლს პატიმართა კონტიგენტზე მთელი სისტემის მასშტაბით. ამ ქვეყნებში თვითმმართველობა მთელ სისტემას არის მოდებული და ხორციელდება ცენტრალიზებული მმართველი სტრუქტურების მიერ, ხოლო წესრიგი ციხის ადმინისტრაციასთან ერთობლივად მყარდება. არაფორმალური წესრიგის თვალსაზრისით, ვენესუელას შემთხვევა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ციხეთა სისტემაში არსებული ვითარების მსგავსია.

დ) „კრიმინალური სუბკულტურა“ ცენტრალიზებული თვითმმართველობის ფორმაა

ე.წ. „კრიმინალური სუბკულტურა“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პატიმართა თვითმმართველობის ფორმაა, რომელიც ისტორიულად უფრო განვითარებული და ცენტრალიზებული იყო, ვიდრე უბრალოდ „პატიმართა

8 Decker, S. H., & Pyrooz, D. C. (Eds.), (2015)/*The handbook of gangs*. John Wiley & Sons/„ბანდების შესახებ სახელმძღვანელო“.
9 Skarbek, D. (2014). *The social order of the underworld: How prison gangs govern the American penal system*. Oxford University Press/„კრიმინალური სამყაროს სოციალური წესრიგი: როგორ მართავენ ციხის ბანდები ამერიკის პენიტენციურ სისტემას“.
10 Antillano A (2017). When Prisoners Make the Prison. Self-Rule in Venezuelan Prisons. *Prison Service Journal*, 229: 26-30/„როდესაც პატიმრები ქმნიან ციხეს: თვითმმართველობა ვენეცუელას ციხეებში“.
Tritton P. & Fleetwood J. (2017). An Insider's View of Prison Reform in Ecuador. *Prison Service Journal*, 229: 40-45/„შიგნიდან დანახული ციხის რეფორმა ეკვადორში“.

კოდექსი“.[11] პატიმართა მმართველობის აღსანიშნავად, პატიმრებიც და ციხის ადმინისტრაციაც იყენებენ ტერმინს „კრიმინალური სუბკულტურა“. თუმცა, ეს ტერმინი გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის, სიტყვა „კულტურა“ ასოცირდება ნორმებთან, იდეებთან და დამოკიდებულებებთან. ზოგადად ტერმინი „სუბკულტურა“ 1940-იანი წლებიდან გამოიყენება და საზოგადოებაში გაბატონებულ კულტურულ ნორმებსა და დამოკიდებულებებთან წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას გულისხმობს.[12] სუბკულტურული ჯგუფები ხშირად აღიქმებიან როგორც დევიანტური, ჩაგრულნი ან ძალაუფლების არმქონენი. შესაძლოა, ყოველივე ეს რელევანტურიც კი იყოს პატიმრებთან მიმართებაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების კრიმინალური სუბკულტურის შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ პრაქტიკასა და სოციალურ სტრუქტურებზე და არა მხოლოდ დამოკიდებულებებსა და ცხოვრების სტილზე. მითუმეტეს, რომ ეს პრაქტიკა და სოციალური სტრუქტურები არ შემოიფარგლება მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებებით.

ე) „კრიმინალური სუბკულტურა“ საბჭოთა მემკვიდრეობაა

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებების მიუხედავად, ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის სხვადასხვა ასპექტები ხშირად ერთმანეთის მსგავსია გულაგის საერთო ისტორიული წარსულის გამო. ტერმინის, - „კრიმინალური სუბკულტურა“, -გამოყენება გულისხმობს უნიკალურ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ფენომენს, რომელიც სათავეს სტალინის გულაგებიდან იღებს.[13] საბჭოთა ციხეთა სისტემაში პატიმრების დიდი რაოდენობით კონცენტრაციის და კოლექტივისტური საბანაკე სისტემის შექმნის პერიოდში, პროფესიონალი კრიმინალების საძმო დომინირებდა. მათ დღემდე „კანონიერ ქურდებს“ უწოდებენ. „კანონიერი ქურდები“ განიმარტება როგორც ქურდების გაერთიანება, რომელსაც ე.წ. „ღირსების კოდექსი“ ჰქონდა. „კანონიერი ქურდის“ სტატუსი, მისი მოპოვების შემდეგ, თან მიყვებოდა ამ სტატუსის მფლობელს ციხეთა ბანაკიდან ბანაკში გადასვლისას, ანიჭებდა რა გარკვეულ უფლებებს და პრივილეგიებსაც კი, ამასთანავე აკისრებდა ვალდებულებებს საძმოს სხვა წევრების მიმართ. „კანონიერი ქურდების“ საძმო განაგებდა სტატუსების მიხედვით პატიმართა იერარქიებს და არაფორმალურ ნორმებს, რასაც ერთობლიობაში „ქურდული სამყარო“ ეწოდა.[14] პატიმართა სხვა არაფორმალური კატეგორიები ექვემდებარებოდნენ „ქურდებს“, მონაწილეობდნენ რა „საქმის გარჩევებში“, კოლექტიური მოხმარებისთვის „საერთოს“ (ე.წ. „ობშიაკი“) შევსებაში გამომძალველობითი საქმიანობით, სხვა პატიმრებს შორის ქცევისა და დავების რეგულირებაში.

ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ხელქვეითი „ავტორიტეტები“ ან სხვა სიტყვებით „ციხის ლიდერები“ („პალაჟენცები“) და „მაყურებლები“, აგროვებენ ინფორმაციას, მეთვალყურეობენ არაფორმალური წესების აღსრულებას და ამყარებენ წესრიგს პატიმრებს შორის. ეს ელიტური ჯგუფი („ავტორიტეტები“ და „მაყურებლები“) მიეკუთვნება უმაღლეს კასტას (ე.წ. „ქურდულ“/„ბლატნოი“ კასტას). პატიმართა კონტიგენტის უმრავლესობა კი - რიგითებისგან (ე.წ. „მუჟიკები“) შემდგარ კასტას, რომლებიც, დიდწილად, სუბკულტურის წესებით ცხოვრობენ. იერარქიულად ამ კასტის ქვემოთ დგანან სუბკულტურის წესების უარმყოფნი ანუ „პეხოტა“, „ინფორმატორები“ ანუ „ბოზები“ და „კაზიოლები“ და „გარიყულები“ ანუ „გაფუჭებულები“. აღნიშნული სტატუსების სისტემა არაფორმალური წესების ე.წ. „გაგების“ მიხედვით იმართება. „გაგების“ მიხედვით დგინდება პატიმრის „კარგი“ ქცევა, განისაზღვრება სასჯელი, ხდება სოლიდარობის ხელშეწყობა, კასტათა შორის განსხვავებების მხარდაჭერა. ამ არაფორმალური წესებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საერთო ფონდში (ე.წ. „საერთო“, ანუ „ობშიაკი“) წილის შეტანა, ფულისა და საქონლის შეგროვებით რამდენიმე დონეზე, ამ ფონდის პარალელურად არსებობს დიდი სასაქონლე ბაზარი, რომელშიც მიმოიქცევა საკვები პროდუქტები, სიგარეტი, სამედიცინო საშუალებები და ნარკოტიკი. ეს ბაზარი კონტროლდება და რეგულირდება არაფორმალური „სასამართლოების“ მიერ (ე.წ „სხოდკა“ ანუ ქურდული შეკრება).[15]

არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ მმართველობის ამ არაფორმალური სისტემის არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ციხეთა ბანაკების სისტემის ადმინისტრაციის მხრიდან ტოლერანტული დამოკიდებულების, ან აქტიური ხელშეწყობის პირობებში. მაგალითად, იმ პატიმრების მემუარებში, რომელთაც გულაგის სისტემა გამოიარეს, აღწერილია, თუ რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ „კანონიერი ქურდები“ და მათთან დაახლოებული ავტორიტეტები, სხვა კატეგორიის პატიმრების დათრგუნვის ხარჯზე, სისტემაში წესრიგის შენარჩუნების სანაცვლოდ.[16] კრიმინალური სუბკულტურა ციხეების ფარგლებსაც გასცდა, რადგან 1950-იანი წლების ბოლოს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ მილიონზე მეტი ადამიანი გაათავისუფლეს გულაგებიდან. ქურდულმა ღირებულებებმა და ქცევის წესებმა საზოგადოებაშიც გაჟონა და თავი დაიმკვიდრა, როგორც ოფიციალური საბჭოთა კულტურის ალტერნატიულმა, საპირისპირო კულტურამ.[17] ამრიგად, ქურდული

11 Vincent, M. (2015). *Cult of the 'Urka': criminal subculture in the Gulag, 1924-1953* (Doctoral dissertation, University of East Anglia)/„ურკას“ კულტი: კრიმინალური სუბკულტურა გულაგში“.
12 Thornton, S., & Gelder, K. (1997). *The subcultures reader*. Psychology Press/„სუბკულტურის მკითხველი“.
13 Vincent, M. (2015). *Cult of the 'Urka': criminal subculture in the Gulag, 1924-1953* (Doctoral dissertation, University of East Anglia)/„ურკას კულტი: კრიმინალური სუბკულტურა გულაგში“.
14 Varese, F. (2001). *The Russian Mafia: private protection in a new market economy*. OUP Oxford/„რუსული მაფია: კერძო დაცვა ახალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში“.
15 Slade, G. (2013). *Reorganizing Crime* (Vol. 313). Oxford: Oxford University Press/„დანაშაულის რეორგანიზება“.
16 Barnes, S. A. (2011). *Death and Redemption: the Gulag and the Shaping of Soviet society*. Princeton University Press/„სიკვდილი და გამოსყიდვა: გულაგი და საბჭოთა საზოგადოების ჩამოყალიბება“.
17 Dobson, M. (2009). *Khrushchev's Cold Summer: Gulag Returnees, Crime, and the Fate of Reform after Stalin*. Cornell University Press/„ხრუშოვის ცივი ზაფხული: გულაგიდან დაბრუნებულები, დანაშაული და სტალინის შემდგომი პერიოდის რეფორმის ბედი“.

სამყარო მითოლოგიზებული გახდა და კეთილშობილი ყაჩაღის რომანტიკული ელფერი შეიძინა. ქურდული სამყაროს მრავალი ნიშან-თვისება ჯერ კიდევ არის შემორჩენილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების პენიტენციურ სისტემებში და ამ მხრივ, საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს.

3) ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში „კრიმინალური სუბკულტურის“ „ავტონომია“, „უნარი“ და „ავტორიტეტი“ განსხვავებებული ფორმებით გვხვდება

ისევე, როგორც ციხის ბანდების და მსგავსი თვითმმართველი ჯგუფების, ასევე კრიმინალური სუბკულტურის ავტონომიის, უნარიანობისა და ავტორიტეტის ხარისხები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის პენიტენციურ სისტემებში. სუსტ სახელმწიფოებში, როგორიცაა მაგალითად ყირგიზეთი, კვლევა ცხადყოფს ისეთი კრიმინალური სუბკულტურის არსებობას, რომელიც ხასიათდება მაღალი ავტონომიურობის ხარისხით, მთელს პენიტენციურ სისტემაში გავრცელების და მოქმედების უნარით და საბჭოთა პერიოდის პატიმართა საზოგადოების მდიდარი ისტორიიდან მიღებული ავტორიტეტით/ძალაუფლებით.[18] ამგვარი ვითარება შეინიშნებოდა საქართველოს პენიტენციურ სისტემაშიც 2003 წლამდე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) მიერ რეფორმების გატარების შემდეგ სუბკულტურის გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა რეფორმების ძალადობრივი ხასიათის გამო, შედეგები ადამიანებსა და საზოგადოებას ძვირად დაუჯდათ. ბოლო წლებში, ზემოთ ხსენებული ოფიციალური ანგარიშები მოწმობს, რომ საქართველოს ციხეებში კვლავ მომძლავრდა კრიმინალური სუბკულტურა. თუმცა, ეს დიდწილად ეხება ცალკეულ ციხეებს, განსაკუთრებით კი ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებს, სადაც პატიმრები, სხვა ციხეებისაგან განსხვავებით, საერთო საცხოვრებლის ტიპის სადგომებში ცხოვრობენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცნება „კრიმინალური სუბკულტურა“ მოიაზრებს ვრცელ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტს. საქართველოს სახალხო დამცველისა და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ექსპერტულ ანგარიშებში ნახსენები ტერმინი „სუბკულტურა“ ბევრ სხვადასხვა ფენომენს გულისხმობს, მაგალითად, არაფორმალურ იერარქიას, ძალადობის სისტემას, ციხის პერსონალის მხრიდან სუბკულტურის მიმართ მომთმენ დამოკიდებულებას და მასთან სიმბიოზსაც კი.

წინამდებარე ანგარიშში „კრიმინალური სუბკულტურა“ განხილულია, როგორც არაფორმალური ნორმების და მათი აღსრულებისთვის მიღებული წესების ერთობლიობა, ასევე არსებული პრაქტიკა, რომელიც დიდწილად არასასურველ შედეგებს იძლევა, როგორიცაა ციხის შინაგანაწესის დარღვევა და ფორმალური წესების, პროცედურების განჭვრეტადობისა და აღსრულების შემცირება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ანგარიშში კრიმინალური სუბკულტურა განიმარტება როგორც პატიმართა არაფორმალური მმართველობის ფორმა, რომელიც ფორმალური წესებისა და რეგულაციების გვერდის ავლით, ციხის ადმინისტრაციის ფარული ხელშეწყობითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფს ციხის წესრიგის დაცვასა და სოციალური ინტერაქციის რეგულირებას.

3. კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შედეგები

რა ვიცით პატიმართა თვითმმართველობის შესახებ დღეს? რა შედეგებს განაპირობებს ამგვარი მმართველობის მტაცებლური ხასიათი? რა წინაპირობები წარმოშობს და აყალიბებს მას? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და ციხის ადმინისტრაციამ ამ მმართველობის ნეგატიური ასპექტების შესამცირებლად? საქართველოში ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პატიმართა საზოგადოებაზე, ძალადობის ფენომენზე ციხეებში, პატიმრებისა და ციხის პერსონალის ურთიერთობებზე, არ ყოფილა სრულად გამოკვლეული. კრიმინალური სუბკულტურა სენსიტიური თემაა როგორც ციხის თანამშრომლებისთვის, ასევე პატიმრებისთვის. ქვემოთ მოგვყავს მიგნებები კვლევიდან პატიმართა თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ჩატარდა ევროპის საბჭოს მიერ 2018 წელს, მოლდავეთის ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობის თაობაზე. ეს კვლევა პატიმრებისა და ციხის პერსონალის რეპრეზენტატიულ გამოკითხვასა და ინტერვიუებს ეფუძნება და სიღრმისეულად წარმოაჩენს კრიმინალური სუბკულტურის მოქმედების შედეგებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების კოლონიებში.[19] ქვემოთ მოცემულ თავში შევეხებით პატიმართა საზოგადოებაზე მტაცებლური თვითმმართველობის გავლენას.

18 Butler, M., Slade, G., & Dias, C. N. (2018). Self-governing prisons: Prison gangs in an international perspective. *Trends in Organized Crime*, 1-16/ „თვითმმართველი ციხეები: საერთაშორისო პერსპექტივიდან დანახული ციხის ბანდები“.
19 The report is here: https://rm.coe.int/criminal-subculture-md-en-/1680796111

ა) მტაცებლური თვითმმართველობა განაპირობებს პატიმართა შორის ძირითადი უფლებების არათანაბარ დაცვას

როდესაც პატიმართა თვითმმართველობას გააჩნია ავტონომიური ძალაუფლება და გავლენას ახდენს მთელ პენიტენციურ დაწესებულებაზე ან სისტემაზე, ის უარყოფითად აისახება ციხეში არსებულ წესრიგზე, სამართლიანობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კვლევები მიუთითებს ბრაზილიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ციხეთა სისტემაში პატიმართა თვითმმართველობის მიერ ძალადობის მონოპოლიზებასა და კონტროლზე, რაც იწვევს ძალადობის ფაქტების შემცირებას, მკვლევართა უმეტესობა მტაცებლური მმართველობის უარყოფით მხარეზე ამახვილებს ყურადღებას.[20] ეს უარყოფითი გავლენა შემდეგ საკითხებში გამოიხატება: ძალადობის ზრდა და მკვლელობები, პატიმართა ჯგუფებს შორის დაძაბულობის ზრდა, რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, კრიმინოგენური ფასეულობების წახალისება, რომლის შედეგადაც იზრდება რეციდივი და ხდება არალეგალური ბაზრის გაფართოება, რაც ძირითადად ეხება ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობასა და მის მოხმარებას.[21] მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბანდების გავლენა პირდაპირ კორელაციაშია პატიმართა მიერ დისციპლინური დარღვევებისა და მკვლელობების ჩადენის მაღალ მაჩვენებელთან. უფრო მეტიც, აშშ-ს ციხეებში ჩატარებული კვლევებიდან ვიგებთ, რომ ციხეში დაცულობის მოსაპოვებლად, პატიმრები ბანდის წევრები ხდებიან და ეს დაბრკოლებას წარმოადგენს პირობით ვადამდე გათვისუფლების პროგრამებში მონაწილეობისა და გათავისუფლების შემდგომ რეინტეგრაციის გზაზე.[22] ყირგიზეთში, ოპიოიდების ჩანაცვლებითი პროგრამის (მეთადონის სამკურნალო პროგრამა) ჩავარდნა განაპირობა კრიმინალური ლიდერების მხრიდან პატიმრებზე ზეწოლამ. კრიმინალურ ლიდერებს პატიმართა მეთადონის პროგრამაში ჩართულობა არ უნდოდათ, რადგან ე.წ. საერთო ფონდიდან („ობშიაკი") მიღებული ფულით პატიმრები ჰეროინს მოიხმარდნენ, მათი მეთადონის პროგრამაში ჩართულობით კი ისინი უფრო მეტ დამოუკიდებლობას შეიძენდნენ და ამით კრიმინალურ სუბკულტურაზე დამოკიდებულება შემცირდებოდა.[23] ის პატიმრები, რომლებიც ირჩევენ სახელწიფოს მიერ მოწოდებულ მეთადონს, არაფორმალური წესების მიხედვით ისჯებიან.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში კრიმინალური სუბკულტურა სტატუსების იერარქიული სისტემის მეშვეობით ძალადობის ვექტორს ზემოდან ქვემოთ მიმართავს. სათავიდან წამოსული ძალაუფლება, ამ ვერტიკალის ქვედა ზღვარზე მყოფ პატიმრებზე არათანაბრად ნაწილდება და იწვევს იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი პატიმრების უთანასწოროდ მაღალ ვიქტიმიზაციას. ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულმა სასამართლომ, მოლდავეთიდან და ლიეტუვადან მიღებული რამდენიმე შემთხვევა განიხილა, სადაც ჩანს როგორ ვერ იცავენ ციხის ადმინისტრაციები სუბკულტურის დაბალ იერარქიაზე მყოფ პატიმრებს სტატუსთან დაკავშირებული სხვადასხვა უფლების შეზღუდვისა და დარღვევებისაგან.[24] ოფიციალური რეგულაციების არსებობის მიუხედავად, მძლავრი კრიმინალური სუბკულტურა პატიმართა შორის უთანასწორობას ქმნის. ეს უთანასწორობა, პირველ რიგში, იერარქიის ქვედა ზღვარზე მყოფი პატიმრების უფლებრივ მდგომარეობაზე აისახება და ძირითადად ეხება საქონელზე ხელმისაწვდომობას, ძალადობისაგან დაცვას, ვიქტიმიზაციას, საკუთრების უფლებების ხელყოფას, ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობასა და ინდივიდუალურ ავტონომიას. სუბკულტურული იერარქიის დაბალ საფეხურებზე მდგომთათვის ამ უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევას ხშირად ახალისებს ციხის ადმინისტრაციების მხრიდან ფარული ხელშეწყობა ან გულგრილობა, რომლებიც ზოგჯერ არაფორმალურ იერარქიას იყენებენ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების განაწილება-განთავსებისთვის. მაგალითად, მოლდავეთის ზოგიერთ ციხეში, დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი პატიმრები ერთ სექტორში ჰყავთ განთავსებული, რაც აძლიერებს მათ სიმბოლურ განსხვავებას სხვებისგან და მათ მიმართ დისკრიმინაციის გაღრმავებას უწყობს ხელს.[25]

ბ) კრიმინალური სუბკულტურა, როგორც დამოკიდებულების წყარო

მოლდავეთის პენიტენციურ სისტემაში ჩატარებული კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ კრიმინალური სუბკულტურა და ძალაუფლების არათანაბრად განაწილება ქმნის სისტემას, რომელიც ციხეში ახლად მიღებულ პატიმრებს აიძულებს ისეთ ურთიერთობაში შესვლას, რომელიც იწვევს კრიმინალურ ლიდერებზე მათ დამოკიდებულებას. პატიმრებს სთავაზობდნენ ისეთ სერვისს (მაგალითად, აძლევდნენ მობილურ

20 Pyrooz DC and Decker SH (2019). Competing for Control: Gangs and the Social Order of Prisons. Cambridge: Cambridge University Press/ „კონკურენცია კონტროლისათვის: ბანდები და სოციალური წესრიგი ციხეებში".

21 Winterdyk J and Ruddell R (2010). Managing Prison Gangs: Results From A Survey of U.S. Prison Systems. *Journal of Criminal Justice*. 38(4): 730-736/„ციხის ბანდების მართვა: აშშ-ს ციხეთა სისტემებში გამოკითხვის შედეგები".

22იქვე.

23 Slade G. & Azbel L. (forthcoming). Managing Drugs in the Prisoner Society: Heroin and Social Order in Kyrgyzstan's Prisons/„ნარკოტიკების კონტროლი პატიმართა საზოგადოებაში: ჰეროინი და სოციალური წესრიგი ყირგიზეთის ციხეებში".

24 იხ. მაგალითად: https://sip.lex.pl/orzeczenia-i-pisma-urzedowe/orzeczenia-sadow/29474-09-tautkus-v-litwa-wyrok-europejskiego-trybunalu-521321780

25 იხ. https://rm.coe.int/criminal-subculture-md-en-/1680796111

ტელეფონს) რომელიც მას მაშინვე ვალდებულებით ურთიერთობაში აყენებდა კრიმინალურ იერარქიასთან. იყო შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, მას შემდეგ, რაც ახალმოსულ პატიმარს ტელეფონს გადასცემდნენ, ამის შესახებ ატყობინებდნენ ციხის მოსყიდულ თანამშრომლებს და ციხის ადმინისტრაცია საკნის შემოწმებას და მობილური ტელეფონის კონფისკაციის ოპერაციას ატარებდა. ტელეფონის დაკარგვას კრიმინალური ლიდერები სერიოზულ დარღვევად განიხილავდნენ და ახლად შემოსულ პატიმარს მისი საფასურის გადახდას აიძულებდნენ. იყო სხვა შემთხვევებიც, როდესაც ახალ შემოსულ პატიმარს აზარტულ თამაშებში ჩართვას სთავაზობდნენ, წაგების შემთხვევაში კი მას ვალის გადახდას დააკისრებდნენ. ამის შემდეგ დაზარალებული იძულებული იყო დახმარებისთვის კრიმინალური ლიდერებისთვის მიემართა. პატიმრისთვის ციხის იერარქიაში დაქვეითება მუდმივი საფრთხე იყო და ამის თავიდან ასაცილებლად ისინი ყველაფერზე თანახმა იყვნენ. ამგვარი დამოკიდებულების სისტემის გამოყენებით, კრიმინალური ლიდერები კონტროლს ახორციელებდნენ პატიმრებზე და მათ ფულს სძალავდნენ, რომლის გადახდა ხდებოდა როგორც ციხის შიგნით, ასევე (კრიმინალური ჯგუფების დახმარებით) მის ფარგლებს გარეთაც.[26]

გ) კრიმინალური სუბკულტურა აუარესებს ციხის გარემოსა და ატმოსფეროს

მოლდავეთის ციხეებში ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთი საინტერესო კორელაცია გვიჩვენა ციხის გარემოს ხარისხსა და კრიმინალური სუბკულტურის სიძლიერეს შორის. იქ, სადაც უფრო მძლავრი იყო კრიმინალური სუბკულტურა, პატიმრები აქტიურად საუბრობდნენ მომეტებული ბულინგისა და მუქარის შემთხვევებზე. გარდა ამისა, იმ დაწესებულებებში, სადაც ძლიერი კრიმინალური სუბკულტურა არსებობდა, პატიმრები მიუთითებდნენ ანტისოციალური ქცევის ზრდაზე, ციხის პერსონალის კორუმპირებულობაზე, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე, საცხოვრებელი პირობების მოუწესრიგებლობაზე, ხმაურსა და ჯგუფებს შორის დაძაბულობის მატებაზე. ანალოგიურად, ციხის თანამშრომლებიც აღნიშნავდნენ პატიმართა მხრიდან მუქარისა და აშკარა ძალადობის შესახებ იმ დაწესებულებებში, სადაც შედარებით მძლავრობდა კრიმინალური სუბკულტურა იმ დაწესებულებებთან შედარებით, სადაც კრიმინალური სუბკულტურის გავლენა შედარებით სუსტი იყო.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც პატიმართა თვითმმართველობა ძლიერია, ანუ მას გააჩნია ავტონომია, უნარი და ავტორიტეტი, ის მტაცებლურ სტრუქტურად გადაიქცევა და უარყოფითი შედეგის მქონეა პატიმართა უმეტესობისთვის, რომელთაც არა აქვთ მაღალი პოზიცია/სტატუსი არაფორმალურ იერარქიაში. რა განაპირობებს პატიმართა თვითმმართველობის სიძლიერეს? რა პირობებში ძლიერდება ის? როდის არის პატიმართა თვითმმართველობა ადმინისტრაციასთან დაპირისპირებული და როდის მასთან გარიგებული? ჩვენ ვცდილობთ ამ კითხვებს მომდევნო თავებში ვუპასუხოთ.

4. კრიმინალური სუბკულტურის ხელშემწყობი პირობები

ქვემოთ განვიხილავთ ყველაზე მნიშვნელოვან პირობებს, რომელიც ხელს უწყობს პატიმართა თვითმმართველობის ავტონომიის, უნარისა და ავტორიტეტის გაზრდას და როგორც წესი, იწვევს გადარჩენაზე ორიენტირებული სტრუქტურის, მტაცებლურ სტრუქტურად გარდაქმნას. ამ გადასვლას, დიდწილად, რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, ესენია: პატიმართა რაოდენობა და ციხის ზომა, ციხის პერსონალის რაოდენობა და პროფესიონალიზმი, ციხეში არსებული რესურსები, არქიტექტურა, ინდივიდუალური წახალისების ღონისძიებების სტრუქტურა, ციხიდან ციხეში გადაყვანები და კორუფცია.

ა) რაც უფრო დიდი ზომის არის ციხე და რაც მეტ პატიმარს იტევს, მით უფრო იზრდება კრიმინალური სუბკულტურის პოტენციური ძალა

პატიმრები თვითმმართველობას ქმნიან მაშინ, როდესაც არსებობს მოთხოვნილება სიტუაციის მეტ პროგნოზირებადობასა და უსაფრთხოებაზე და ამავდროულად ციხის ფორმალურ მმართველობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ხარვეზებია. ეს ყველაზე ცხადად მაშინ შეინიშნება, როდესაც ციხეთა სისტემა და ამ სისტემაში კონკრეტული ციხეების ზომა, თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, მართვის

26 ob. https://rm.coe.int/criminal-subculture-md-en-/1680796111

ეფექტურობას ვერ უზრუნველყოფს. მრავალი ემპირიული შემთხვევა ადასტურებს, რომ ციხეთა სისტემაში, რომელიც დიდი ზომით და მუდმივად მზარდი კონტიგენტით ხასიათდება, დიდი ალბათობით, ყალიბდება პატიმართა ძლიერი თვითმმართველობა, რაც შეიძლება გადაიზარდოს მტაცებლურ ბანდებში ან კრიმინალურ სუბკულტურაში. მაგალითად, ციხის ბანდიტური დაჯგუფებები ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 1950-იანი წლებიდან გამოჩნდნენ, როდესაც ციხის კონტიგენტი, წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა.[27] მსგავსი რამ მოხდა ბრაზილიაშიც. იქ 1990-იან წლებში დაწყებული ანტინარკოტიკული პოლიტიკის შედეგად, ციხის კონტიგენტი მკვეთრად გაიზარდა და ამან ბრაზილიის ციხეებში ციხის ბანდები გააძლიერა. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, აპარტეიდის რეპრესიულმა პოლიტიკამ წარმოშვა საოცრად მძლავრი ციხის ბანდა, რომელიც სამხრეთ აფრიკის მთელ ციხეთა სისტემაში დღესაც არსებობს.[28] ამ თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი კიდევ ერთ შემთხვევას წარმოადგენს, რადგან „კანონიერი ქურდების“ სუბკულტურა გაძლიერდა 1930-იანი წლებიდან, როდესაც გულაგის სისტემაში პატიმართა რიცხვმა რამდენიმე მილიონი შეადგინა. უფრო მეტიც, ძალიან რთულდება ოფიციალური მართვა იმ სისტემებისა, რომლებიც წარმოდგენილია რამდენიმე დიდი დაწესებულებით, სადაც პატიმართა რაოდენობა რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასეულამდე აღწევს.. ამ პირობებში სისტემის მართვა შეუძლებელი ხდება. ამრიგად, რაც უფრო დიდია პენიტენციური დაწესებულება, მით მეტი პირობა იქმნება პატიმართა მმართველობის წარმოშობისთვის.

ბ) ციხის პერსონალისა და პატიმრების არაპროპორციული თანაფარდობა კრიმინალურ სუბკულტურას აძლიერებს

როგორც უკვე აღინიშნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ციხის ფორმალური მმართველობის ხარვეზებით წარმოქმნილ სიცარიელეს ციხის ბანდები ავსებენ. როგორც წესი, ციხის ფორმალურ მმართველობაში დეფიციტი ჩნდება მაშინ, როდესაც პატიმრებსა და პერსონალს შორის თანაფარდობა შეუსაბამოა ციხეთა სისტემებში, სადაც ეს თანაფარდობა 3:1-ზეც კი მაღალია, შესაძლოა განვითარდეს პატიმართა თვითმმართველობის ცენტრალიზებული ფორმები, რომლებიც ციხის ადმინისტრაციებს უპირისპირდება. მაგალითად, ბრაზილიაში პატიმრებისა და თანამშრომლების პროპორცია 137:1-ია, სადაც 137 პატიმარზე 1 თანამშრომელი მოდის.[29] პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც მსგავსი მდგომარეობაა. მაგალითად, მოლდავეთში, „ბარენესტის“ ნახევრად ღია კოლონიაში, 2017 წელს 700 პატიმარი და 184 ციხის თანამშრომელი იყო. 184 თანამშრომლიდან მხოლოდ 46 ფორმიანი თანამშრომელი მუშაობდა უშუალოდ დაწესებულებაში და აქედან მხოლოდ 11 მორიგეობდა. 184 თანამშრომლიდან ყველაზე მეტი - 69 ადამიანი - ციხის გარე პერიმეტრს იცავდა. აქედან გამომდინარე, პატიმრებისა და სართულების/შიდა სივრცეების მუდმივად ზედამხედველი პერსონალის თანაფარდობა 64:1-ზე იყო.[30] ნაწილობრივ ამის გამოც, მოლდავეთის ციხეებში კრიმინალური სუბკულტურა მძლავრია და მტაცებლურ ორგანიზებულ დანაშაულთან არის დაკავშირებული.

გ) პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის უნდობლობა ხელს უწყობს კრიმინალურ სუბკულტურას

ციხის ადმინისტრაცია ოფიციალური მართვის განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ მის ავტორიტეტს პატიმრები ფარულად ან აშკარად აღიარებენ და თანახმა არიან დაემორჩილონ ოფიციალურ რეჟიმს. წესების ამგვარი დაცვის უზრუნველსაყოფად, ციხის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის გარკვეული ხარისხის ნდობაა საჭირო. ნდობის გამტკიცება, დიდწილად, პროცედურულ სამართლიანობასა და კომუნიკაციაზეა დამოკიდებული. პროცედურული სამართლიანობა გულისხმობს პერსონალის მხრიდან პატიმრებთან მოპყრობისას თავაზიან, სამართლიან და მიუკერძოებელ დამოკიდებულებას, რომელიც ითვალისწინებს პატიმართა მოსაზრებებს. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ მათ აქვთ გარკვეული კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, უსმენენ და ითვალისწინებენ მათ სამართლიან წუხილებს თუ მოთხოვნებს და სხვა პატიმრებთან თანაბრად და პატივისცემით ეპყრობიან. უამრავი კვლევით დასტურდება, რომ თუ წესები და პროცედურები ნათელია, მათი გასაჩივრება შეუძლიათ ძალაუფლებას მოკლებულებს და მათ იცავენ ძალაუფლების მქონენი, მაშინ ეს წესები სამართლიანად ითვლება და დიდი ალბათობით მათ დაემორჩილებიან კიდეც.[31]

27 Skarbek, D. (2014). *The social order of the underworld: How prison gangs govern the American penal system*. Oxford University Press/ „კრიმინალური სამყაროს სოციალური წესრიგი: როგორ მართავენ ციხის ბანდები აშშ-ს პენიტენციურ სისტემას“.

28 Steinberg, J. (2004). *Nongoloza's Children: Western Cape prison gangs during and after apartheid*. Braamfontein: Centre for the Study of Violence and Reconciliation/„ნონგოლოზას პირმშოები: დასავლეთის კონცხის ციხის ბანდები აპართეიდის პერიოდში და შემდგომ“.

29 King RD and Valensia B (2014) Power, Control, and Symbiosis in Brazilian Prisons. *South Atlantic Quarterly*, *113*(3): 503-528/„ძალაუფლება, კონტროლი და სიმბიოზი ბრაზილიის ციხეებში“ .

30 იხ. https://rm.coe.int/criminal-subculture-md-en-/1680796111

31 Tyler, T. R. (2006). *Why people obey the law*. Princeton University Press./„რატომ იცავენ ადამიანები კანონს“.

Tyler, T. R. (2003). Procedural justice, legitimacy, and the effective rule of law. *Crime and justice*, *30*, 283-357/„პროცედურული სამართლიანობა, ლეგიტიმურობა და ი კანონის უზენაესობა“.

შინაარსიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფასთან ერთად პატიმრებთან კომუნიკაციაში დროის ხარჯვა ციხის თანამშრომელთა სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს. მოლდავეთის ციხეებში ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, რომ ამ სისტემაში, სადაც კრიმინალური სუბკულტურა მყარად ფესვგადგმულია, ციხის თანამშრომლები პატიმრებთან კომუნიკაციაში თავიანთი სამუშაო დროის მხოლოდ 15%-ს ხარჯავდნენ. ეს, ცხადია, არა არის საკმარისი ნაცნობობისა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

პენიტენციურ დაწესებულებებში დინამიკური უსაფრთხოების (dynamic security) მიღწევა მხოლოდ ნდობის განმტკიცებით არის შესაძლებელი. დინამიკური უსაფრთხოება მოიაზრებს „ციხის პერსონალის ძირითადი ბირთვის მომზადებას და წახალისებას, რომ მათ იქონიონ პატიმრებთან პოზიიტიურ პირადი ურთიერთობა, იცნობდნენ მათ და ესმოდეთ მათი როგორც ცალკეული ინდივიდების წუხილები, თანაგრძნობით მოეკიდონ პატიმრებს და გაუწიონ დახმარება პირად საკითხებში, იქონიონ მათთან შინაარსიანი საუბრები. პატიმრებს ყველაზე ხშირი და ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ რიგითი თანამშრომლების ბირთვთან. სწორედ ამ თანამშრომლებთან მათი ყოველდღიური ურთიერთობის ხასიათი დიდ გავლენას ახდენს მათ ქცევასა და დამოკიდებულებებზე. პოზიტიური ურთიერთობები ამცირებს დესტრუქციულ ქცევასა და დამოკიდებულებებს და ხელს უწყობს პატიმრებთან კონსტრუქციულ მუშაობას. ამასთან, დინამიკური უსაფრთხოება საშუალებას იძლევა გამაფრთხილებელი ინფორმაცია წინასწარ იქნეს მიღებული და ინციდენტის გამწვავებამდე მოხდეს მისი განეიტრალება. ეს ციხის პერსონალს პრევენციული ზომების მიღების საშუალებას აძლევს“.[32]

დ) ინფორმატორების ფართოდ გამოყენება დინამიკურ უსაფრთხოებას აფერხებს

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხშირად ციხის რეჟიმი ეყრდნობა ოპერატიულ დანაყოფებს, რომლებიც ინფორმატორების სისტემის გამოყენებით იღებენ ინფორმაციას. ეს განსხვავდება დინამიკური უსაფრთხოების სისტემისგან, სადაც წახალისებულია ინფორმაციის დინება პატიმრებიდან პერსონალამდე და ასევე ციხის თანამშრომლებიდან პატიმრებისკენ. ამ საბჭოთა მანკიერი პრაქტიკის გამო, პატიმრები გაურბიან ციხის თანამშრომლებთან კონტაქტს, რათა არ მოხდეს მათთვის „ინფორმატორის“ („ჩამშვების“) იარლიყის მიწებება. ამ თვალსაზრისით, საბჭოთა კრიმინალური სუბკულტურა ქმნის დასჯისა და ზედამხედველობის ფორმებს და მკაცრად უსწორდება მათ, ვინც ინფორმაციას ციხის თანამშრომლებს გადასცემს. საბჭოთა ციხეთა სისტემა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით იმართებოდა და ეს მემკვიდრეობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აშკარად ვლინდება ციხის კონფრონტაციულ ინსტიტუციურ კულტურაში „ჩვენ და ისინი“. ინფორმატორების ფართო ქსელის ოპერირება შეუძლებელს ხდის დინამიკური უსაფრთხოების დამკვიდრებას.

ე) ციხის პერსონალს გააჩნია საკუთარი სუბკულტურა, რომელიც კრიმინალურ სუბკულტურასთან შეიძლება თანაარსებობდეს

ის პრაქტიკა, რომელსაც თანამშრომლები მისდევენ და მათი დამოკიდებულებები შეიძლება გამოხატავდეს მხარდაჭერას პატიმართა მტაცებლური თვითმმართველობის მიმართ. მაგალითად, თანამშრომელმა ახალმიღებულ და კარანტინში განთავსებულ პატიმარს, შესაძლოა „სუბკულტურული“ შინაარსის კითხვები დაუსვას მისი განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. პერსონალი ხშირად ერთად ათავსებს ერთი გავლენის ჯგუფს მიკუთვნებულ პატიმრებს მათი არაფორმალური სტატუსის მიხედვით. ასევე დამკვიდრებულია პრაქტიკა, როდესაც მაგალითად, თანამშრომლები ციხის ლიდერ პატიმრებს უფლებას აძლევენ სხვა პატიმრები გამოიძახონ დასათვლელად. თანამშრომლები ლიდერ პატიმრებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, გარკვეულ პრივილეგიას ანიჭებენ, მაგალითად, ძალადობის გამოყენების უფლებას აძლევენ დაწესებულებებში წესრიგის დამყარების სანაცვლოდ. ცხადია, აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს სისტემის მესვეურთა მიერ სუბკულტურის არაფორმალური წესებისა და იერარქიული სტრუქტურის აღიარებაზე. ეს ყოველივე პატიმართა კონტიგენტს აიძულებს მიიღონ კრიმინალური სუბკულტურა, როგორც გარდაუვალი რეალობა და ნაკლებად გაუწიონ მას წინააღმდეგობა.

32 Management by Prison Administrations of Life-Sentence and Other Long-Term Prisoners, Recommendation REC (2003)23, Adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 9 October 2003, para. 73/„ციხეების ადმინისტრაციების მიერ უვადო და გრძელვადიანი პატიმრების მართვა“.

ვ) ციხეების სათანადო რესურსებით აღჭურვა შეაჩერებს კრიმინალური ლიდერების მიერ „შავი ბაზრების“ მართვას

იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციას პატიმართა ადეკვატური საცხოვრებელი პირობებისა და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსები არ გააჩნია, საქონლისა და მომსახურების მიწოდებას წარმოშობილი „შავი ბაზარი“ უზრუნველყოფს. ამ „ბაზარს“ სჭირდება მართვა იმისათვის, რომ იმუშაოს და ამისათვის პატიმრები არაფორმალურ იერარქიას და ბანდას ქმნიან. მაგალითად, ყირგიზეთში, სადაც კრიმინალური სუბკულტურა ძლიერია, პენიტენციური სამსახური კოლონიების სამართავად ვერ ახერხებს ძირითადი სოციალური მომსახურებისა და რესურსების უზრუნველყოფას .

ცნობისთვის, 2016 წელს ყირგიზეთის პენიტენციური დეპარტამენტის ბიუჯეტი, პენიტენციური სისტემის საჭიროებების მხოლოდ 35%-ს აკმაყოფილებდა.[33] ამიტომ პატიმრები იძულებულნი იყვნენ, საჭმლის, მხარდაჭერის, უსაფრთხოებისათვის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ერთმანეთზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. ამასთან ერთად, ამ სისტემაში მომუშავე პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი, მათი სახელფასო სარგო ძალზედ მწირია და ამიტომ ისინი კორუფციაშიც არიან ჩართულნი.[34] ასეთ ვითარებაში, პატიმრებს საკუთარი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, რესურსების გაერთიანების შესაძლებლობა ეძლევათ და წვდომა აქვთ დაშვებულ და აკრძალულ ნივთებზე. ეს ყოველივე ახდენს ციხის გარემოს ერთგვარ კომერციალიზაციას და პატიმრებს დამოკიდებულს ხდის მათზე, ვისაც შეუძლია ამ მომსახურებებისა და საქონლის მიწოდება. მსგავსი დე-ფაქტო პრივატიზაციის ფორმა ციხის ფორმალური რეჟიმის ავტორიტეტს აკნინებს და აძლიერებს პატიმართა არაფორმალური თვითმმართველობის სტრუქტურების ავტორიტეტსა და შესაძლებლობებს.

ზ) ბარაკული ტიპის არქიტექტურა და საცხოვრებელი პირობები კრიმინალური სუბკულტურის აღმოცენებას უწყობს ხელს, თუ პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი, მაგრამ არც სასაკნე ტიპის დაწესებულება წარმოადგენს პანაცეას

როდესაც პატიმრები იწყებენ თვითმმართველობას, ციხის არქიტექტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ მმართველობის უნარიანობისა და ავტონომიის ფორმირებაში. იმ ციხეებში, სადაც ციხის არქიტექტურა ღია და კოლექტიური ცხოვრების საშუალებას იძლევა, მეტი ალბათობაა იმისა, რომ პატიმართა თვითმმართველობა გავრცელდეს ციხის მასშტაბით და ციხეებს შორის, ვიდრე სასაკნე ტიპის დაწესებულებებში.[35] კომუნალური ცხოვრების პირობებში, პატიმრებს ერთმანეთის ახლოდან დაკვირვების და არაფორმალური წესების აღსრულების მეტი საშუალება აქვთ. საბჭოთა კავშირის ციხეთა სისტემაში ღია ტიპის (ბანაკები და კოლონიები) დაწესებულებები და მათ შორის პატიმართა ხშირი გადაყვანა განაპირობებდა პატიმართა მძლავრი თვითმმართველი სტრუქტურის ჩამოყალიბებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ნახევრად ღია დაწესებულებებში პატიმრების დიდი რაოდენობა გვხვდება, იქ პატიმრები სექტორალურად ცხოვრობენ, თავის მხრივ, სექტორები იყოფა პატარ-პატარა ჯგუფებად. მაგალითად, ლიეტუვაში, საერთო რეჟიმის დაწესებულებებში 1 სექციაში 100 კაცია განთვსებული და საკნებში 20-20 პატიმრად ცხოვრობენ.[36] ერთ სექციაში მცხოვრებ პატიმრებს ერთმანეთის ნახვა თავისუფლად შეუძლიათ. მოლდავეთშიც მსგავსი სექციური დანაყოფებია და მათ ეწოდებათ ე.წ. საცხოვრებელი ზონები. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ყველა პატიმარს, განურჩევლად მისი დანაყოფის, სექტორისა თუ საკნისა, დაწესებულების ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში გადაადგილება თავისუფლად შეუძლია. მაგალითად, ლიეტუვაში სექტორის ზომები შეამცირეს და კრიმინალური სუბკულტურის ლიდერები ერთ სექტორში, იზოლაციაში მოაქციეს. ამან კრიმინალური სუბკულტურის გავლენა შეასუსტა.

დღეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა თანხმდება იმ გარემოებაზე, რომ ღია კოლონიის ტიპის დაწესებულებები კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებას უწყობს ხელს. ამ მხრივ საქართველომ პირველმა შეძლო და საბჭოთა სტილის ციხის სისტემის მოდერნიზაციას შეუდგა. თუმცა, საქართველოში კვლავ რჩება კოლონიის ტიპის ციხეები, სადაც კრიმინალური სუბკულტურის გავრცელების მაღალი შესაძლებლობა არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ სასაკნე ტიპის სისტემები თავისთავად არ ახდენს პატიმართა თვითმმართველობის პრევენციას. ამერიკის შეერთებული შტატები კლასიკური მაგალითია ქვეყნისა, რომელსაც აქვს სასაკნე სისტემის პენიტენციური დაწესებულებები და შესწევს უნარი, რომ პატიმრების განცალკევება საკნების მეშვეობით

33 ყირგიზეთის ადამიანის უფლებათა დამცველის აპარატი (2016), „ადამიანის უფლებები ყირგიზეთის რესპუბლიკაში“, ბიშკეკი.
34 Cowley, A., Ryan, C. M., & Dunn, E. C. (2015). The Law, the Mafia, and the Production of Sovereignties in the Kyrgyz Penal System. *Ab Imperio*, *2015* (2), 183-208/„კანონი, მაფია და უზენაესი ძალაუფლების წარმოშობა ყირგიზეთის პენიტენციურ სისტემაში“.
35 Piacentini, L., & Slade, G. (2015). Architecture and attachment: Carceral collectivism and the problem of prison reform in Russia and Georgia. *Theoretical Criminology*, *19* (2), 179-197/„არქიტექტურა და მიჯაჭვულობა: კარცერული კოლექტივიზმი და ციხის რეფორმის პრობლემა რუსეთსა და საქართველოში“.
36 Vaičiūnienė, R., & Tereškinas, A. (2017). Transformations in prison subculture and adjustment to imprisonment in Post-Soviet Lithuanian penitentiary institutions. *East European Politics and Societies*, *31* (3), 659-679/„ტრანსფორმაციები ციხის სუბკულტურაში და პატიმრობისადმი ადაპტაცია პოსტსაბჭოთა ლიეტუვის პენიტენციურ დაწესებულებებში“.

მოახდინოს, თუმცა როგორც არაერთხელ აღინიშნა, იქ ბანდების პრობლემა მაინც აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურა მნიშვნელოვანია კრიმინალური სუბკულტურის ძალაუფლებისა და გავრცელების სამართავად, სასაკნე ტიპის დაწესებულებები არ გვევლინება პანაცეად.

თ) დაკანონებული წახალისების მექანიზმები მნიშვნელოვანია კრიმინალური სუბკულტურის მიმზიდველობის შესამცირებლად

უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ პატიმართა მმართველობაში ჩართულობა ბევრ პატიმარს ანიჭებს ცხოვრების აზრს და მიზანს. ციხის რეჟიმები, შესაძლოა, არ იძლეოდეს პატიმრებისთვის საკმარის წახალისებას, რათა მათ უარყონ კრიმინალური სუბკულტურა და ბანდების წევრობა. ნაცვლად ამისა, თუ ციხის ადმინისტრაცია მდუმარედ აღიარებს პატიმართა მმართველობის არსებობას, უშვებს პრივილეგიებს, ნაცვალგების შესახებ შეთანხმებებს აღწევს კრიმინალურ ლიდერებთან, ამით ის მხოლოდ ახალისებს პატიმართა მიერ თვითმმართველობის აღიარებას და მხარდაჭერას ფორმალური მმართველობის წინააღმდეგ.

ამ ყოველივეს ნაცვლად, ციხის ადმინისტრაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ინსტრუმენტების ნაკრები, რათა წაახალისონ პატიმრებში არამხოლოდ ზოგადად კარგი ქცევა, არამედ კონკრეტულად ისეთი ქცევა, რომელიც უარყოფს კრიმინალურ სუბკულტურას და ბანდების საქმიანობას. ერთ-ერთ კვლევაში საინტერესო შედეგები ჩანს, მაგალითად, უკრაინაში პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გააქტიურების მეშვეობით კრიმინალური სუბკულტურის გავლენა შემცირდა.[37] თუმცა, იმისათვის, რომ ამ მიდგომამ იმუშაოს, პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის პროცედურები და შედეგები უნდა იყოს გამჭვირვალე, რეალისტური და განჭვრეტადი პატიმრებისთვის. გადასადგმელია ნაბიჯები იმ მიმართულებითაც, რომ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის დროს, გათვალისწინებული იყოს ბანდების წევრობა და კრიმინალური სუბკულტურისადმი დამოკიდებულება. ეს ფაქტორები რისკებისა და საჭიროებების შეფასებაშიც უნდა ფიგურირებდეს.

ისეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორიცაა ლიეტუვა და მოლდავეთი, პატიმართა გარკვეული ჯგუფები წარმოიშვა, რომლებიც აქტიურად უარყოფენ კრიმინალურ სუბკულტურას. მნიშვნელოვანია ამ პატიმრების მხარდაჭერა და მათი დაჯილდოება პროსოციალური და თანამშრომლობითი ქცევისთვის. დარგის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რიგი აქტივობების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ბანდის წევრობასთან ან არაფორმალურ იერარქიულ პოზიციასთან დაკავშირებული გამოკვეთილი იდენტობების დაძლევა. ასეთი აქტივობების რიცხვში შედის სპორტი და კოლექტიური ხელოვნების პროექტები.[38] უფრო მეტიც, ვინაიდან კრიმინალური სუბკულტურით გატაცება და მასში მონაწილეობა, შესაძლოა უკავშირდებოდეს მიზნობრივი აქტიობების ნაკლებობას, ამიტომ ამ მიზიდულობის შესამცირებლად მნიშვნელოვანია არსებობდეს დასაქმების შესაძლებლობა, როგორც წახალისებისა და დამსახურებული პრივილეგიების პროგრესული რეჟიმის ნაწილი.

მიზნობრივი საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული აქტივობების განხორციელებისას, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფრო ჩართულები უნდა გახდნენ ციხის ცხოვრებაში. სოციალური ფსიქოლოგები ბევრს წერენ იმის შესახებ: რაც უფრო დიდხანს გრძელდება იზოლაცია, იზოლაციაში (მაგალითად, პატიმრები) ან საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფები, სულ უფრო მეტად აძლიერებენ საერთო რწმენას და ნორმებს (მათ შორის სუბკულტურულს) და გარე ჯგუფებთან შედარებით უფრო ინტენსიურად იწყებენ თავიანთ ჯგუფთან იდენტიფიცირებას.[39] რაც უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ციხის გარე სამყარომ მეტი ზეგავლენა მოახდინოს პატიმრებზე, მით უფრო სუსტი იქნება კრიმინალური სუბკულტურის ფასეულობების, რწმენების, იდეებისა და ნორმების შენარჩუნება.

ი) პატიმრების გადაყვანა დაწესებულებებს შორის კრიმინალური სუბკულტურის გავრცელების საზღვრებს აფართოებს

მას შემდეგ, რაც „მტაცებლური“ თვითმმართველობა წარმოიშობა ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში, ის შეიძლება გავრცელდეს მთელ სისტემაში. მისი გავრცელება ნაწილობრივ დამოკიდებულია ციხიდან ციხეში პატიმართა გადაყვანის სიხშირეზე, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ თვითმმართველი სტრუქტურა იქაც წარმოიშობა. ციხიდან გადაყვანა გულისხმობს მიმღებ დაწესებულებაში და იქიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანას სასჯელის დამძიმებისას, სასამართლო სხდომაზე დასასწრებად გაყვანას და სხვა. მოლდავეთისა და ყირგიზეთის ციხეთა სისტემის კვლევებიდან ჩანს, რომ მიმღები ციხეები

37 Symkovych, A. (2018). The ‘inmate code’ in flux: A normative system and extralegal governance in a Ukrainian prison. *Current Sociology*, *66* (7), 1087-1105/„პატიმროზის კოდექსი მიმოქცევაში: ნორმატიული სისტემა და კანონგარე მმართველობა უკრაინის ციხეში“.

38 იხ. მოლდავეთის შესახებ მაგალითი აქ: https://nettsteder.regjeringen.no/norlam/files/2017/08/SDC_project_proposal_ENG_1.pdf

39 McCauley, Clark, and Sophia Moskalenko. “Mechanisms of political radicalization: Pathways toward terrorism.” *Terrorism and political violence* 20.3 (2008): 415-433/„პოლიტიკური რადიკალიზაციის მექანიზმები: ტერორიზმისკენ მიმავალი გზები“.

შესაძლოა ფუნქციონირებდნენ როგორც მთლიანად პენიტენციურ სისტემაში ინფორმაციის გავრცელების წყარო, კომუტატორი, რაც კრიმინალური სუბკულტურის გავლენის მთელს სისტემაზე გავრცელებას უწყობს ხელს.

კ) პერსონალის კორუფცია დიდწილად უწყობს ხელს კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებას

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებასა და მისი მასშტაბების გავრცელებას უწყობს ხელს, ციხეში კორუფციისა და დარღვევების არსებობაა. როგორც აღინიშნა, მოლდავეთის ციხეების იმ ნაწილში, სადაც შედარებით ძლიერი იყო სუბკულტურა, პერსონალისა და პატიმრების აღქმით კორუფცია გაცილებით მეტად იყო გავრცელებული.[40] იქ, სადაც თანამშრომლების მოსყიდვა შესაძლებელი ხდება, პატიმართა თვითმმართველობის ავტონომია შეიძლება გაიზარდოს, რადგან თანამშრომლებს უხდიან იმაში, რომ მათ თვალი დახუჭონ დარღვევებზე ან მხარი დაუჭირონ არაფორმალურ სუბკულტურას. კორუფციის ერთ-ერთი შედეგი შავი ბაზრის ზრდაა. ეს ბაზარი „მტაცებელი“ ჯგუფების ძალაუფლების წყაროა, რადგან მას სწორედ ისინი აკონტროლებენ. კორუფცია ასევე ზრდის მობილური ტელეფონების გამოყენებას ციხეებში. ეს კი, თავის მხრივ, დიდწილად აძლიერებს პატიმართა „მტაცებლური“ თვითმმართველობის უნარს მოახდინონ ციხეებს შორის კოორდინაცია და გავლენის გავრცელება. მობილური ტელეფონები ასევე ზრდის ციხის გარეთ არსებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გავლენას და მათთან ციხის ბანდების ურთიერთქმედებას. ამასთანავე, იმ ციხეთა სისტემაში, სადაც თანამშრომლები პატიმრებზე ძალადობენ, პატიმართა თვითმმართველობის ავტორიტეტი იზრდება, რადგან პატიმართა ბანდებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმოჩინდნენ როგორც ძალადობრივი სახელმწიფოს მსხვერპლი და პატიმართა საზოგადოების დამცველი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პატიმართა თვითმმართველობა შეიძლება გახდეს „მტაცებლური“, თუ მას არ აკონტროლებს ციხის ადმინისტრაცია, თუ ის კოორდინაციას ახორციელებს სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში და იძენს უფრო დიდ ავტორიტეტსა და ძალაუფლებას, ვიდრე ოფიციალური სტრუქტურები. სუბკულტურის ჰეგემონიას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს:

- მრავალრიცხოვანი ციხის კონტიგენტი;
- ციხის დიდი მასშტაბი;
- პატიმრებისა და ციხის პერსონალის მაღალი თანაფარდობა;
- პერსონალი თანმიმდევრულად არ უხსნის პატიმრებს და არ იცავს არსებულ წესებს ნეიტრალურად, პატივისცემით და გამჭვირვალედ;
- პერსონალი ინფორმაციის შეკრებისთვის, ძირითადად, ეყრდნობა ფარულ ინფორმატორებს და არა კარგ ურთიერთობებს პატიმრებთან და თანაგანცდაზე დამყარებულ ურთიერთობებს;
- ციხეებში ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს პატიმართა საბაზისო საჭიროებებისათვის საკმარის მატერიალურ საქონელსა და მომსახურებას, რაც განაპირობებს შავი ბაზრის წარმოშობას და ქმნის ამ ბაზრის მართვაზე მოთხოვნას;
- არაფორმალური წესებისა და სტრუქტურის გავრცელების შესუსტების მიზნით, არქიტექტურული რესურსები და ინფრასტრუქტურა ად არ არის გამოყენებული;
- ციხეში პატიმრებისთვის მიზნობრივი ღონისძიებები მწირია, ასევე შეზღუდულია წახალისების მექანიზმები კრიმინალური სუბკულტურის უარყოფისთვის;
- პატიმრების გადაყვანა ციხეთა სისტემაში ხშირია, განსაკუთრებით საპატიმრო დაწესებულებიდან და ასეთ დაწესებულებაში;
- ციხის თანამშრომლები კორუმპირებულნი არიან და პატიმრებში გავრცელებულია მობილური ტელეფონები.

აღნიშნული ფაქტორების წარმოდგენილი ჩამონათვალი მიუთითებს იმ რეფორმებზე, რომელთა გატარება აუცილებელია პატიმართა „მტაცებლური“ თვითმმართველობის დასაძლევად. ეს რეფორმები ქვემოთაა ჩამოთვლილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პენიტენციური სამსახურის “პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში“ ეს ფაქტორები დიდწილად გათვალისიწინებულია.[41] ქვემოთ ფრჩხილებში მითითებულია ცალკეული რეფორმის შესატყვისი აქტივობები, რომლებიც სამოქმედო გეგმაშია წარმოდგენილი:

40 იხ. https://rm.coe.int/criminal-subculture-md-en-/1680796111
41 სამოქმედო გეგმა http://www.sps.gov.ge/images/temp/2019/05/30/9ea9d3366ac754cda904733deb28301e.pdf.

- პატიმართა რაოდენობისა და ციხეთა ზომის შემცირება (A1);
- ციხეებში თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა (G2.1, G2.2, G2.5);
- თანამშრომელთა მოზიდვა (რომელთაც არ უმუშავიათ სამართალდამცავ უწყებებში) და მათი მომზადება პროცედურული სამართლიანობისა და დინამიკური უსაფრთხოების საკითხებში (G2.2, G3);
- თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობის წახალისება, ინფორმატორებსა და ოპერატიულ მუშაკებზე დამყარებული მართვის შესამცირებლად (C2.1);
- საპატიმრო პირობების საბაზისო სტანდარტების უზრუნველყოფა საკვების, მედიკამენტებისა და ტანსაცმლის მიწოდებით; პატიმრების მიერ ფორმალური ან არაფორმალური სახის სერვისების პრივატიზების დაუშვებლობა (A1.1, A1.3, E1);
- არსებული არქიტექტურული რესურსის გამოყენება; საჭიროების შემთხვევაში კრიმინალური ლიდერების იზოლირება; იმის გათვალისწინება, რომ თავისთავად სასაკნე სისტემა არ წარმოადგენს არც აუცილებელ და არც საკმარის წინაპირობას „მტაცებლური“ თვითმმართველობის სისტემის შესაჩერებლად (A1);
- პროსოციალური ქცევისთვის, რომელიც უარყოფს კრიმინალურ სუბკულტურას, წახალისების მექანიზმების შექმნა, მიზნობრივი დასაქმებისა და დასვენების ღონისძიებების ჩათვლით (B1, B2, D2, E3);
- მონიტორინგის მექანიზმებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართვა, რათა კრიმინალური სუბკულტურის გავლენა შემცირდეს (D1.3, D2.3, D3 და F2.1);
- ზედმეტი გადაყვანების რიცხვის შემცირება და სისტემაში პატიმართა გადაადგილების შეზღუდვა; სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებში (A1.2);
- ორგანიზებულ დანაშაულზე, კორუფციასა და უფლებების დარღვევებზე (პატიმართა და თანამშრომლეთა მიერ) კანონის სრული სიმკაცრით რეაგირება (C2.3).

ლ) საქართველოს პენიტენციური სამსახურის ზემოთაღნიშნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში უნდა აღინიშნოს კრიმინალური სუბკულტურის არსებობის შესახებ და განისაზღვროს მისი დაძლევის პოლიტიკა

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიაში გათვალისწინებული რეფორმები მოიაზრებს ისეთი ზოგადი პირობების შექმნას, რომელიც ნაკლებად იქნება ხელშემწყობი პატიმართა „მტაცებლური“ თვითმმართველობის წარმოშობისა და არსებობისთვის. თუმცა, ზემოაღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არცერთ პუნქტში არ არის ნახსენები და ყურადღება გამახვილებული კრიმინალურ სუბკულტურაზე. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს კრიმინალური სუბკულტურის დასაძლევად, მისი არსებობის აღიარება და პრევალენტობის შეფასებაა. მაგალითად, რისკების შეფასების გეგმის შემუშავებისას, პატიმრებისა და ციხეების განმეორებითი კლასიფიკაციისას ან კარგი ქცევის წახალისებისას, უნდა მოხდეს კრიმინალური სუბკულტურის არსებობის ღიად აღიარება და წარმატების გაზომვა სუბკულტურის გავლენის შემცირების თვალსაზრისით, რაც ვლინდება პატიმრის მიერ მისი აშკარა უარყოფით. კრიმინალურ სუბკულტურასთან წარმატებული ბრძოლა მოითხოვს კონკრეტული ზომების მიღებას მისი გავლენის და მასშტაბის შემცირების მიმართულებით, როგორც ცალკეულ პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე მთლიანად სისტემაში.

სამოქმედო გეგმის მხოლოდ ერთი სექციაშია (C2)[42] საუბარი პატიმრებს შორის ძალადობაზე და ამ სექციაშიც კი სიტყვა „კრიმინალური სუბკულტურა“ მკაფიოდ არ არის სახელდებული. C2 სექციის მიზნები და აქტივობები მოიცავს:

42 C2.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შორის ძალადობასთან გამკლავების მექანიზმის გაუმჯობესება, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიების გამოყენებას, პერსონალის გადამზადებას, დინამიკური უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წახალისების მექანიზმის გათვალისწინებით.
C2.2. კრიზისულ სიტუაციებსა და არეულობასთან (წესრიგის მასობრივ დარღვევასთან) გამკლავების მექანიზმის გადახედვა და მისი შემდგომი განვითარება: არსებული მექანიზმი გადახედილია და კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავების გეგმა შემუშავებულია, რომელიც მოიცავს თანამშრომლებისთვის შესაბამისი ტრენინგით უზრუნველყოფას.
C2.3. პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთან/ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები: ცვლილებათა კანონპროექტი შემუშავებულია.
C2.4. გაუმჯობესებული სამუშაო პირობები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში: გამოწვევები განსაზღვრულია და შემუშავებულია არსებული ხარვეზების გამოსწორების გეგმა.

- C2.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შორის ძალადობასთან გამკლავების მექანიზმის გაუმჯობესებას;
- C2.2. კრიზისულ სიტუაციებსა და არეულობასთან (წესრიგის მასობრივ დარღვევასთან) გამკლავების მექანიზმის გადახედვასა და მის შემდგომ განვითარებას;
- C2.3. პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთან/ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ გეგმის ეს სექცია მოიცავს დინამიკური უსაფრთხოების განვითარებასა და თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მიზნები C2.2 და C2.3 უფრო მეტად რეაქციულია და ნაკლებად არის პრევენციაზე ორიენტირებული. ამ დოკუმენტში არ ჩანს ოპერატიული მუშაობისა და ინფორმატორებზე დამოკიდებულების რეფორმირება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გეგმა მოიცავს ჩანასახს ისეთი პირობების შექმნისათვის, როცა კრიმინალურ სუბკულტურას გაუჭირდება გაძლიერება, ის მაინც ზედაპირულად აღიარებს პრობლემის არსებობას და მისი გადაჭრისთვის საჭირო პირდაპირ ღონისძიებებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მივუბრუნდებით პოლიტიკის დონეზე გატარებული იმ კონკრეტული ღონისძიებების მაგალითებს, რომლებიც პატიმართა „მტაცებლური“ მმართველობის დაძლევაზე იყო მიმართული და მიმოვიხილავთ თუ რისი გათვალისწინება შეიძლება მიღებული გამოცდილებით. შემდეგი თავი ეძღვნება სხვადასხვა ინტერვენციებსა და მათ დადებით თუ უარყოფით ასპექტებს.

5. „მტაცებელი“ თვითმმართველობის პრევენციის სტრატეგიები

მტაცებელ პატიმართა თვითმმართველობის პრობლემას სხვადასხვა ციხეთა სისტემებში განსხვავებული ფორმებით მიუდგნენ. ეს სტრატეგიები მოიცავს, როგორც ძირითადად რეპრესიული სახის ინტერვენციებს, ასევე ისეთ მიდგომებს, რომელიც ცდილობს თვითმმართველი ჯგუფების მოდიფიცირებას, რათა გახადოს ისინი კონტროლირებადი, ადმინისტრაციის საჭიროებებს მორგებული და ყველა პატიმრის მიმართ ანგარიშვალდებული. საერთო ჯამში, კრიმინალური სუბკულტურისა და ბანდების პრობლემაზე რეაგირების სტრატეგიები მოიცავს მთელ სპექტრს კონტროლზე ორიენტირებული მოდელიდან დაწყებული, კონსესუსსა და თანამმართველობის მოდელებით დამთავრებული.

კონტროლზე ორიენტირებული მოდელი ცდილობს ჩაახშოს პატიმართა მმართველობა ციხის თანამშრომლების გაძლიერებით, ციხეში მკაცრი ცხოვრების პირობების შექმნით, სადაც გართულებულია პატიმართა შორის კოორდინაცია, შეზღუდულია მათი კომუნიკაცია და ურთიერთქმედება და იზოლირებულნი არიან ლიდერი პატიმრები. თანამმართველობის მოდელი, ამის საპირისპიროდ, მიზნად ისახავს პატიმართა ჩართულობას ციხის მართვის პროცესებში, ფორმალიზებული და გამჭვირვალე სტრუქტურების მეშვეობით, რომელიც პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობების მედიაციას უწყობს ხელს. ეს სტრუქტურები მოითხოვს დემოკრატიული კონტროლის განხორციელებას თავად პატიმრებისგან და თანამშრომლებისაგან და ზედამხედველობას ციხის გარეთ არსებული ორგანოების მხრიდან.

ა) კონტროლზე ორიენტირებული მოდელი ბანდების აქტივობებს ამცირებს, თუმცა შესაძლოა ქონდეს ნეგატიური შედეგებიც

აშშ-ს ზოგიერთ შტატში გარკვეულ ციხეებში იყენებენ უსაფრთხოების განმტკიცებაზე ორიენტირებულ კონტროლის მოდელს. ეს მოდელი აქცენტს აკეთებს და მოიცავს სამართალდამცავ ორგანოთა შორის ბანდების საქმიანობაზე სადაზვერვო მუშაობის წარმოებასა და ინფორმაციის გაზიარებას, ბანდის ლიდერთა იზოლაციას და ცალკე დაწესებულებაში გადაყვანას, პენიტენციური დაწესებულებების ბანდების გავლენისაგან გათავისუფლებას.[43] ბრაზილიაც მსგავს მიდგომას იყენებს. ეს ჩახშობის სტრატეგიები, ხშირად წინააღმდეგობრივია. მაქსიმალური უსაფრთხოების დაწესებულებებში განთავსებაც კი ბანდის ლიდერების კომუნიკაციის არხებს ბოლომდე ვერ ახშობს. ბანდის ლიდერების სხვა დაწესებულებაში გადაყვანამ ბანდის გავლენის გავრცელება შეიძლება გამოიწვიოს, ისე როგორც ეს ბრაზილიის ციხეებში მოხდა,[44] ხოლო იზოლაციაში პატიმრების ხანგრძლივად დატოვება მათ რეინტეგრაციას ართულებს. ამასთან ერთად, ჩახშობის პოლიტიკამ, შესაძლოა, კრიმინალური ლიდერებისა და ბანდების სტატუსის გაძლიერების რისკი წარმოშვას. ჩახშობის სტრატეგია უადვილებს კრიმინალურ ლიდერებს თავის მსხვერპლად წარმოჩენას და

43 Winterdyk J and Ruddell R (2010). Managing Prison Gangs: Results From A Survey of U.S. Prison Systems. *Journal of Criminal Justice*. 38 (4): 730-736/„ციხის ბანდების მართვა: აშშ-ს პენიტენციური სისტემებში გამოკითხვის შედეგები“.

44 Lessing B (2017). Counterproductive Punishment: How Prison Gangs Undermine State Authority. *Rationality and Society*, 29 (3): 257-297/ „კონტრპროდუქტიული სასჯელი: როგორ აქვეითებენ ციხის ბანდები სახელმწიფოს ავტორიტეტს“.

ამით დიდების შარავანდედით შემოსვას. უფრო მეტიც, პატიმრების ის კატეგორია, რომელიც თავს ბანდას არ მიაკუთვნებს, შესაძლოა გარკვეული თანაგრძნობით განიმსჭვალოს მათ მიმართ, რადგან ბანდა სახელმწიფოს რეპრესიული და ძალადობრივი სისტემისაგან დამცველად წარმოჩინდეს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კრიმინალური სუბკულტურის მიმართ მსგავსი კეთილგანწყობა უდავოდ აშკარაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩახშობის სტრატეგიის განხორციელება ძვირი ჯდება. ამ სტრატეგიის მიხედვით ბანდის აქტიურობის ჩასახშობად პატიმრებისა და პერსონალის თანაფარდობა მაქსიმალურად პროპორციული უნდა იყოს, საჭიროა ინტენსიური ზედამხედველობა, ტექნოლოგიებში მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადება და არქიტექტურული რესურსების მობილიზება, რაც იძლევა პატიმრების ი განცალკევებისა და იზოლაციის შესაძლებლობას.

ბ) საქართველოს მცდელობა განეხორციელებინა კონტროლზე დაფუძნებული მოდელი

2004-2012 წლებში ქვეყნის ხელისუფლებამ სუბკულტურის ჩახშობის ანუ კონტროლის სტრატეგიას მიმართა. ამ პერიოდში ახლად აშენებულმა და განახლებულმა ციხეებმა, ციხის თანამშრომლებს საშუალება მისცა მოეხდინათ კრიმინალური ლიდერების იზოლაცია. მაღალი ავტორიტეტის მქონე კრიმინალური ლიდერები განათავსეს ყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში, სადაც სატელეფონო სიგნალები ჩახშობილი იყო. ციხის პერსონალი იყენებდა პატიმართა იძულებისა და იზოლაციის სტრატეგიას, იმისათვის, რომ პატიმრების დიდ ნაწილს უარი ეთქვა კრიმინალური სუბკულტურის მიმდევრობაზე. სისტემაში კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებული პრაქტიკა აკრძალული იყო და მკაცრად ისჯებოდა. ეჭვს არ ბადებს, რომ ციხეების მართვის ამ სტრატეგიამ ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენა ნამდვილად შეამცირა. ყოფილ პატიმრებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ რეფორმამდე პერიოდში ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენა მთელს სისტემაში ყველგან საგრძნობი იყო, ხოლო რეფორმის გატარების პერიოდში და მას შემდეგ გავლენა შემცირდა და ამან პატიმართა უმრავლესობაში დაბნეულობა და წუხილი გამოიწვია, რადგან კრიმინალური სუბკულტურა ციხის კონტიგენტის დიდი ნაწილის ყოველდღიურობაში გარკვეულ წესრიგს ქმნიდა.[45]

2012 წლიდან ამ პოლიტიკის ხარვეზები გამოაშკარავდა. იმ პერიოდში საქართველოს ციხეთა სისტემა არ ხასიათდებოდა ღიაობით და საკმარისი ანგარიშვალდებულებით, რათა ციხის მართვის არჩეული სტრატეგია ძალადობის მანქანად არ გადაქცეულიყო. თვალშისაცემი იყო ის გარემოებაც, რომ კრიმინალური სუბკულტურის გარეშე ციხის პერსონალსა და პატიმრებს შორის მედიაცია შეწყდა, ამან კი თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ძალადობას შეუწყო ხელი, ძალის გადამეტებით დაწყებული წამების სისტემური პრაქტიკით დამთავრებული, რათა ამოეძირკვათ კრიმინალური სუბკულტურა და ციხის კონტიგენტზე კონტროლი დაემყარებინათ. საქართველოს ციხეებში წამების პრაქტიკის შესახებ 2013 წელს ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 2004-2012 წლებში ციხეებში გავრცელებული ძალადობა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები უკავშირდებოდა კრიმინალურ სუბკულტურას. კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის მსხვერპლნი ამის გამომწვევ მიზეზად კრიმინალური სუბკულტურის წესების ე.წ. „გაგების“ მიხედვით ცხოვრებას, და არაფორმალური ლიდერი პატიმრების მიმართ გამოხატულ მხარდაჭერას ასახელებდნენ.[46] ამ სკანდალური კვლევიდან რამდენიმე წლის შემდეგ ცალკეულ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურა კვლავ აღმოცენდა.

გ) თანამმართველობის მოდელი უფრო იაფი ჯდება და ადამიანის უფლებების დაცვასაც მეტად უზრუნველყოფს

პატიმართა მმართველობის ჩახშობის კონტროლზე დაფუძნებული მოდელის ალტერნატივა პასუხისმგებლობის, კონსესუსის ანუ თანამმართველობის მოდელია.[47] ეს მოდელი მიმზიდველი უნდა იყოს ისეთი საშუალო და დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რადგან აღნიშნულ ქვეყნებს ნაკლები რესურსები გააჩნიათ პენიტენციური სისტემისთვის, ხოლო ეს მოდელი არ მოითხოვს ციხეების ახალ ან განახლებულ ინფრასტრუქტურას და ნაკლები დანახარჯებით შეიძლება მისი განხორციელება. ხარჯვითი ნაწილის მიუხედავად, ამ მოდელის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ის რეალისტურია, რადგან ნებისმიერ ციხეში წესრიგის დამყარება პატიმრებთან ერთობლივი ძალისხმევით უნდა ხდებოდეს. აღნიშნული მოდელი ციხის

45 Slade G (2016). Violence as Information during Prison Reform: Evidence from the Post-Soviet Region. *British Journal of Criminology*, *56* (5): 937-955/„ძალადობა, როგორც ინფორმაცია ციხის რეფორმის მიმდინარეობისას: მტკიცებულებები პოსტსაბჭოთა რეჟიმიდან“.
46 Slade, G., Kachkachishvili, I., Tsiskarishvili, L., Jeiranashvili, L., & Gobronidze, N. (2014). Crime and Excessive Punishment: The Prevalence and Causes of Human Rights Abuse in Georgia's Prisons'. *Report, Open Society Georgian Foundation, Georgia*/„დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს ციხეებში ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევალენტობა და მიზეზები“.
47DiIulio, J. J. (1990). *Governing prisons*. Simon and Schuster/„ციხეების მართვა“.

პერსონალის ძალაუფლებას აბალანსებს და პატიმართა უფლებების დაცვის კუთხით უკეთეს პირობებს ქმნის, და თუ მისი მართვა სწორად მოხდება, უფრო დემოკრატიულ და ჩართულ პატიმართა კონტიგენტს მივიღებთ საზოგადოებაში უკეთესი სოციალური ინტეგრაციის პერსპექტივით. ამ მიდგომის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას კონტროლირებადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პატიმართა ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება ადმინისტრაციას, პატიმრების საჭიროებების გათვალისწინებით, ციხის ან ციხის ნაწილის მართვაში.

დ) თანამმართველობის ფორმა პრობლემური აღმოჩნდა აშშ-ს, რუსეთისა და ფილიპინების ციხეებში

თანამმართველობის მოდელი ბევრ ქვეყანაში წარუმატებლად გამოიცადა. საბჭოთა კოლონიებში, ასევე დღევანდელი რუსეთის კოლონიებში აქტივისტ პატიმრებს იწვევენ, რათა მათ პატიმართა დანაყოფების მართვაში ფორმალურად მიიღონ მონაწილეობა. 1985 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთ ციხეში რწმუნებულთა სისტემა მოქმედებდა, სადაც რწმუნებული პატიმრები ციხის ფლიგელებს მართავდნენ.[48] ციხის მართვის ეს მოდელი არაფრით ჯობდა ციხეების არაფორმალური გარიგებებით ბანდებისა და კრიმინალური სუბკულტურის გამოყენებით მართვას. პატიმრებს არავინ ეკითხებოდა თუ ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო აქტივისტი ან რწმუნებული. ის პატიმრები, ვინც ამ ძალაუფლებით აღჭურვეს, გაუმჭვირვალე და უპასუხისმგებლო ციხის სისტემებში, მოძალადეებად ჩამოყალიბდნენ. რწმუნებულთა მიერ ძალადობრივი აქტების განხორციელების და დაწყებული სასამართლო პროცესების გამო, 1985 წელს აშშ-ში წამოწყებული რწმუნებულთა პროგრამა აიკრძალა. 2010 წელს რუსეთმა აკრძალა აქტივისტების სისტემა "დისციპლინისა და წესრიგის სექტორში", თუმცა კვლავ შემაშფოთებელია სხვა სექტორებში ე.წ. აქტივისტი პატიმრების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება სხვა პატიმრების მიმართ.

თანამმართველობის მოდელში მნიშვნელოვანია, პატიმრებს ეთქმოდეთ სიტყვა იმის თაობაზე, თუ რომელი პატიმრები უნდა აირჩნენ მმართველ პოზიციაზე, ასევე მნიშვნელოვანია პატიმრებს შორის პოზიციების როტაცია და არჩევითობა. თანამმართველობის ჩამოყალიბების პროცედურები გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ჩართულობა და მათი მხრიდან ზედამხედველობის განხორციელება მნიშვნელოვანია. როდესაც თანამმართველობა მხოლოდ არაფორმალურია, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია, მაღალია მისი ბოროტად გამოყენების ალბათობა. მაგალითად, ფილიპინების ციხეთა სისტემა მწირი რესურსისა და ციხეთა გადატვირთულობის პირობებში ვერ უმკლავდება პატიმართა ორგანიზებასა და წესრიგის დაცვას. ამისათვის ის არაფორმალურ მართველობას მიმართავს და ბანდების მეშვეობით სტაბილურობისა და წესრიგის დაცვას ახერხებს. ეს მოდელი ფილიპინების შემთხვევაში წარმატებულად მუშაობს, თუმცა ის ოფიციალური ორგანოების მიერ აღიარებული არ არის და ამის გამო პრობლემურ საკითხად რჩება.

ფილიპინების ციხეთა სისტემაში არაფორმალური თანამმართველობის შესახებ კვლევა ჩატარდა და გამოვლინდა ამგვარი მმართველობის არსებობის გამამართლებელი არგუმენტები, მისი სარგებლიანობა და ასევე ის, თუ რა ფასად უჯდება სისტემას.[49] თანამმართველობის არსებობის გამამართლებელი გარემოებები მოიცავდა შემდეგს: პატიმრების გამოყენება ავსებდა იმ ხარვეზებს, რაც გამოწვეული იყო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობით, საკნებში წესრიგი მყარდებოდა, ხდებოდა პატიმრების უნარების გამოყენება. თანამმართველობის სარგებლიანობა შემდეგში გამოიხატებოდა: პატიმრებში ერთობის განცდის ჩამოყალიბება, პატიმრებისთვის როლებისა და ფუნქციების მინიჭება, მათი უნარების სასიკეთოდ გამოყენება და ენერგიის პოზიტიურად მიმართვა, ზოგიერთ პატიმარში თვითდახმარებისა და გაძლიერების განცდის ხელშეწყობა. ამ ყოველივეს საფასურია: არაფორმალური და არაპროგნოზირებადი პროცედურებისა და წესების არსებობა, კორუფცია და თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ქრთამის აღება პატიმრებისგან, რომ ისინი უფრო ძლიერ პოზიციაზე გაემწესებინათ, ნარკო-ეკონომიკის ხელშეწყობა კორუფციის მეშვეობით, სოციალური უთანასწორობის შექმნა გავლენის მქონე პატიმრებსა და მათ შორის, ვინც მოკლებული იყო ძალაუფლებას.

48 Marquart, J. W., & Crouch, B. M. (1985). Judicial reform and prisoner control: The impact of Ruiz v. Estelle on a Texas penitentiary. *Law & Soc'y Rev.*, *19*, 557/„სასამართლო რეფორმა და პატიმრების კონტროლი".

49 Narag, R. E., & Jones, C. R. (2017). Understanding prison management in the Philippines: A case for shared governance. *The Prison Journal*, *97* (1), 3-26/„ფილიპინებში ციხის მართვის კვლევა: თანაზიარი მმართველობის შემთხვევა".

ე) თანამმართველობის წარმატებული მოდელები ახდენს ციხის გარემოს დემოკრატიზაციას და უზრუნველყოფს სამოქალაქო ზედამხედველობას და საზოგადოების ჩართულობას

ფილიპინების ციხეთა სისტემაში არსებული თანამმართველობის შედეგად წარმოშობილი პრობლემების წყარო არაფორმალური და გაუმჭვირვალე სისტემაა. თუმცა, თანამმართველობის უამრავი წარმატებული მაგალითი არსებობს, სადაც არაფორმალური თანამმართველობის ფორმალიზება და მისი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა წარმატებით განხორციელდა. მაგალითად, კოსტა-რიკაზე ციხეთა სისტემაში ერთ დანაყოფში ან ფლიგელში განთავსებულ პატიმართა ჯგუფებისაგან შემდგარი ასამბლეა, ერთი წლის ვადით ირჩევს დელეგატებს პატიმართა მმართველ კომიტეტში. კომიტეტები პატიმართა წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ ინფორმაციას გადასცემენ ოფიციალურ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც „ტექნიკური საბჭო“ ეწოდება და რომლის შემადგენლობაში შედიან ციხის დირექტორი, ადმინისტრაციული დანაყოფების ხელმძღვანელები და ექსპერტი ფსიქოლოგები. პატიმართა მმართველი კომიტეტი გამოსცემს კვარტალურ ანგარიშს და რეგულარულად უპატაკებს „ტექნიკურ საბჭოს“. პატიმართა მიერ მცირე სახსრების მოძიება დაშვებულია.[50]

პანამაც მსგავსი მიდგომით ხელძღვანელობს. იქაც პატიმართა კომიტეტი მოქმედებს. კომიტეტში ციხის თითო ფლიგელიდან სამი წამომადგენელია და მათ შეუძლიათ პეტიციის წარდგენა ოფიციალურ საბჭოში. მაგალითად, პერუში, სადაც 1990-იან წლებში ციხეთა სისტემას მოძალადე ბანდები მართავდნენ, მათ ბანდების ფორმალიზებისთვის რეფორმები გაატარეს. პერუს ციხის ბანდების თვისებები, საქართველოში კრიმინალური სუბკულტურის თვისებებს წააგავს. პერუს ციხეში ფლიგელების წარმომადგენელნი ქმნიან კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს ციხის რეჟიმის სხვადასხვა ასპექტს. ცალკეული წარმომადგენლები მეთვალყურეობენ პატიმრების კვების, წესრიგისა და დაფინანსების საკითხს. კომიტეტების წევრები ხვდებიან ციხის დირექტორს. კომიტეტებს შეუძლიათ სახსრების მოძიება ციხეში თავიანთი ფლიგელის პირობების გასაუმჯობესებლად. კომიტეტის ყველა წევრი არჩევითია. უფრო მეტიც, ციხის ადმინისტრაციამ კომიტეტების შექმნის პირველ ეტაპზე, ციხის მოძალადე და წესრიგის დამრღვევი ლიდერები გადაიყვანა ცალკე და იზოლაციაში მოაქცია. ამით მან კომიტეტის მუშაობას შეუწყო ხელი.[51] ეკვადორმაც მსგავს წარმატებას მიაღწია. იქ ციხის ადმინისტრაციამ ადგილობრივი „მტაცებელი“ „კაპორალების“ (caporals) სისტემა გარდაქმნა, რომელიც აკონტროლებდა ციხეების ფლიგელებს და მძლავრი იერარქიის საშუალებით პატიმრებს სძალავდა სხვადასხვა რესურსს. აშენდა და გაიხსნა ახალი სასაკნე ტიპის ციხეები და მოძალადე კრიმინალური ლიდერები იზოლაციაში მოაქციეს. ახალ ციხეებში „კაპორალების“ სისტემის ფუნქციები შეიცვალა, გახდა ყველა პატიმრის წინაშე ანგარიშვალდებული და აღიარებული იქნა მისი, როგორც პატიმრებსა და ციხის პერსონალს შორის მედიაციის მნიშვნელოვანი მექანიზმის მნიშვნელობა.[52] დომინიკის რესპუბლიკაშიც მოხდა მსგავსი გარდაქმნები, მათ ახალი ბანდებისგან თავისუფალი ციხეები ააშენეს. პატიმრები, რომლებიც უარს ამბობდნენ ბანდის წევრობაზე და პროსოციალური ქცევით ხასიათდებოდნენ, ნელ-ნელა გადაიყვანეს ამ ახალ ციხეში და მისცეს გარკვეული უფლებები და მოვალეობები თავიანთი გარემოს სამართავად.[53]

ზემოთ აღწერილი წარმატებული შემთხვევების უმეტესობა ხასიათდება კონტროლისა და თანამმართველობის ტექნიკების კომბინაციით. იქმნება ბანდების გავლენისგან თავისუფალი ციხეები და ხდება მოძალადე კრიმინალების იზოლაცია, თუმცა ამავე დროს რეალური ძალისხმევის მიმართვა ხდება პატიმრებისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებისა და ციხის გარემოს მართვის პროცესში მათი ჩართვის მიმართულებით. ამ რეფორმებით ხდება იმის აღიარება, რომ ციხის გარემო არ უნდა იყოს მთლიანად ავტორიტარული და იძულებითი და რომ პატიმრებს გარკვეული როლი უნდა ჰქონდეთ თავიანთი გარემოს მართვაში.

ვ) კონტროლზე ორიენტირებული მოდელები ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, შეიძლება წინააღმდეგობას შეხვდეს, რადგან პატიმართა თვითმმართველობა სასჯელის ცნების ისტორიული და კულტურული ასპექტია

საქართველოს ციხეებში პატიმრები კოლექტიურად და ავტონომიურად, ციხის პერსონალისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. ამ კულტურული და ისტორიული გამოცდილებით, პატიმრებისთვის კრიმინალური სუბკულტურის წესები ცნობილია და პატიმართა იერარქიებს

50 Postema M. et al. 2017. Advancing Security and Human Rights by the Controlled Organization of Inmates. Prison Service Journal: 229/ „უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა პატიმართა კონტროლირებადი ორგანიზაციის მეშვეობით“.

51 იქვე.

52 Tritton P. & Fleetwood J. (2017). An Insider's View of Prison Reform in Ecuador. *Prison Service Journal*, 229: 40-45/„შიგნიდან დანახული ციხის რეფორმა ეკვადორში“.

53იხ. https://www.reuters.com/article/us-dominican-prison-reform/dominican-republics-more-humane-prison-model-idUS-BREA4M0GW20140523

მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ოფიციალურ ადმინისტრაციასთან ურთიერთობების დალაგება მოეთხოვებათ. ამრიგად, როდესაც ხორციელდება რეფორმა, რაც გულისხმობს ახალი სასაკნე ციხეების აშენებასა და კრიმინალური ლიდერების იზოლაციას, ან კრიმინალური სუბკულტურის აკრძალვას, ეს პატიმრების მიერ აღიქმება, როგორც მათი ჩაკეტვა და ციხის ადმინისტრაციისადმი დაქვემდებარება (მათზე დამოკიდებულება). საქართველოს არცთუ შორეული წარსული გამოცდილებიდან ვიცით, რომ ციხის პერსონალის მიერ სრული კონტროლის დამყარება პატიმართა უმრავლესობისთვის შემაშფოთებელი პერსპექტივაა, თუნდაც ისინი არ იყვნენ კრიმინალური სუბკულტურის მიმდევრები. აქედან გამომდინარე, როდესაც ციხის რეფორმა იწყება, პატიმრები მსგავს ცვლილებებს ხშირად ძალადობრივი წინააღმდეგობით ხვდებიან.

ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, რომ კონტროლის ლოგიკური ფუნქციის პარალელურად, ციხეში პატიმართა მმართველობა და არაფორმალური ურთიერთობები პერსონალსა და პატიმრებს შორის შესაძლოა იყოს ფორმალიზებული, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და კეთილგანწყობილი. მიმოხილვის ბოლოს, მოცემულია კომენტარები დამატებითი კვლევის წარმოების საჭიროებაზე, რათა შერჩეულ იქნეს საუკეთესო მიდგომა არსებული კრიმინალური სუბკულტურის მიმართ და შეიქმნას რეფორმატორებისთვის მიზანშეწონილი მართვის მოდელი, რომელიც კონტროლზე, კონსენსუსზე, ან მათ კომბინაციაზე იქნება ორიენტირებული.

6. დამატებით საკვლევი საკითხები

ზემოთ წარმოდგენილი დისკუსია საქართველოს ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის მმართველობის შესახებ ბევრ კითხვას ბადებს. როგორც აღინიშნა, გარკვეულ ქვეყნებში არაფორმალურ მმართველებსა და ფორმალურ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების ფორმალიზება წარმატებით მოხერხდა. არის განსხვავებული შემთხვევებიც, მაგალითად, საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც ეს ურთიერთობები არაფორმალური, გაუმჭვირვალე და ძალადობრივია.

წინამდებარე ანგარიშის შემდგომ თავებში ყურადღება გამახვილებულია კრიმინალური სუბკულტურის როლის დადგენაზე პატიმრებისა და პერსონალის ურთიერთობებში და ამგვარად, საქართველოს ციხეებში ძალაუფლების დისტრიბუციის საკითხებზე. ამ თვალსაზრისით, ანგარიში ცდილობს უპასუხოს 3 მთავარ კითხვას: რა გავლენა აქვს კრიმინალურ სუბკულტურას ციხის პერსონალზე და მათ ურთიერთობებზე პატიმრებთან? რატომ არის ციხის ადმინისტრაცია კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ტოლერანტული? რატომ მიმართავს ის პატიმართა არაფორმალურ მმართველობას დახმარებისათვის?

ამ კითხვებზე პასუხები მხოლოდ ზედაპირულად მოგვცემს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა უნდა ვიცოდეთ კრიმინალური სუბკულტურის გავლენის სათანადოდ შემცირებისთვის და პერსონალსა და პატიმრებს შორის ურთიერთობების მოდიფიცირებისთვის. ამჟამად ამ სუბკულტურის შესახებ შეზღუდული ინფორმაცია გვაქვს, სახალხო დამცველის ანგარიშების, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშების, ჟურნალისტური ინტერვიუებისა და მწირი აკადემიური კვლევების სახით, რომლის საშუალებითაც უნდა დავადგინოთ კრიმინალური სუბკულტურის რეალური მასშტაბები და შედეგები და მისი კავშირი ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებთან. წინამდებარე ადგილობრივი პრაქტიკის თვისებრივი კვლევის ანგარიშიც ამის გაბედული მცდელობაა.

პირველ რიგში, პენიტენციურმა სამსახურმა კრიმინალური სუბკულტურის არსებობა უნდა ასახოს თავის გეგმებში და ციხის სისტემური რეფორმის პროცესში მოახდინოს მისი გადაჭრისთვის საჭირო ღონისძიებების ინტეგრირება. ამისათვის კი საჭიროა ჩატარდეს კვლევა, რომელიც გაზომავს კრიმინალური სუბკულტურის ავტონომიას, უნარიანობასა და ავტორიტეტს და თითოეულ ამ განზომილებას საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებში. ამასთან, მნიშვნელოვანია ამ ასპექტების კორელაციის დადგენა სისტემაში არსებულ პირობებთან, როგორიცაა: ციხის ზომა, პერსონალის რაოდენობა და პროფესიონალიზმი, ინფორმატორების არსებული პრაქტიკა და დინამიკური უსაფრთხოება. პროსოციალური ქცევის წახალისების არსებული მექანიზმები, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის შესაძლებლობები, სუბკულტურის გასაკონტროლებლად თანამშრომლების ხელთ არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი, პატიმრების გადაყვანის სიხშირე და შესაძლო ალტერნატივები, კორუფციის მასშტაბები. მხოლოდ ამ ფაქტორების სისტემური ანალიზის შემდეგ არის შესაძლებელი მსჯელობის დაწყება, თუ რა პირდაპირი და პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას კრიმინალური სუბკულტურის შესასუსტებლად, და როგორ უნდა გაიზომოს ამ ინტერვენციების შედეგები. რა ზომებიც არ უნდა მიიღოს საქართველოს მთვრობამ, მათი მიზანი პატიმრებისა და პერსონალის ურთიერთობების გაჯანსაღება უნდა იყოს, არა მხოლოდ კონტროლის, არამედ გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თანამმართველობის საშუალებით.

ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზი

ა) არაფორმალური ჯგუფების სტრუქტურა პენიტენციურ დაწესებულებებში

- **იერარქია**

წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის 2014 და 2018 წლების ანგარიშებში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საუბარია, რომ კომიტეტმა პარტნიორი ორგანიზაციებისგან მიიღო ინფორმაცია პატიმართა არაფორმალური იერარქიისა და პატიმართა შორის ძალადობის საკითხზე მისი ზეგავლენის თაობაზე.[54] 2019 წლის ანგარიშში, პრივილეგირებულ პატიმრებზე საუბარს უფრო მეტი ადგილი დაეთმო და აღინიშნა, რომ არაფორმალური იერარქიის ზეგავლენით N15 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრები ერიდებოდნენ და შეიძლება ითქვას, ეშინოდათ კიდეც კომიტეტის წევრებთან გასაუბრების, ასევე აღინიშნა, რომ ე.წ. ციხის ლიდერების საკნები მატერიალური პირობების კუთხით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა საკნებისგან და ფაქტობრივად მდიდრულად იყო მოწყობილი. პატიმართა ეს ჯგუფი სხვა პატიმრებთან შედარებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდა.[55]

2018 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავდა, რომ არსებული მდგომარეობის ფონზე, პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს აქვთ ცდუნება, რომ დაწესებულებებში „წესრიგის“ შესანარჩუნებლად გარკვეულწილად დაუშვან და მეტიც, ხელი შეუწყონ არაფორმალური მმართველობის გამოყენებას, რაც გულისხმობს მაქსიმალური შეზღუდვების, აკრძალვებისა და დისკომფორტის ფონზე, მათ შორის, სუბკულტურის გამოყენებით პატიმართა დასჯას, კონტროლსა და დამორჩილებას. აქვე აღნიშნულია, რომ დაწესებულებებში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ციხის კრიმინალური სუბკულტურა და არაფორმალური მმართველობა.[56] 2019 წლის ანგარიშში კი სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ პენიტენციური დაწესებულებების სათანადო მართვის პრობლემის ფონზე, არაფორმალური მმართველობის მასშტაბები ნელ-ნელა იზრდება, რაც დამაფიქრებელია და დროულ რეაგირებას მოითხოვს. აღნიშნულია, რომ კრიმინალური სუბკულტურის გავლენით ხდება პატიმრების არაფორმალური დაყოფა. შედეგად, პატიმართა გარკვეული ნაწილი, რომელიც იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს პატიმართა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.[57]

პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური ჯგუფების არსებობა თვისებრივი კვლევის ფაქტობრივად ყველა რესპონდენტმა დაადასტურა. ყოფილი პატიმრების ჯგუფის ცალკეული წარმომადგენლებიც კი, რომლებიც თავდაპირველად უარყოფდნენ პატიმრებს შორის იერარქიის არსებობას, მოგვიანებით ადასტურებდნენ პატიმართა სხვადასხვა გავლენის მქონე ჯგუფებად დაყოფას და ასახელებდნენ კიდეც აღნიშნულ ჯგუფებს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„მთავრობაში ხომ მიდის ზემოთ ყველაფერი გადაწყვეტილებები, ამ შემთხვევაში, აქ ფორმალურად არაა დამტკიცებული, ეგ მმართველობა მიდის ჩვეულებრივად“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„ჩვენ რომ უარვყოთ, რომ არაფერი არ არსებობს, არიან „მაყურებლები“, იცით რა ხდება? რამდენადაც მე ვარ ჩახედული, ასი კაცი იქნება სისტემაში, თუ ორი კაცი, მაგ ორში ერთი „მაყურებელი“ იქნება. რამდენადაც უარვყოფთ, იმდენად კარგად ვუწყობთ ხელს. ჯობია ვთქვათ, ვიცით რომ ესენი არსებობენ“.*

კვლევის შედეგად ცხადი ხდება, რომ მართალია, არაფორმალური ჯგუფების სტრუქტურასა და მათ იერარქიულ განლაგებაზე (ცალკეული ჯგუფის შიდა ჩაშლის, ასევე სახელწოდებების კუთხით) არსებობს მცირედ განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ძირითადი იერარქიული, საფეხურებრივი დაყოფა ყველა რესპონდენტის მხრიდან ერთგვაროვნად ხასითდება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ იმ პირობებში, როდესაც ე.წ. „კანონიერი ქურდები“, ძირითადად, თავმოყრილნი არიან ერთ დაწესებულებაში და შეხება არ აქვთ სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებთან,

54 წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ანგარიში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 35

55 პენიტენციურ სისტემაში უმცირესობათა უფლებების დაცვისა და რეალიზების შესაძლებლობები და გამოწვევები, კვლევის ანგარიში, 2020 წელი, PRI, გვ. 5, გვ. 25

56 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 26-27

57 საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 56.

არაფორმალურ ჯგუფებს დაწესებულებებში სათავეში უდგას ე.წ. „მაყურებელი“, იგივე „პალაჟენეცი“. რესპონდენტების ნაწილი განმარტავს, რომ „პალაჟენეცი“ არის პატიმარია, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულებაში ე.წ. „ქურდული პალაჟენიის“ მოყვანაზე, ხოლო „მაყურებელი“ მის აღსრულებაზე, თუმცა დღევანდელი რეალობით ამ ტერმინებმა ერთიანი დატვირთვა შეიძინა, ამ ფუნქციების თავმოყრა მოხდა ერთ ადამიანში და „მაყურებელს“ ორივე ტერმინით მოიხსენიებენ. დაწესებულების სათავეში მყოფი ძირითადი „მაყურებლის“ გარდა, მთელ რიგ (უმეტესად ნახევრად ღია ტიპის) დაწესებულებებში არსებობენ „მაყურებლის“ დამხმარეები/მოადგილეები, აგრეთვე ე.წ. „კორპუსის მაყურებლები“, რომლებიც სხვადასხვა კორპუსებზე არიან პასუხისმგებლები, „რეგიონის მაყურებლები“, რომლებიც, რესპონდენტთა განმარტებით, საქართველოს ცალკეული რეგიონის წარმომადგენლებს ხელმძღვანელობენ (მაგ. კახელების „მაყურებელი“, მეგრელების „მაყურებელი“, ქვემო ქართლის „მაყურებელი“ და ა.შ), ასევე შესაძლოა ცალკე იყოს „მაყურებელი“ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის (აზერბაიჯანელების „მაყურებელი“, სომხების „მაყურებელი“). კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საკვლევ პერიოდში დაწესებულების ნაწილში ცალკე არსებობდა ე.წ. „თამაშების მაყურებელი“, „ბალნიჩკის[58] მაყურებელი“, „ბრაგის მაყურებელი“, „ვახტის მაყურებელი“, „დაჩკების მაყურებელი“ და ა.შ. კვლევის მიხედვით, ამ ჯგუფის შიდა იერარქიაში უფრო დაბლა დგანან ე.წ. „საკნის მაყურებლები“. რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მაყურებლებს შორის ამგვარი დაყოფა, როგორც წესი, არ მოიაზრებს რაიმე ტიპის დაპირისპირებას მათ შორის და პირიქით, მიზნად ისახავს არაფორმალური მმართველობის გავრცელების უზრუნველყოფას და ძირითადად მმართველობის გამარტივების მიზნებს ემსახურება.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„დალაგებული სიტუაციაა, შიგნით მაგით ლაგდება ყველაფერი, ეგენი რომ არ იყვნენ, არაფერი არ დალაგდება. ადმინისტრაცია უშუალოდ ვერ შეძლებს, მაშინ კამერაში უნდა იყუროს, ადმინისტრაციამ განა არ იცის, სპეციალურად ყავს ადმინისტრაციას ეგენი“.*

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„პირდაპირი კავშირი აქვს „პალაჟენეცს“ ტელეფონით ქურდთან, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციის ნებართვით და ამიტომ დაწესებულებაში ეგ ყველაზე მაღალი იერარქიაა. მერე არის მთლიანი „მაყურებლები“, ოღონდ ეს დაპირისპირებულობას არ გულისხმობს, კომფორტისთვისაა ესეთი დაყოფა რეგიონების მიხედვით. კამერის „მაყურებლებიც“ არიან, ოღონდ ეგენი ძაან „ქვე“ ტიპები არიან და „თამაშების მაყურებლებიც“ არიან, კიდევ არიან „დაჩკების[59] მაყურებლები“.*

„მაყურებლების“ არჩევა ხდება ე.წ. „კაი ბიჭების“ ჯგუფიდან. რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ „კაი ბიჭები“ როგორც წესი იზიარებენ ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წესებს, სურთ ჩართულნი იყვნენ სუბკულტურულ გავლენებში და იღებენ ამ წესების დაცვის ვალდებულებას. რესპონდენტთა ნაწილმა ახსენა ასევე ახალგაზრდები, რომლებზეც გარკვეულწილად კრიმინალური სამყარო იმედებს ამყარებს და მათი გზის გამგრძელებლად მიიჩნევს, მათ მოიხსენიებენ, როგორც „მომავლებს“. რაც შეეხება ამ ჯგუფის საერთო მახასიათებელს, რესპონდენტთა განმარტებით, ეს არის ჯგუფი, რომელიც არ უნდა მუშაობდეს და ცხოვრების წესით სრულად იზიარებდეს კრიმინალური სამყაროს ღირებულებებს.

შემდეგ ჯგუფს ქმნიან ე.წ. „მუჟიკები“, რომლებსაც კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა დიდი ნაწილი ასევე უწოდებს „პატიოსან, მშრომელ“ პატიმრებს. თუმცა რამდენიმე რესპონდენტის განმარტებით, „მუჟიკები“ მცირედ განსხვავდებიან „პატიოსნებისგან“, რადგან მათ მეტი დამსახურება აქვთ კრიმინალური სამყაროს წინაშე, ან უფრო მეტ პატივს სცემენ კრიმინალურ სუბკულტურას, თუმცა „კაი ბიჭებში“ ვერ ხვდებიან, რადგან ნამუშევარი აქვთ, რაც სუბკულტურის წესებით ამ ჯგუფში მოხვედრისთვის დამაბრკოლებელი გარემოებაა. რაც შეეხებათ „პატიოსნებს“, ისინი არიან პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრილი ადამიანები, რომლებიც სასჯელს იხდიან სხვადასხვა დანაშაულებისთვის, თუმცა დაწესებულების გარეთ მუშაობდნენ და არაკრიმინალური ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. კვლევის ცალკეული მონაწილეების განმარტებით, ტერმინი „მუჟიკი“, ისევე როგორც ზოგადად დღეს არსებული სუბკულტურის იერარქიული მოდელი, საბჭოთა მემკვიდრეობას წარმოადგენს, არსებობდა მხოლოდ ე.წ. საბჭოთა გულაგებში და აღნიშნავდა „მომუშავე პატიმრებს“, შესაბამისად, მათი აზრით, დღეს ეს ტერმინი ქართულ რეალობაში სხვა შინაარსით არასწორად გამოიყენება. რესპონდენტების დიდი ნაწილი „პატიოსნებს“ ქვე იერარქიად მიიჩნევს და გარკვეულ წილად პატიოსნების ქვედა ფენად გამოყოფს ისეთ ჯგუფს როგორიცაა „მასა“, „პეხოტა“, როგორც აღნიშნავენ, ძირითადად ეს არის ის ჯგუფი, რომლებსაც ევალებათ ე.წ. „მაყურებლების“ დავალებების შესრულება, მათ შესაძლოა დაავალონ ცალკეული ქმედება, რასაც ყველა „პატიოსანს“ ვერ დაავალებენ. რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი კი ამ ყველა ტერმინს ერთი ჯგუფის სახელწოდებად მოიაზრებს.

შემდეგ ჯგუფს წარმოადგენენ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრები, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებაში სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ, მაგ: „აბსლუგა“, „რაბოჩი“, მათ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ასევე მოიხსენიებენ „დაჩკიორად“, „ლარიოჩიკად“, „ბალანდიორად“. რამდენიმე რესპონდენტის განმარტებით, „აბსლუგასაც“ ჰყავს „ბრიგადირი“[60]. საინტერესოა, რომ რესპონდენტთა დაახლოებით 50% ამავე ჯგუფს უწოდებს ე.წ. „კაზიოლებსაც“ და აღნიშნავს, რომ ეს არის ჯგუფი, რომელიც მუშაობს და ადმინისტრაციისგან ხელფასს იღებს, თუმცა რესპონდენტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ მუშაობის გამო პატიმარი ამ ჯგუფში არ ხვდება, თუ სხვა მიუღებელი ქმედება არ აქვს ჩადენილი,

58 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილი.
59 ამანათი.
60 სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულთა და ე.წ. „ქათმების“ ხელმძღვანელი, ამ ჯგუფებისთვის იგივე „მაყურებელი“.

რის გამოც ე.წ. „კაზიოლად“ მოიხსენიება (მაგ. დაწესებულების შიგნით ქურდობა). რესპონდენტების ეს ნაწილი „კაზიოლებს“ განასხვავებს „აბსლუგისგან“ და მათ „ვირთხებს“, „პროჯებს“ უწოდებს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ჩვეულებრივი პატიოსანი ადამიანი ვერ წავა და ვერ იმუშავებს თავმოყვარეობის გამო, ხომ მიმიხვდით რასაც გეუბნებით?“.*

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პირთა მიერ ცალკე ჯგუფად მოიხსენიებიან, ე.წ. „გაქცეულები“, „გადაკეტილები“, „ნაბოზვრები“, რომლებმაც, როგორც წესი, ჩაიდინეს ისეთი ქმედება, რაც მიუღებელია კრიმინალური სუბკულტურის არაფორმალური წესებით და ამის გამო იძულებულნი გახდნენ სხვა პატიმრებისგან განცალკევებით მოეხადათ სასჯელი. როგორც აღვნიშნეთ, რესპონდენტთა ნაწილი ამავე მახასიათებლებით ახასიათებს ე.წ. „კაზიოლებსაც“.

როგორც კვლევით დასტურდება, პენიტენციურ დაწესებულებაში ყველაზე მარგინალიზებულ ფენას წარმოადგენენ ე.წ. „ქათმები“. ეს არის ჯგუფი, სადაც თავსდებიან ის პატიმრები, რომლებიც სასჯელს იხდიან კონკრეტული ტიპის დანაშაულებისთვის, როგორიც არის არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის გარყვნილი ქმედება, გაუპატიურება, დედის, ოჯახის წევრის მკვლელობა, ორსული ქალის მკვლელობა და სხვ. ამავე ჯგუფში ხვდებიან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები (ლგბტქ+ პირები), ან ის პატიმრები, რომელთა ციხის გარეთ ან დაწესებულების შიგნით ჩადენილი ქმედებაც ე.წ. „ქათმობად“ ითვლება და კრიმინალური წესების მიხედვით იწვევს ე.წ. „გაქათმებას“. არსებული წესების თანახმად, სხვა პატიმრებს ეკრძალებათ ამ ჯგუფის წევრისთვის ხელის ჩამორთმევა, მასთან შეხება, მისი ჭიქიდან დალევა, ერთი ქვაბიდან ჭამა, მის საწოლზე ჩამოჯდომა და ა.შ. ამავე ჯგუფში შესაძლოა მოხვდნენ ის პატიმრები, რომლებსაც ე.წ. „ქურდულში“ რაღაც შეეშალათ და გარკვეულწილად დასჯის მიზნით გადაწყდა მათი ამ ჯგუფთან ერთად მოთავსება. კვლევამ ცხადყო, რომ ამ ჯგუფსაც ჰყავს თავისი ლიდერი, რომელსაც „ბრიგადირად“ მოიხსენიებენ. რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს, რომ სხვა პატიმრების მხრიდან ე.წ. „ქათმების“ ჯგუფის ის წარმომადგენლები, რომლებიც უბრალოდ დასჯის მიზნით მოხვდნენ ამ ჯგუფში და არა დანაშაულის ხასიათიდან, ან სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე, მეტ პატივისცემას იმსახურებენ, გარკვეულ წილად „ქათმების“ ზედა ფენას წარმოადგენენ და „ბრიგადირიც“ როგორც წესი სწორედ ამ პირთაგან ირჩევა.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ქათამი“ რომ გქვია ციხეში ადამიანს, იმას ნებისმიერ ფსიქო ასპექტში თავს ვერ გაუყადრებ, მას ადამიანად არ თვლიან“.*

ე.წ. „ქათმების“ ჯგუფის მოწყვლადობიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში მათ უფლებებთან დაკავშირებით დღემდე არაერთი კვლევაა ხელმისაწვდომი. ერთ-ერთ ასეთ კვლევაში, რომელიც ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ 2013 წელს ჩატარდა, საუბარია, რომ ამ ჯგუფში პატიმრები ხვდებიან სექსუალური ორიენტაციის ან იდენტობის, ჩადენილი დანაშაულის მუხლის, სექსუალური პრაქტიკის ზოგიერთი სახის ან ე.წ. „გაფუჭების“ გამო.[61] ამავე კვლევაში საუბარია, რომ ე.წ. „ქათმები“ და „კაი ბიჭები“ არ შეიძლება ერთად ცხოვრობდნენ, ერთი ჭურჭლიდან იღებდნენ საჭმელს, ერთმანეთს ხელი ჩამოართვან და ა.შ.[62]

გარდა მითითებული იერარქიული ჯგუფებისა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში რამდენიმე რესპონდენტმა ცალკე გამოყო ასევე დროებითი სტატუსის მქონე პატიმრები „გასარკვევები“, რაც გულისხმობს, რომ ეს ჯგუფი ცალკე თავსდება მანამ, სანამ დაწესებულების მმართველი არაფორმალური ელიტა მიიღებს დეტალურ ინფორმაციას მათ შესახებ და სანამ გაირკვევა რომელ ჯგუფთან უნდა მოხდეს მათი განთავსება, თუმცა კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს საკითხები ფაქტობრივად პატიმრის დაწესებულებაში შესვლამდე უკვე გარკვეულია.

რამდენიმე რესპონდენტმა ცალკე გამოყო ასევე ე.წ. „ყაჩაღები“, „განგსტერები“, „ბანდიტები“, რომელიც შედარებით ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფია და ვერ ეწერება ტრადიციულ ე.წ. „ქურდულ“ იერარქიაში. თუმცა რესპონდენტების განმარტებით, მათ ვერც „ქურდები“ და ვერც „მაყურებლები“ ვერ იმორჩილებენ, რადგან ამ ჯგუფს არ აინტერესებს ე.წ. „ქურდული ტრადიციები“, თუმცა ე.წ. „ქუჩურ წესებს“ სხვა ჯგუფებზე უკეთ იცნობს. გამოკითხულ პირთა განმარტებით, არსებული შეხედულებების გამო, ამ პატიმრებს ხშირად დაპირისპირება აქვთ სხვა პატიმრებთან და სხვებისგან განცალკვებით არიან განთავსებულნი.

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„უბრალოდ „ყაჩაღებს“ ეძახდნენ, მაგრამ გავლენა „ქურდებს“ მაგათზე არ ჰქონდათ და ესენიც არ ექვემდებარებოდნენ მაგათ არანაირ „ქურდულ კანონებს“. იმათ ჰქონდათ თავის წესი, თავის ჩვეულება და თავის რიგი. არანაირ „ქურდულ“ კლასიფიკაციას არ ექვემდებარებოდნენ და ვერ ეხებოდნენ ვერც „ქურდები“ ვერც „მაყურებლები“ და ისინიც არ ერეოდნენ მათ ცხოვრებაში“.*

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ეხლა გამოჩდნენ ესეთები, რომლებიც ამბობენ ჩვენ ბანდიტები ვართ და განგსტერები ვართ და თქვენი ქურდული ფეხზე გვკიდიაო. მაგრამ ძირითადად ესენი გადაკეტილში ხვდებიან“.*

61 საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსმ პატიმრების საჭიროებების კვლევა აივ-ის პრევენციასთან მიმართებით, ორგანიზაცია "იდენტობა" (2013 წ), გვ. 13-14
62 იქვე, 16.

• სტატუსის მინიჭების და დაკარგვის წესი

ზოგადად პატიმრის სტატუსი პირდაპირ განსაზღვრავს მის განთავსებას კონკრეტულ საკანსა თუ კორპუსში, შესაბამისად, რესპონდენტთა უმრავლესობა განმარტავს, რომ ეს ხდება ადმინისტრაციისა და დაწესებულების კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების კომუნიკაციის შედეგად. რაც შეეხება სუბკულტურულ სტატუსს, აქ რესპონდენტების უმრავლესობა განმსაზღვრელად მიიჩნევს ცხოვრების წესს. რა ცხოვრებით ცხოვრობდა დაწესებულების გარეთ კონკრეტული პირი, ვისთან მეგობრობდა, ჰქონდა თუ არა ნამუშევარი, მსახურობდა თუ არა ჯარში და ა.შ. რადგან არსებული წესების მიხედვით, ის პირი, რომელიც მუშაობდა და თუნდაც ერთხელ აღებული ჰქონდა გასამრჯელო, ვერასოდეს მოხვდება ე.წ. „კაი ბიჭებში“.

რაც შეეხება ეთნიკურ, რელიგიურ კუთვნილებას, უბნელობას, როგორც წესი, რესპონდენტების განმარტებით ამას ყურადღება ნაკლებად ექცევა. გამოკითხულ პირთა ნაწილის აზრით, ე.წ. „ქურდული სამყარო“ გამოირჩევა ტოლერანტული მიდგომით უმცირესობების მიმართ (გარდა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებისა) და ე.წ. „კარიერისა და წინსვლის“ საკითხში ეს ფაქტორები კონკრეტულ პირს ხელს ვერ შეუშლის.

რაც შეეხება მუხლს, რომლის გამოც პირი ხვდება პენიტენციურ დაწესებულებაში, ეს ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ კონკრეტული მუხლით პასუხისმგებლობაში მიცემული პირი, როგორც უკვე აღინიშნა, ვერასოდეს მოხვდება სუბკულტურის მაღალ იერარქიაში. სხვა მხრივ, თუ არ არის ის კონკრეტული მუხლები, რომლებიც პირდაპირ ე.წ. „საქათმეში“ განაპირობებს პირის მოხვედრას, ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. მართალია, ხაზი გაესვა, რომ ყველაზე მაღალ იერარქიულ საფეხურზე უმეტესად ხვდებიან ქურდობასა და ყაჩაღობაზე ნასამართლევი პირები, თუმცა რესპონდენტებმა განმარტეს, რომ გამორიცხული არ არის მაღალ იერარქიაში მოხვდნენ მკვლელობისთვის და სხვა დანაშაულებისთვის პასუხისგებაში მიცემული პირებიც.

რაც შეეხება ცალკეულ ჯგუფებში მოხვედრასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროცედურას, რესპონდენტთა ნაწილს გაუჭირდა მისი აღწერა, გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს ხდება როგორც ადმინისტრაციის, ასევე ე.წ. „მაყურებლების“ კომუნიკაციის შედეგად და გარკვეულწილად პატიმართა უსაფრთხოების საკითხებსაც ითვალისწინებს. მაგ. იმ ფაქტს, რომ ე.წ. „ქათამი“ ან „კაზიოლი“ არ აღმოჩნდეს სხვა პატიმრებთან ერთად, რამაც შესაძლოა მათ ფიზიკური ძალადობის საფრთხე შეუქმნას. რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი საუბრობს ასევე იმაზე, რომ სუბკულტურაში მოხვედრას თავად პატიმრის ცხოვრება განაპირობებს და თვითონვე იცის სად უნდა წავიდეს დაწესებულებაში. როგორც კვლევიდან ირკვევა, მაყურებლებს შორის წინასწარი კომუნიკაციის შედეგად, პატიმრის დაწესებულებაში შესვლისას მათ უკვე იციან რომელ ჯგუფს განეკუთვნება ახლადშემოსული პატიმარი, განსაკუთრებით მარტივად წყდება საკითხი თუ აღნიშნული პირი პირველად არ არის პენიტენციურ სისტემაში. თუმცა თუ წინასწარ კონკრეტულ პატიმარზე ინფორმაცია არ არის, ხდება მისი მოძიება, პატიმართან გასაუბრება, სადაც ის ხსნის რა ცხოვრებით ცხოვრობდა და რომელ კატეგორიას განეკუთვნება. კონკრეტული ჯგუფის მიმართ თავის მიკუთვნებით დაწესებულებაში მოთავსებული პირი ამავდროულად იღებს გარკვეულ ვალდებულებებსაც, რომელიც სუბკულტურული წესებით თითოეულ გავლენის ჯგუფთან ასოცირდება (მაგ. მუშაობასა და რეაბილიტაციაზე უარის თქმა, ე.წ. „საერთოში“ მონაწილეობა და ა.შ.).

რაც შეეხება სტატუსის შეცვლას, რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სტატუსის შეცვლა შესაძლებელია, თუმცა აქ საუბარი არ არის ქვედა მარგინალიზებული ჯგუფიდან „დაწინაურებაზე“, ეს ფაქტობრივად გამორიცხულია, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც პირიქით ხდება და შესაძლებელია „პატიოსანიც“ და რიგ შემთხვევაში „კაი ბიჭიც“ დაქვეითდეს და ე.წ. „ქათმებში“ ან „კაზიოლებში“ აღმოჩნდეს. ეს შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით განხორციელდეს და ატარებდეს დასჯის ხასიათს ან გამოწვეული იყოს დაწესებულების შიგნით ან გარეთ მომხდარი კონკრეტული ფაქტით, რაც იწვევს ე.წ. „გაქათმებას“. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მიუთითა ფაქტზე, როდესაც პატიმარმა ე.წ. „მაყურებელს“ აუხსნა, რომ მუშაობა სჭირდებოდა ოჯახის მატერიალური დახმარებისთვის და შეუთანხმდა რომ დაწესებულებიდან ე.წ. „კაზიოლის“ სტატუსი არ გაჰყოლოდა.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ქათამს“ თუ გამოართმევ, ან „ქათმისთვის“ ხელი ჩამოურთმევია, ხელით შეხებია „ქათამს“, მხარზე ხელი დაურტყია, ჩამოუქვეითებიათ. ვსიო, „ქათამი“ ხარ შენც, არავინ გეკარება და გეუბნებიან წახვიდე „საქათმეში“ და თუ არ წახვალ, როგორ უნდა წახვიდე ისეთ ადგილას, სადაც მართლა საშინელებაა... რომ არ მიდიხარ, მერე უკვე ტყაპა-ტყუპზე გადადის“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„რომ შევედი, ნაცნობი ვნახე, შემთხვევით ვნახე და გამიყვანა გარეთ და მითხრა ამათ არ შეეხოო, თეთრ სამკლაურს რომ დაინახავ (მკლავზე ეკეთათ თეთრი სამკლაურები), ხელი არ შეახოო, თურმე ავტომატურად მეც ვხდები „ქათამი“ თუ შევეხე, რაღაც დაჭერობანას პრინციპია“.*

რაც შეეხება არაფორმალურ იერარქიაში დაწინაურებას, ცალკეულ რესპონდენტთა განმარტებით, ამის პოტენციალი შესაძლოა ჰქონდეთ „მუჟიკებს“, „პატიოსნებს“, „კაი ბიჭებს“.

დაქვეითებასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა განმარტებით, გადაწყვეტილებას მაყურებლები იღებენ (ხშირ

შემთხვევაში, კოლექტიურად „კაი ბიჭები“ ან რამდენიმე მაყურებელი), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სუბკულტურული თვალსაზრისით პატიმრები თანაბარ იერარქიაზე არიან (მაგ. „კაი ბიჭი“ და „მაყურებელი“, რომელიც ასევე ამ ჯგუფიდან არის არჩეული), ასეთ შემთხვევებში მხოლოდ მაყურებლის ავტორიტეტი შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და უკვე ხდება სატელეფონო კომუნიკაცია ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ როგორც სისტემის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

რაც შეეხება თავად დაწესებულების „მაყურებლის“, ე.წ. „პალაჟენეცის“ არჩევას, თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს ფაქტობრივად შეუძლებელია განხორციელდეს ადმინისტრაციასთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე. ასევე აღინიშნა, რომ ეს უნდა იყოს პირი, რომელსაც აქვს ავტორიტეტი სხვა პატიმრებს შორის, არის სხვებზე მეტად განათლებული, გარკვეულწილად ქარიზმატული, კარგი მოსაუბრე, სხვებზე უფრო ინტელექტუალური, ლიდერის უნარების მატარებელი, ასევე, ამ მხრივ „დამსახურებად“ ითვლება თუ პირი ადრეც იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში. „მაყურებელი“ თავისთავად უნდა იზიარებდეს კრიმინალური სუბკულტურის ცხოვრების წესს და ცდილობდეს მის გატარებას დაწესებულებაში.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ეს ჯგუფები, მგონია, რომ კოჰაბიტაციაში არიან და აწყობს ციხის ადმინისტრაციასაც რაღაც თვალსაზრისით. ანუ, წვრილმანი დეტალების დასალაგებლად“.*

• იერარქიული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა

რაც შეეხება ცალკეული ჯგუფების უფლება-მოვალეობებს, კვლევის შედეგად შესაძლოა მათი უფლებრივი მდგომარეობა ასე დავახასიათოთ:

„მაყურებლები“/“კაი ბიჭები“ - წარმოადგენენ დაწესებულების ყველაზე მაღალ ფენას, რაც, რესპონდენტების განმარტებით, არა მხოლოდ ამ სტატუსის ქონაში გამოიხატება, არამედ პირდაპირ აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზეც, კერძოდ, რიგ დაწესებულებებში, მათ აქვთ უკეთესი საცხოვრებელი პირობები, უკეთ აღჭურვილი საკნები, შეუძლიათ მოაგვარონ ამანათის სახით ისეთი ნივთის შემოტანის საკითხი, რისი უფლებაც სხვა პატიმარს არ აქვს (მაგ. იქონიონ დიდი ტელევიზორი, რომელიც დაწესებულის მაღაზიაში არ იყიდება, ე.წ „იქს ბოქსი“, ატარონ ჯინსის შარვალი და ა.შ.). რესპონდენტთა განმარტებით, ეს ჯგუფი უფრო ახლო კონტაქტშია ადმინისტრაციასთან და შეუძლიათ თანამდებობის პირებთან შეხვედრა მათთვის ნებისმიერ სასურველ დროს. რესპონდენტებმა გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პატიმრების თხოვნით, ოფიციალური განცხადების გარეშე, მათ სანახავად გადასულა როგორც დირექტორის მოადგილე, ასევე მისულან სხვა თანამდებობის პირები.

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„(ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტი) იბარებდა მინისტრს, დეპარტამენტის უფროსს, ესენი ყველა მოცუხცუხდებოდნენ, კი არ მოდიოდნენ, არამედ თითის წვერებზე მოდიოდნენ, რომ ეს საქმე შიგნით მოგვარებულიყო და „მაყურებლების“ ესეთი ხელდაფარების და ამ კაცის წამების საკითხი სადმე არ წასულიყო“.*

ასევე მაღალი იერარქიის წარმომადგენლებზე, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა არ გავრცელდეს ის აკრძალვები, რასაც თავადვე უწესებენ სხვა პატიმრებს (მაგ. ბრაგის მოხმარებასთან, აზარტულ თამაშებთან, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ). რესპონდენტები საუბრობდნენ ცალკეული „მაყურებლების“ უფლებაზე შეუზღუდავი სატელეფონო ზარების შესახებ, ასევე სხვა შეღავათებზე/დამოკიდებულებებზე, რასაც ადმინისტრაცია ავლენს ამ ჯგუფის მიმართ. ეს ჯგუფი გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს სხვა პატიმრების მხრიდანაც, ისინი ნებაყოფლობით ან ვალდებულების გამო ემორჩილებიან ე.წ. „მაყურებლების“ გადაწყვეტილებებს, ითვალისწინებენ მათ აზრს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„არ შეიძლება, მაგალითად, ადმინისტრაციასთან გქონდეს კავშირი, ეს ფორმალურად, თორემ ისე ყველაფერი ხდება. ხშირად ურთიერთობენ ადმინისტრაციასთან, სიტყვით ამბობენ რომ არ შეიძლება, მაგრამ საქმით ასე არ ხდება, ადმინისტრაცია და ისინი ჩახუტებულები არიან. ადმინისტრაცია უწყობს ხელს რომელიმეს დაწინაურებას „მაყურებლად“, ადმინისტრაციას აწყობს სიწყნარე რომ იყოს და რომელსაც მეტი ავტორიტეტი აქვს, უწყობენ ხელს, რომ იმან მართოს, ამისთვის რაღაც პრივილეგიებს უკეთებს. დავუშვათ, შემოიტანონ სიგარეტი, ან გახსნან პაემანი, დიდ რაოდენობაზეა სიგარეტის საუბარი, მერე გარეთ აგზავნიან, იცვლება ფულში და მთელი ამბებია“.*

პატიოსნები/მუჟიკები - რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის განმარტებით, ესენი არიან პატიოსანი, მშრომელი ადამიანები, რომლებიც გარკვეული შემთხვევითობით მოხვდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში და მშვიდად, წყნარად იხდიან სასჯელს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ეს არის ჯგუფი, რომელსაც ყველა პატივს სცემს. ისინი არ იზიარებენ ე.წ. „ქურდულ წესებს“, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, „ვალდებულნი“ არიან დაემორჩილონ მაღალი იერარქიის არაფორმალური მმართველების მოწოდებებს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„თუ უარს იტყვი ღმერთმა უწყის, ვის რა უდევს გულში, გარიყული იქნება და ეგეთი რამის შემსწრე არ ვარ, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ ეგეთი ხალხი ან ღამე კვდებიან ან თავს იხრჩობენ ან რაღაცა“.*

რაც შეეხებათ „მუჟიკებს“, ისინი როგორც რესპონდენტთა ნაწილის მიერ აღინიშნა, უფრო მეტად იზიარებენ კრიმინალური სუბკულტურის ტრადიციებს, მეორე ნაწილი კი მათ „პატიოსნებთან“ სრულად აიგივებს.

ე.წ. „კაზიოლები“, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრები - რესპონდენტების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „კაზიოლები“ არ წარმოადგენენ პატიმრების მაღალ საფეხურზე მყოფ ჯგუფს, მათი უსაფუძვლოდ შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს. ესენი არიან პატიმრები, რომლებიც სხვებისგან განცალკევებით არიან განთავსებულნი და ასრულებენ მათზე დაკისრებულ საქმიანობას. ე.წ. „კაზიოლებს“ კრიმინალური სუბკულტურის წესებით (ე.წ. „ქათმებისგან“ განსხვავებით) შესაძლოა შეხება ჰქონდეთ სხვა პატიმრების საჭმელთან, მოუტანონ მათ საკვები და სხვა ნივთები მაღაზიიდან და ა.შ.

ე.წ. „ქათმები“ - ეს არის უფლებრივად ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფი პენიტენციურ დაწესებულებაში. მათ არ შეუძლიათ სხვა პატიმრებთან შეხება, მათ ნივთებთან მიკარება, ხელის ჩამორთმევა, მათთან ერთად ცხოვრება, საკვების მიღება და სხვ. რესპონდენტი პატიმრების უმეტესობა კვლევის პროცესში აშკარად აფიქსირებდა მათ მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას, თუმცა ამავდროულად აღნიშნავდნენ, რომ უმიზეზოდ მათ არავინ არაფერს ერჩოდა, უბრალოდ ცალკე ცხოვრობდნენ და „თავის საქმეს“ აკეთებდნენ. ამ ჯგუფის მოვალეობებს შორის, პატიმარი რესპონდენტები ასახელებდნენ ეზოში მზესუმზირის მოხვეტას, საპირფარეშოს დალაგებას, თეთრეულისა და საცვლების რეცხვას და სხვ. ამასვე მოწმობს ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც აღწერს უმცირესობათა მდგომარეობას პენიტენციურ სისტემაში. კვლევაში აღნიშნულია, რომ ამ ჯგუფს უწევს ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულება.[63] კიდევ ერთ კვლევაში, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით პენიტენციურ სისტემაში უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით განხორციელდა, საუბარია, რომ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში არიან ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენლები და მომუშავე პატიმრები, აღნიშნულია, რომ მათ სხვა პატიმრებზე ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სარეაბილიტაციო და სხვა სერვისებში.[64]

უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი რესპონდენტის განმარტებით, ამ ჯგუფის წარმომადგენლებს საკვლევი პერიოდის გარკვეულ მონაკვეთში ჰქონდათ პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური ამოსაცნობი სახვევის, ე.წ. „პავიაზკის“ ტარების ვალდებულება, რომელსაც ხელზე ან ფეხზე ატარებდნენ, რათა სხვა პატიმრებს რომლებიც მათ ჯგუფს არ განეკუთვნებოდნენ, შემთხვევით მათთან ფიზიკური კონტაქტი არ დაემყარებინათ. სახვევის ტარების ვალდებულებაზე საუბარია ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ჩატარებულ კვლევაშიც, თუმცა იქ აღნიშნულია, რომ ამ ვალდებულებას მითითებული ჯგუფის პატიმრებს ადმინისტრაცია აკისრებს.[65] ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, როდესაც მან სტატუსის არცოდნის პირობებში, ე.წ. „ქათმისთვის“ ხელის ჩამორთმევა განიზრახა, პატიმარმა თვითონ ანიშნა (თითი მოღუნა), რომ ხელს ვერ ჩამოართმევდა და უარი თქვა მისალმების ამ ფორმაზე.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ხელს თუ ჩამოართმევ, უნდა მოიკვეთო და წახვიდე, იმდენად კეთროვანი ტიპები არიან. სიმართლე რომ გითხრათ, უმეტესობა ძაან ცუდი დანაშაულების გამო ზის და მაგიტომ ხდება ეს“.*

• პატიმრების მოტივაცია, თავი მიაკუთვნონ კონკრეტული გავლენის ჯგუფს

რაც შეეხება პატიმრების მოტივაციას, მოხვდნენ კონკრეტულ იერარქიულ საფეხურზე პენიტენციურ დაწესებულებაში, კვლევის მონაწილეები თითქმის ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ მაღალ იერარქიულ საფეხურზე მოხვედრის სურვილი ძირითადად განპირობებულია ძალაუფლების მოპოვების, ასევე უსაფრთხოების გარანტიის მიღების განზრახვით, რადგან რაც უფრო მაღალ საფეხურზეა პატიმარი, მით უფრო მეტად აქვს დაცულობის განცდა (თუმცა ცალკეული რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ „მაყურებლობა“ ფიზიკური უსაფრთხოების მეტ რისკებთან არის დაკავშირებული). სუბკულტურის მაღალი გავლენის ჯგუფების მიმართ სწრაფვას, რესპონდენტთა აზრით, განაპირობებს ასევე გარკვეული პრივილეგიების მიღების, დაწესებულებაში არსებული ყოფითი საკითხების მოგვარების სურვილი. აღინიშნა, რომ ე.წ. „მაყურებელთან“ ახლობლობის შედეგად, შესაძლოა კონკრეტულმა პატიმარმა ურიგოდ მიიღოს სამედიცინო სერვისი, მოაგვაროს ამანათით გარკვეული ნივთის მიღების ან ამანათის რაოდენობის გაზრდის საკითხი, მოიპოვოს მხარდაჭერა გავლენიანი ჯგუფებისგან კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში და სხვა.

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„იყო შემთხვევებიც, როცა სუბკულტურის რაღაც რეგალიები, როგორ ვთქვა, ვთქვათ, წონიანი ტიპი იყო იმ სუბკულტურაში, ჩვენ გვეუბნებოდა ადმინისტრაცია, რომ ამას განსაკუთრებულად მიაქციე ყურადღება“.*

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„რომ შევედი სართულზე, ამათი საკანი დამხვდა ღია, ჩაკეტილი არ იყო, მიხურული იყო, ეს პატიმარიც გამოდიოდა, მიდიოდა, რეკავდა, ნებართვის გარეშე და რომ ვიკითხე ესენი ასე რატომ დადიან მეთქი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა კრიმინალური ავტორიტეტიაო“.*

63უმცირესობების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, 2018 წ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, გვ. 38-39

64 პენიტენციურ სისტემაში უმცირესობათა უფლებების დაცვისა და რეალიზების შესაძლებლობები და გამოწვევები, კვლევის ანგარიში, „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC), 2020 წელი, ჩატარდა PRI-ის პროექტის ფარგლებში, გვ. 17

65 საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსმ პატიმრების საჭიროებების კვლევა აივ-ის პრევენციასთან მიმართებით, ორგანიზაცია “იდენტობა” (2013 წ), გვ. 17

ყოფილი პატიმარი: *„უფრო მეტი რაღაცის შეტანა შეუძლიათ გარედან: საჭმელი, ტექნიკა. 2014 წელს დირექტორს ყოველ კვირას ხინკალი შეჰქონდა კორპუსის მაყურებლებისათვის, იყო ეგეთი პერიოდი“.*

ყოფილი პატიმარი: *„გარედან ჩვეულებრივად შემოჰქონდათ დავუშვათ დიდი ტელევიზორი, რომელიც ციხის ტერიტორიაზე არ იყიდებოდა, უბრალოდ ჰქონდათ გამწვანებული ზემოთ, ციხის დირექტორთან და ადმინისტრაციასთან, რასაც მოინდომებდნენ შემოსდიოდათ“.*

კვლევის შედეგად გამოიკვეთა არაჯანსაღი ტენდენციები, რომლებიც ძირითადად უკავშირდებოდა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას. რესპონდენტების განმარტებით, იყო შემთხვევები, როდესაც პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს მიეწოდებოდათ დიდი რაოდენობის ფსიქოტროპული საშუალებები, ისე, რომ არ იყო ამ კუთხით გამოკვეთილი სამედიცინო ჩვენება. გარდა ამისა, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ხშირად სამკურნალო დაწესებულებაში ხანგრძლივად აჩერებდნენ პატიმრების გარკვეულ ჯგუფს, ისე რომ ამის საჭიროება საერთოდ არ იდგა. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები ითხოვდნენ ამ პაციენტების გაწერას, დაწესებულების ადმინისტრაცია ამაზე უარს ამბობდა მათთვის გაურკეველი მიზეზებით. რესპონდენტთა ნაწილმა ასევე მიუთითა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციასა და კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის ხდებოდა ერთგვარი გარიგება, რის შედეგადაც, პატიმრები ურიგოდ და გადაუდებელი საჭიროების გარეშე გაყავდათ ქალაქის საავადმყოფოში.

ყოფილი თანამშრომელი: *„2015-დან, 2016-დან გამოჩნდა ხანგრძლივად დაყოვნებული პაციენტები. ანუ, საავადმყოფო ნიშნავს, რომ სასჯელი კი არ უნდა მოიხადოს, უნდა იმკურნალოს, დაასრულოს რაღაც ეტაპამდე მკურნალობა და გაეწეროს და როცა უკვე ხდებოდა ხანგრძლივად დაყოვნება პაციენტების, მერე უკვე ჩნდებოდა რაღაც ეჭვები“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ადმინისტრაცია სანაცვლოდ პატივს სცემდა, რომ გაიყვანა ქალაქში, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ჩვენება ამისი არ იყო ან ჰქონდა ისეთი უმნიშვნელო, რომელიც სასწრაფო ჩარევას არ მოითხოვდა... ამათ შემთხვევაში ეს ხდებოდა ძალიან დაუყოვნებელი წესით, სასწრაფო გადაუდებელი ჩვენების გამო“.*

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში საუბარია პრივილეგირებულ პატიმრებთან დაკავშირებით. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მსგავსი სახის ტენდენცია გამოიკვეთა დახურული ტიპის დაწესებულებაში. ანგარიშში საუბარია, რომ N8 დაწესებულებაში არიან პრივილეგირებული პატიმრები, რომელთაც ადმინისტრაცია ეხმარება საკნების გარემონტებაში, რთავს ნებას იქონიონ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელიც სხვა პატიმრებისთვის არ არის დაშვებული.[66] გარდა ამისა, N15 დაწესებულებაში პრივილეგირებული პატიმრების არსებობის შესახებ აღნიშნულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშში. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ N15 დაწესებულებაში, პატიმრების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც აქვს დიდი გავლენა დაწესებულებაზე, იმყოფება სხვა პატიმრებისგან განსხვავებულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში. კერძოდ, პატიმრების გარკვეული ჯგუფი განთავსებული იყო მარტო ან ორნი საკანში, რაც არ იყო დამახასიათებელი ამ დაწესებულებულებისთვის. მათ საკანში ჰქონდათ ხალიჩა, ძვირად ღირებული ავეჯი, აკვარიუმი, დიდი ტელევიზორი, სურათები კედლებზე და ა.შ.[67]

რესპონდენტებს შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ იმ ადამიანების მიერ, რომლებიც რეალურად არ არიან სუბკულტურის წესების გულმხურვალე მხარდამჭერები, ამ როლის მორგება დაწესებულებაში განპირობებულია თვითგადარჩენის ინსტიქტით, კერძოდ, მათ თავიანთი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვის გარანტად ესახებათ მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ პირებთან ახლოს ყოფნა, მათი მხარდაჭერის მოპოვება და დაწესებულებაში უბრალოდ სხვა არჩევანი არ აქვთ. თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ „მაყურებლობა“ და „კაი ბიჭობა“ იძულებით არ ხდება და ეს მაინც პატიმრის გაცნობიერებული არჩევანია, განსხვავებული მსჯელობის საკითხია რა არის ამ არჩევანის მოტივაცია.

ცალკე უნდა აღინიშნოს არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდა პატიმრებთან დაკავშირებული საკითხი. არასრულწლოვნებთან შემხებლობაში მყოფი რესპონდენტების განმარტებით, ახალგაზრდებში ამ სწრაფვას ასევე განაპირობებს მიმბაძველობა და ის აგიტაციური სამუშაოები, რასაც მაღალი იერარქიის ავტორიტეტები გამუდმებით აწარმოებენ ჩამოუყალიბებელ, გამოუცდელ პატიმრებთან.

ყოფილი თანამშრომელი: *„ვიყო ძლიერი, ვიყო დაცული, ვიყო გავლენიანი და სამწუხაროდ, აი, ამ დაცულობას როდესაც ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს წარმომადგენელი, ბავშვები იქნებიან თუ დიდები, იღებენ თავიანთ თავზე ამ ვალდებულებებს და ცდილობენ გახდნენ გავლენიანები და გავლენა მოახდინონ მასაზეც“.*

ყოფილი პატიმარი: *„მინახავს, მაგალითად, არ უნდოდა, თქვა რომ პატიოსანი ადამიანი ვარო და მეორე და მესამე დღეს ტიპი ძალიან ბევრს ელაპარაკა, რა იცი რომ პატიოსანი ხარო, ცხოვრებაში გიმუშავიაო? ასეთი და ასეთია ეს სისტემაო და ორ-სამ დღეში თქვა რომ „კაი ბიჭი“ ვარო“.*

---

66 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის თაობაზე, გვ. 20

67 წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში, 2018 წელს საქართველოში განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით, პარ. 71.

2018 წელს უცხოელთა და უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩატარებული კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალურ სუბკულტურას წარმოადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან კრიმინალურ ჯგუფებში, იცავენ დაუწერელ კანონებს და ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრილი საზოგადოების ნებისმიერი წრის თუ ჯგუფის წარმომადგენელი, სასჯელის მოხდის პერიოდში ხდება სუბკულტურის ნაწილი.[68]

• გავლენის მქონე ჯგუფები/განსხვავება დაწესებულების ტიპების მიხედვით

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის მაღალი ფენის წარმომადგენლები, ე.წ. „კაი ბიჭები“ შეადგენენ პატიმრების დაახლოებით 5-10%-ს, თუმცა გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილმა მიიჩნია, რომ ისინი პატიმრების დაახლოებით მეხუთედს (20%-ს) შეადგენენ. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების ყველაზე დიდ ფენას ცალსახად ე.წ. „პატიოსნები“ წარმოადგენენ, ისინი ციხის პოპულაციის დაახლოებით 60-70%-ს ქმნიან. რაც შეეხება ე.წ. ქვედა ფენას (ე.წ. „ქათმები“, „კაზიოლები“), რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ე.წ. „ქათმების“ რაოდენობა 2-დან 10%-მდეა, ხოლო ე.წ. „კაზიოლები“ შედარებით დიდ ჯგუფს ქმნიან (დაახლოებით 20%-მდე). რაც შეეხებათ „მაყურებლებს“, ისინი სულ რამდენიმეა და პატიმრების რაოდენობის მცირე ნაწილს შეადგენენ.

რამდენიმე პატიმარმა ისაუბრა არა უშუალოდ იერარქიულ საფეხურებზე მყოფ პირთა რაოდენობაზე, არამედ იმ პატიმრების რიცხვზე, რომლებიც ზოგადად იზიარებენ კრიმინალური სუბკულტურის ღირებულებებს და აღნიშნა, რომ ასეთი პენიტენციურ დაწესებულებებში დაახლოებით ნახევარი ან ნახევარზე ცოტა ნაკლებია.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ამაში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ 3000 კაციდან 2000-ზე მეტს ეზიზღებოდა ეს ქურდული ტრადიციაც და ვაფშე რა, ეს ქურდულთან დაკავშირებული. მარა იძულებულია რა, ციხეში რომ ზიხარ, ხომ არ გინდა, მაგრამ ხარ, დაჭერილი ხარ რა!“.*

ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ განსხვავებებს, რაც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა პენიტენციური დაწესებულებების ტიპების მიხედვით. თუ ვისაუბრებთ ზოგადად იერარქიაზე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ იერარქია ყველა დაწესებულებაში ერთნაირად აღიქმება, თუმცა იერარქიის ყველა წარმომადგენელი ყველა დაწესებულებაში წარმოდგენილი არ არის და მათი გავლენებიც განსხვავებულია. გამოიკვეთა, რომ კრიმინალური სუბკულტურის გავლენა განსაკუთრებით მძლავრია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც გვხვდებიან კიდეც „მაყურებლები“ (ქსნის N15 დაწესებულება, რუსთავის N17 დაწესებულება, გეგუთის N14 დაწესებულება), რაც შეეხება დახურული ტიპის დაწესებულებებს (მაგ. გლდანის N8 დაწესებულება), რესპონდენტები საუბრობდნენ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების არსებობაზე, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ მათ არსებული ინფრასტრუქტურის გამო, არ ჰქონდათ აქტიური შეხება სხვა პატიმრებთან და ასეთ ჯგუფს ძირითადად განეკუთვნებოდნენ სამკურნალო დაწესებულებიდან გადმოყვანილი პატიმრები. მიუხედავად ამისა, გლდანის დაწესებულების ყოფილმა პატიმრებმა ისაუბრეს პრივილეგირებული პატიმრების მიმართ არსებულ განსხვავებულ მოპყრობაზე, კერძოდ, აღნიშნეს, რომ მათთვის საკვები ცალკე მზადდებოდა, მათ შეუზღუდავად შეეძლოთ ესარგებლათ სამეურნეო მომსახურებაში მყოფ პირთა სატელეფონო ბარათებით (თანხას საკუთარი ხარჯით რიცხავდნენ) და ა.შ. საკვლევი პერიოდის მეორე ნახევარში დაწესებულებაში მყოფი პირები მიუთითებდნენ, რომ გლდანში „მაყურებელი“ არ იყო და მათთვის ასეთი რამ არ გამხდარა ცნობილი. რაც შეეხება ქუთაისის N2 დაწესებულებას, მიუხედავად იმისა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებაა, მასში სუბკულტურული გავლენები უფრო მძლავრია.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„გლდანში მაყურებელი არ არის. „კაი ბიჭობა“ არის, მაგრამ იქ არავინ არავის ერჩის, თუ არ დააშავა ადამიანმა“.*

> ***ყოფილი პატიმარი:„*** *გლდანში დიდი კომუნიკაცია არ გაქვს, როგორც მახსოვს, ჩემ დროს „მაყურებელი“ არ იყო. ოთხ კედელში ვიყავით გამოკეტილები და ვსიო, სხვა არაფერი არ ხდებოდა და მაქსიმუმ, შეიძლება, რაღაც გადაგეწოდებინა ზემოთ და რაღაც ჩამოეწოდებინა ქვემოთ, ესეც არ იყო რამე არაკანონიერი, სიგარეტი მაქსიმუმ“.*

რაც შეეხება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებას, ყოფილი თანამშრომლები ადასტურებენ, რომ დაწესებულებაში მართლაც არის ე.წ. „მაყურებელი“, თუმცა აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნები კარგად არ იცნობენ კრიმინალური სუბკულტურის წესებს და მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ სატელეფონო კავშირებით დააზუსტონ რიგი საკითხები, მაინც გარკვეულწილად განსხვავებულ რეალობაში ცხოვრობენ.

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„მაგალითად, „კაი ბიჭი“, „კაზიოლი“ და „პეხოტა“ ერთ საკანში ცხოვრობს ჩვენთან, სხვაგან არცერთ შემთხვევაში არ იქნებიან, ცოტა განსხვავებულია, ბავშვები არიან, არ იციან იმდენი, დარეკვები, რაღაცა ყურმოკრული. რომ გადადიან იქით, მერე აქვთ იქ პრობლემა, ვითომ აქ რომ მაგრები არიან, რომ გადადიან იქ, ძალიან სუსტები არიან, იქ მოეთხოვებათ პასუხი“.*

რაც შეეხება N16 დაბალი რისკის დაწესებულებას, კვლევის თანახმად, დაწესებულებაში არ არიან არც ე.წ. „მაყურებლები“, არც „კაი ბიჭები“ და არც ე.წ. „ქათმები“. დაწესებულება ძირითადად ე.წ. „პატიოსნების“ და

68 უმცირესობების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, 2018 წ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, გვ. 37.38

სამეურნეო მომსახურეობის ჯგუფით არის შევსებული. კვლევის რესპონდენტების განმარტებით, დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ის თავისუფალია სუბკულტურული გავლენებისგან და თვისებრივად განსხვავდება სხვა პენიტენციური დაწესებულებებისგან. თუმცა, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სუბკულტურის მიმდევართათვის მე-16 დაწესებულებაში გადასვლა არ ითვლება მისასალმებელ საქციელად და ყოფილა შემთხვევა, რომ პატიმრისთვის, რომელიც ე.წ. „კაი ბიჭის“ სტატუსზე აცხადებდა პრეტენზიას, შეუხსნებიათ, რომ თუ „კაი ბიჭი“ იყო ამ დაწესებულებაში არ უნდა გადასულიყო.

ბ) არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა დაწესებულების მართვაში

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა ადმინისტრაციასთან მათ ურთიერთობას ახასიათებს, როგორც ნორმალურს. მათი დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ სუბკულტურული წესებით ადმინისტრაციასთან მეგობრობა მიღებული არ არის, თუმცა არც მათი უმიზეზოდ შეურაცხყოფა და ფიზიკური შეხებაა დასაშვები. კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა თანამშრომლებზე ძალადობის შემთხვევებიც. რესპონდენტების ნაწილი განმარტავს, რომ მოჩვენებითად ეს შესაძლოა ჩანდეს პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობად (რადგან, როგორც აღინიშნა, უმიზეზოდ თანამშრომლების შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება სუბკულტურულ წესებს), თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, პატიმარი თანამშრომელს დაუფიქრებლად მიაყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას. პატიმარი რესპონდენტების განმარტებითვე, ყველაზე ხშირი კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან აქვთ ე.წ. „მაყურებლებს“ და „პალაჟენცებს“. მათ ეკისრებათ როგორც სხვა პატიმრების პრობლემების მოგვარების არაფორმალური ვალდებულება, ასევე ადმინისტრაციის გზავნილის პატიმრებისთვის გადაცემა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ურჩევნიათ ადმინისტრაციასთან საკითხების კომუნიკაცია სწორედ შუამავლის საშუალებით განახორციელონ, რაც ე.წ. „მაყურებლებს“ გარკვეულწილად მედიატორის ფუნქციასაც ანიჭებს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ყველაფრის დახმარება შეუძლია რაზეც მიმართავ, ყველაფრის „ვაფშე“. მე ადმინისტრაციაში არავინ არ გადამიყვანს, მაგალითად, ის (ადმინისტრაცია) ჯერ აზრს გაიგებს და იმის აზრს არ გაიგებს, გადაიყვანს და პირდაპირ ეტყვის“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„პაემანი ჰქონდა და არ აკმაყოფილებდნენ, უკან უშვებდნენ, ვთხოვე მაყურებელს და შემოუშვეს“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„3000 კაცი რომ არის და 1500 კაცი რომ არის, ადმინისტრაციის 10-მა კაცმა რა უნდა ქნას? მეც ვიყავი პატიმარი და რამე რომ გამიჭირდეს და დამჭირდეს, მირჩევნია ისევ „მაყურებელს“ ვკითხო და მასთან ერთად მოვაგვარო, ვიდრე ადმინისტრაციას ველოდო რას გადამიწყვეტს და იქით ვის შეეკითხება და რა პასუხს მეტყვის“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„შეიძლება ბოტასის შემოტანა და არ მინდა ადმინისტრაციასთან თხოვნა და ხვეწნა-მუდარა და მირჩევნია ვუთხრა ე.წ. „მაყურებლებს“ და ის მივა და ეტყვის, აი, პატიმარს უნდა ამა და ამის შემოტანა და მივცეთ უფლება“.*

თანამშრომელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ პატიმრებთან პოზიტიური, მეგობრული დამოკიდებულება აქვს, თითქმის ყველა მათგანი პატიმრებს სახელით მიმართავს და საპასუხოდაც ამ ფორმით მომართვას მიიჩნევს მისაღებად. ცალკეული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იყენებენ მიმართვის ისეთ ფორმას, როგორიცაა „ძმაო“ და ძმაკაცობენ კიდეც პატიმრებთან, თუმცა მაინც იცავენ ზღვარს, რომ ამას არ მოჰყვეს არალეგიტიმური მოთხოვნები და არაფორმალური შეთავაზებები. რესპონდენტების მეორე ნაწილი (განსაკუთრებით ყოფილი სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები) აღნიშნავენ, რომ პენიტენციურ სისტემაში მუშაობის პერიოდში, პატიმრებთან ჰქონდათ პოზიტიური დამოკიდებულება, თუმცა იცავდნენ გარკვეულ დისტანციას, „ოქროს შუალედს“, რაც, მათი აზრით, უნდა არსებობდეს თანამშრომელსა და პატიმარს შორის. რაც შეეხება პატიმართა ჯგუფების, განსაკუთრებით მარგინალიზებული ჯგუფების ვერბალურ სახელდებას, კვლევამ აჩვენა, რომ თანამშრომელთა დიდი ნაწილი მათ ისევე მოიხსენიებს, როგორც სხვა პატიმრები, მაგ. უწოდებს ე.წ. „ქათმებს“, „კაზიოლებს“, მეორე ნაწილი ცდილობს ეს ტერმინები არ გამოიყენოს და მითითებული ჯგუფები დაახასიათოს როგორც „უმცირესობები“, „ჰომოსექსუალები“. რესპონდენტთაგან მიღებული ინფორმაციიდან ასევე ირკვევა, რომ თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა იცავს ამ ჯგუფთან შეხების აკრძალვის არაფორმალურ წესსაც და რიგ შემთხვევებში კოლეგებსაც ამისკენ მოუწოდებს, თუმცა ცალკეული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ე.წ. „ქათმისთვის“ ხელიც გადაუხვევიათ და ჩამოურთმევიათ, მიუხედავად სხვა პატიმრების მხრიდან პროტესტისა. რაც შეეხება არავერბალური, ფიზიკური კომუნიკაციის სხვა ფორმებს, როდესაც საკითხი განცხადების ან სხვა ნივთის ხელიდან ხელში გადაცემას ეხება, რესპონდენტთა უმრავლესობის განმარტებით, ამას თანამშრომლები ჩვეულებრივად აკეთებენ და პატიმართა წესებს ე.წ. „ქათმისთვის“ ნივთების გამორთმევის დაუშვებლობის შესახებ არ ემორჩილებიან.

ყოფილი თანამშრომელი: *„ადმინისტრაციის წევრებიც რომ მოძველბიჭო ტიპები არიან, იმას რანაირად უნდა მოსთხოვო, რომ იცი, რა არის, რაღაცა არ გააკეთო! მე ვინც იქ დამხვდა და შემხვდა, სუბკულტურის გავლენის ქვეშ იყვნენ“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ყოველთვის ვცდილობდი, რომ მათი ტერმინოლოგია და ჟარგონები არ გამომეყენებინა, მაგრამ თუ საჭირო იყო, ერთი-ორს გამოვიყინებდი. რაღაც შემთხვევებში უნდა ელაპარაკო, აბა, სხვანაირად როგორ, მაგრამ მოზომილად. „ჩავიცუცქოთ“ არ უნდა მოგვიდეს ეხლა“.*

ექსპერტი: *„ამ წესებს და ეს იყო ყველაზე პრობლემატური, მისდევდა ადმინისტრაციაც, მათ შორის, ტერმინოლოგიის გამოყენების დონეზეც“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„მაგალითად, ის ხელი ათას სიბინძურეში ჰქონდათ, ხან კანალიზაციებში და მე, მაგალითად, არ ჩამოვართმევდი. თორემ ისეთი რაღაც, რომ ვინაიდან ის ქათამია და... ადამიანია ჩვეულებრივი და მე მაგით არ განვასხვავებდი“.*

რესპონდენტების (როგორც პატიმრების, ისე ყოფილი თანამშრომლების) განმარტებით, თანამშრომლები განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდნენ მოწყვლადი პატიმრების მიმართ და ნებას რთავდნენ სხვა პატიმრების საკნებში ჩაკეტვის შემდეგ, მოეწესრიგებინათ თავი და უფრო გვიან ჩაკეტილიყვნენ. რაც შეეხება ხელის ჩამორთმევაზე უარის თქმას, ამას ამ ჯგუფის უსაფრთხოებითვე ხსნიდნენ. რესპონდენტების ნაწილი განმარტავს, რომ ამ ჯგუფთან შეხებით თანამშრომლები დისკრედიტებულნი ხდებოდნენ სხვა პატიმრების თვალში. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც თანამშრომელი შეეხო ე.წ. „ქათმის“ სტატუსის მქონე პატიმრის ნივთებს და შემდეგ შევიდა ე.წ. „კაი ბიჭის“ კამერაში, რასაც მოჰყვა ამ თანამშრომლის შეურაცხყოფა პატიმრის მიერ, რასაც არც პერსონალის და არც ადმინისტრაციის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა ხაზს უსვამს ადმინისტრაციის არათანაბარ დამოკიდებულებას პატიმართა მიმართ და საუბრობს მათი ნაწილის ე.წ. „მაღალი იერარქიის წარმომადგენელი პატიმრების“ მიმართ პრივილეგირებულ დამოკიდებულებაზე. საუბარია როგორც განსხვავებულ საცხოვრებელ პირობებზე, ასევე იმაზეც, რომ ე.წ. „მაყურებლებს“ განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ დაწესებულების ადმინისტრაციასთან, კერძოდ, შეეძლოთ რიგ დაწესებულებებში (ნახევრად ღია ტიპის) შეუზღუდავად გადასულიყვნენ ადმინისტრაციულ ნაწილში, ან (დახურული ტიპის დაწესებულებებში) მოეთხოვათ ადმინისტრაციის წარმომადგენლების გადასვლა კორპუსზე. როგორც მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, ამ ჯგუფის წარმომადგენლებს შეეძლოთ შეხვედრის ორგანიზებისას თავი აერიდებინათ იმ ფორმალური პროცედურებისთვის, რაც ყველა პატიმრისთვის იყო დადგენილი. მაგ. განცხადების დაწერის გარეშე მოეთხოვათ ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შეხვედრა, რაც კმაყოფილდებოდა კიდეც. ადმინისტრაციის მხრიდან არაფორმალური გავლენების მქონე პატიმართა მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს თითქმის ყველა რესპონდენტი. მათი განცხადებით, ე.წ. „მაყურებლებს“ უფლება ჰქონდათ ეტარებინათ ჯინსები, „ბალთიანი ქამრები“, ყურსასმენები, როდესაც ეს სხვა პატიმრებისთვის დაშვებული არ იყო, ამანათით შემოეტანათ ის ნივთები, რისი უფლებაც სხვა პატიმრებს არ ეძლეოდათ. პატიმართა ნაწილი აღნიშნავს, რომ მაშინაც, როდესაც ე.წ. „მაყურებლები“ სხვებს უკრძალავდნენ გარკვეული ქმედების ჩადენას (მაგ. ე.წ. „ბრაგის“ დაყენებას), მათზე ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა, არაფორმალური იერარქიის ზედა ფენის წარმომადგენლები არ ემორჩილებოდნენ ასევე ადმინისტრაციასთან პირისპირ, თანმხლები პირის გარეშე შეხვედრის აკრძალვასაც. დახურული დაწესებულების რამდენიმე ყოფილი თანამშრომელი იმასაც აღნიშნავს, რომ მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პატიმრებისთვის დახურულ სისტემაშიც კი შესაძლოა კარი საჭირო დროს გაღებულიყო და მათ მისცემოდათ სხვა საკნებში გადაადგილების საშუალება, ზოგიერთი საკნის კარი კი დახურული ტიპის დაწესებულებაშიც ფაქტობრივად უმეტესად ღია იყო (მხოლოდ მიხურული) და იშვიათად იკეტებოდა

ყოფილი პატიმარი: *„ჩემი აზრით, ზედა ფენას ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ადმინისტრაციასთან, პრივილეგირებულები იყვნენ, შენ რომ არაფერი შეგეძლო, იმას ყველაფერი შეეძლო“.*

ყოფილი პატიმარი: *„სიტყვაზე, რვა საათზე ჩაკეტილი რომ ვიყავი და გადასვლა და გადმოსვლა არ შეიძლებოდა, სხვას შეეძლო რომ გადასულიყო“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„კარის დაკეტვა არაფერში უშლიდათ ხელს მათ, იმიტომ რომ, რა წუთშიც მოუნდებოდათ, იმ წუთში შეეძლოთ გაეღოთ ის კარი და შეეშვათ სხვა დაკეტილ კარში, სადაც მოუნდებოდათ, არავითარი პრობლემა არ იყო“.*

ყოფილი პატიმარი (სამეურნეო სამსახურის წარმომადგენელი): *„თვითონ დირექტორის ბრძანება იყო, რომ იმ კორპუსზე ვინც არიან მიგვექცია ყურადღება, ამ კამერას მიაქციე ყურადღებაო როცა დაგიძახებენ, უნდა ახვიდე. ეგეთი ხშირი შემთხვევა იყო, სიტყვაზე, იმ ადამიანს მოშივდა, დაგირეკავდა იქაური ოფიცერი და უნდა ასულიყავი“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„თავისუფლად დადიოდნენ, მოძრაობდნენ, ახალი მისული რომ ვიყავი, ძალიან რთულად გავერკვიე ვინ პატიმარი იყო და ვინ თანამშრომელი, იმ დონემდე იყვნენ ადმინისტრაციაში შემოსული“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„უთქვამთ, რომ მოადგილე გადმოვიდეს, შეხვედრა მინდა, ოღონდ განცხადებას არ წერდნენ და მე რომ ვეუბნებოდი, განცხადება დაწერეთ მეთქი, მეუბნებოდნენ, რომ იცის, ჩემი სახელი უთხარი, იცის და გადმოვაო და მართლა ეგრე ხდებოდა“.*

ექსპერტი: *„ნამდვილად იყვნენ გარკვეული კატეგორია პატიმრების, ვინც, ასე ვთქვათ, პრივილეგირებული პატიმრები იყვნენ, გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ ადმინისტრაციის მხრიდან“.*

რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში ე.წ. „მაყურებლის“, „პალაჟენეცის“ არსებობა და საქმიანობა პირდაპირ წარმოადგენს ადმინისტრაციისა და ამ პირთა შეთანხმების საგანს. რესპონდენტები განმარტავენ, რომ სხვაგვარად ფაქტობრივად შეუძლებელია არსებობდეს ე.წ. „მაყურებელი“ და აღჭურვილი იყოს იმ ძალაუფლებით, რაც რეალურად აქვს. გამოკითხული პირები ასევე მიუთითებენ, რომ „მაყურებელი“ ბოლომდე ადმინისტრაციის დანიშნული ვერ იქნება, რადგან ეს სუბკულტურის წესებით მიუღებელია და შესაძლოა სხვა პატიმრების პროტესტი გამოიწვიოს, თუმცა აქტიურად თანამშრომლობს მათთან და თუ ღია დაპირისპირებაში შევა და მხოლოდ თავისი წესებითა და სურვილებით იმოქმედებს, აუცილებლად მოხდება მისი დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა. რესპონდენტების უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციასა და მაღალი იერარქიის წარმომადგენლებს შორის არსებობს ურთიერთსარგებელზე დამყარებული ურთიერთობა, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, დაწესებულებაში სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველყოფას, საჩივრების, თვითდაზიანებისა და სუიციდის ნაკლებ მაჩვენებელს, მეორეს მხრივ კი, ე.წ. „მაყურებელებისთვის“ გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათთან თითქმის ყველა გადაწყვეტილების შეთანხმებას. რესპონდენტები საუბრობენ პრინციპზე, როდესაც ერთი მხარე თმობს რაღაცას და სანაცვლოდ იღებს მეორე მხარისგან მისთვის საჭირო ნივთს ან ქმედებას.

ყოფილი პატიმარი: *„ადმინისტრაციასაც თავისი ფუნქციები ჰქონდა და იმასაც. ხელმა ხელი დაბანა, ორივემ პირიო, ეგრე ხდება იმ თავიდან ამ თავამდე“.*

ყოფილი პატიმარი: *„თუ გინდა შეგინარჩუნებ რაღაცას, სიმშვიდეს, რასაც გეტყვით, მოგვეცი და ადმინისტრაციაც თანახმაა, აწყობს კიდეც ეგეთი რაღაცა. ან იქნება ქაოსი, დაძაბულობა“.*

ყოფილი პატიმარი: *„ადმინისტრაციის ვალდებულებაა ყველაფერი, რასაც ეგენი (ე.წ. მაყურებელები) აკეთებენ. ჩრდილოვანი მმართველობა აქვთ, ასე ვთქვათ“.*

ყოფილი პატიმარი: *„ადმინისტრაცია როგორც მოსახერხებელია ისე იქცევა, ნაკლებ შრომას ხარჯავს და თვითონ კეთდება საქმე, ბუნტი არ არის და მშვიდად არიან... „მაყურებლები“ გეუბნებიან, რომ წესიერად მოიქეცი, შეურაცხყოფა არ მიაყენო ადმინისტრაციას, რასაც გეტყვის დაემორჩილეო“.*

ყოფილი პატიმარი: *„ციხის მართვას რას ეძახით, ზონას ეგენი მართავენ. მაგათ დაქვემდებარებაში კია რ ხარ, მაგრამ თუ პრობლემა შეიქმნება და რაღაცაა გადასაწყვეტი, ეგენი აგვარებენ ამ ყველაფერს”.*

ყოფილი თანამშრომელი: *„უბრალოდ თვითონაც აწყობდათ და ჩვენც, რომ სიმშვიდე ყოფილიყო დაწესებულებაში, მაგათ თავიანთ მაღალ ფენაში პლიუსივით ეწერებოდათ, რომ სადაც თვითონ არიან, არაფერი ხდება, სიმშვიდეა და ა.შ.“.*

ექსპერტი: *„2012 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, რადიკალურად შეიცვალა და თუ ადრე, პირობითად ვამბობ, რაღაც პოლიტიკას განსაზღვრავდა დაწესებულების დირექტორი და ამის თქმა თამამად შემიძლია, 2012 წლის მერე იყო პირიქით - დაწესებულების პოლიტიკას მართვის კუთხითაც კი განსაზღვრავდა „მაყურებელი“.*

ადმინისტრაციისა და ე.წ. „მაყურებლების“ ამგვარი თანამშრომლობის მიზეზად რესპონდენტები, ძირითადად, ასახელებდნენ თანამშრომელთა მცირე ოდენობას, იმ ფაქტს, რომ ასე მართვა უფრო მარტივია, რადგან ადმინისტრაციას უამრავი პატიმრის ნაცვლად კომუნიკაცია უწევს მხოლოდ რამდენიმე პატიმართან, რომელიც შემდეგ ყველაფერს „უგვარებს“. რესპონდენტი პატიმრებიც აღნიშნავდნენ, რომ სანაცვლოდ ისინი არ ითხოვდნენ ისეთ რამეს, რაც, მათი აზრით, შეუძლებელი იყო, მაგალითად, არ მოითხოვდნენ გარეთ გასვლას და ციხის კარის გაღებას, მათი მოთხოვნები ძირითადად ყოფითი საკითხებით შემოიფარგლებოდა. რესპონდენტების ნაწილი აცხადებდა, რომ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში სხვაგვარად მართვა შეუძლებელი იყო, თუმცა მეორე ნაწილის განმარტებით, თუ ადმინისტრაცია მოინდომებს და პოლიტიკური ნებაც იქნება, ე.წ. „მაყურებლების“ გარეშე დაწესებულების მართვა სრულიად შესაძლებელია. გამოკითხულ თანამშრომელთაგან ორმა უარყო, რომ პატიმრები ჩართულნი არიან მართვაში, მათი განმარტებით, ციხეს ადმინისტრაცია მართავს, თუმცა შემდეგ ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევაში უთხოვია დახმარება პატიმრებისთვის წესრიგის შენარჩუნების კუთხით, მეორემ კი განმარტა, რომ ციხის მართვა და მართვაში ჩართულობა ერთმანეთისგან განსხვავებული პროცესებია. განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა ასევე ერთ-ერთმა გამოკითხულმა ექსპერტმა და მიუთითა, რომ სამინისტროს მმართველი თანამდებობის პირები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სუბკულტურის გავლენასა და პატიმრების გავლენის ჯგუფებად დაყოფას.

ყოფილი პატიმარი: *„მაყურებელი“ ჩაერევა, რეჟიმს ჩვენ დავალაგებთ!“ - ეგრე არ ხდება, რომ ვიღაცამ ვიღაცას სცემოს, ჩვენ გავარკვევთ, ადმინისტრაციას რაში აწყობს, მაშინ უნდა მუხლი წაუყენოს, გამოძიება წავიდეს და არ აწყობს“.*

ყოფილი პატიმარი: *„ხო, იცით რა, რახან იმათ არ შეუძლიათ, ამათ იყენებენ, თორემ სულ არაა აუცილებელი, რომ ესენიც იყვნენ. პატიმრებს შორის რომ იყოს სიმშვიდე, ადმინისტრაცია ვერ ახერხებს. ჩხუბს კრძალავს „ქურდული“ და ხელის აწევას ერთმანეთზე, იქ მხოლოდ ლაპარაკით უნდა მოაგვარო“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ნუ, როგორ არის, იცი? შენ ეს გააკეთე, იქნები მშვიდად, წყნარად, შენ გააკეთებ ამას, მე გავაკეთებ ამას. რაღაცეებით აბალანსებენ ამ მდგომარეობას, რატომ იცი? დირექტორებს აკისრებენ მოვალეობას, რომ აი, იქ რაღაც რომ მოხდება, შენ იცი რას გიზამთ? მუქარის ტონით როცა გელაპარაკება სამინისტრო, შენ იძულებული ხდები სამსახური არ დაკარგო და მალო რაღაცეები, რასაც აკეთებ არ გაამჟღავნო, აი, ეს არის ცუდი“.*

ექსპერტი: *„უფლებრივი თვალსაზრისით, რა უფლებებიც ჰქონდა ადმინისტრაციას, იმის 100%-დან 100-ივე უნდა ყოფილიყო შეთანხმებული არაფორმალურ მმართველთან“.*

ექსპერტი: *„ყრუები და ბრმები თუ არ არიან, რანაირად შეიძლება ადმინისტრაციამ არ იცოდეს, რომ მის ციხეში არის „მაყურებელი“, შანსი არ არის მაგის. ადმინისტრაციის ჩაურევლად და რაღაც დონეზე მხარდაჭერის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია ამ ყველაფრის არსებობა“.*

ექსპერტი: *„ამ ელემენტების გარეშე ნახევრად ღია დაწესებულებების მართვა იქნებოდა შეუძლებელი, მაგრამ მე არ ვიცი, ეს წახალისებულია თუ არა ან გარედან უბიძგებენ, რომ იქ სუბკულტურის ელემენტები აყვავდეს, თუ როგორ ხდება ეს, არ ვიცი“.*

როგორც ყოფილი პატიმრების, ასევე ექსპერტებისა და ყოფილი თანამშრომლების ნაწილი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია ე.წ. გავლენიან პატიმრებს იყენებს სხვა პატიმრების სამართავად, რესპონდენტების განმარტებით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა იციან, რომელი პატიმარი ვისთან შეასახლონ, ვინ ვისთან მიიყვანონ კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად.

უფრო დეტალურად პენიტენციური დაწესებულების ფუნქციონირების კონკრეტულ სეგმენტზე გავლენიანი პატიმრების ზეგავლენის საკითხთან დაკავშირებით ქვემოთ გვექნება საუბარი, მანამდე კი, ზოგადად შევეხოთ გავლენის შეფასების მაჩვენებელს. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა 1-დან 5-მდე ქულით შეაფასეს გავლენიანი პატიმრების ჩართულობის ხარისხი დაწესებულებების მართვაში, სადაც 1 გულისხმობს ყველაზე დაბალ ჩარევას, 5 კი ყველაზე მაღალს.

პატიმრების უმრავლესობამ ე.წ. „მაყურებლის“, „პალაჟენეცის“ ჩართულობა მართვაში 2-დან 5 ქულამდე შეაფასა. აქვე აღინიშნა, რომ გლდანის N8 და რუსთავის მე-16 დაწესებულებაში ამ ტიპის ჩართულობა ფაქტობრივად ნულოვანია. რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს (უმეტესად ნახევრად ღია ტიპის), რესპონდენტთა უმრავლესობა ავტორიტეტული პატიმრების დაწესებულების მართვაში მონაწილეობის ხარისხს 4-5 ქულით აფასებს, თითქმის იმდენივე კი - 2,5-3 ქულით.

რაც შეეხება თანამშრომლებს, მათი უმრავლესობა პატიმართა მართვაში ჩართულობას 4 ქულით აფასებს, შემდეგი ჯგუფი 3 ქულით, გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი თანამშრომელი მიიჩნევს რომ ჩართულობა 2 ქულით უნდა შეფასდეს.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მოსაზრებით, ისევე, როგორც პატიმრების განმარტებით, მე-16 დაწესებულებაში სუბკულტურის წევრთა მმართველობაში ჩარევა ნულოვანია, ასევე საკმაოდ მცირეა მათი ზეგავლენა გლდანის დაწესებულებაშიც. რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს, საშუალოდ, ავტორიტეტული პატიმრების მმართველობაში ჩართვას ექსპერტთა უმრავლესობა (5 ექსპერტი) 3 ქულით აფასებს, ერთით ნაკლებია იმ ექსპერტთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულობის ხარისხს მაქსიმალურ 5 ქულას ანიჭებენ, ხოლო სამი მათგანი მიიჩნევს, რომ პატიმართა მართვაში ჩართვა 4 ქულით უნდა შეფასდეს.

როგორც მინიჭებული ქულებიდანაც ჩანს, რესპონდენტები, ფაქტობრივად, ერთხმად თანხმდებიან, რომ ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულებებში განსხვავებული სიტუაციაა. თუ დახურულ სისტემაში შედარებით რთულია სხვა პატიმრებთან კომუნიკაცია, მათზე ზეგავლენა ღია ტიპის დაწესებულებაში ეს შედარებით მარტივად ხორციელდება. მართალია, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დახურულ სისტემაშიც გვხვდებიან განსხვავებული პატიმრები, რომლებსაც მეტი პრივილეგია აქვთ და საჭიროების შემთხვევაშიც ინფორმაციის გავრცელება მთელ დაწესებულებაში ე.წ. „პრაგონის“ საშუალებით საკმაოდ მალე (დაახლოებით ნახევარ საათში) შეიძლება მოხდეს, თუმცა დახურული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული თავისებურებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციისთვის მართვა შედარებით მარტივია და სხვა პატიმრების ჩართულობა ნაკლებად მოითხოვება. ნახევრად ღია დაწესებულებებში კი, ბევრი პატიმრისა და თანამშრომელთა შეზღუდული რაოდენობის პირობებში, პატიმართა ჩართულობა და გავლენები ბევრად დიდია. კვლევიდან ცხადი ხდება, რომ თავად დახურული ტიპის დაწესებულებებს შორისაც არსებობს განსხვავება და თუ გლდანში სუბკულტურის

წარმომადგენელთა მართვაში ჩართულობა მინიმალურია, ქუთაისის პენიტენციურ დაწესებულებაში ეს გავლენები საკმაოდ მძლავრია.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„გლდანში ეს ნამდვილად არ არის. სადაც არის, უბრალოდ არ უნდა იყოს. გლდანში ვინც მოდის, ე.წ. „მომავალი“, ყველა მირბის ზონისკენ, იცის, რომ იქ სრული თავისუფლებაა“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ზონაში დალაგებულია ყველაფერი. რასაც ვიტყვით, ისე კეთდება, რამდენიმე ადამიანი დავსხდებით და გადავწყვეტთ, გვაწყობს - გვაწყობს, არ გვაწყობს - არ გვაწყობს“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„დახურულ დაწესებულებაში ნაწილობრივ ახდენენ გავლენას. მე ვფიქრობ, რომ დამოკიდებულია ადმინისტრაციაზე, რის უფლებასაც მისცემს ადმინისტრაცია, ისეთი გავლენა იქნება“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„განსხვავებული იყო, ის ღია ზონა იყო და უფრო მეტად იგრძნობოდა მათი მართვა და გლდანი არის დახურული, ჩაკეტილი და ესე შეხება, ცხადია, ვერ ხდება ჩაკეტილ კამერებში და ამიტომ ეს ნაკლებად იგრძნობა“.*
>
> *ექსპერტი: „ღია დაწესებულება მეტ თავისუფლებას აძლევს, გადაადგილება უფრო თავისუფლად ხდება და მოქმედების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე დახურული ტიპის დაწესებულებაში. თუმცა, აი, ამ მკაცრი ზომებისა მიუხედავად, რაც დახურულებს ახასიათებს, ისინი მაინც პოულობენ იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი ცხოვრება შექმნან იქ“.*
>
> ***ექსპერტი:*** *„დახურული ტიპის დაწესებულებაში ცოტა სხვა წესები მოქმედებს და სხვანაირი რეალობაა და ღია ტიპის დაწესებულებაში უფრო სხვანაირი რეალობაა. გასაქანიც მეტია და რაღაცეები გამარტივებულია უფრო თვითონ პატიმრებისთვის“.*

• პატიმრებს შორის ურთიერთობა

პატიმრებს შორის ურთიერთობის საკითხს გარკვეულწილად შევეხეთ გავლენის ჯგუფებზე საუბრის ნაწილში, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ცოტა უფრო დეტალურად ამ ურთიერთობის გაანალიზება.

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში პატიმართა ყველაზე მაღალ ფენას წარმოადგენენ ე.წ. „კაი ბიჭები“, რომელთაგან ირჩევა ე.წ. „მაყურებელი“ და „პალაჟენეცი“, აქედან ნაწილი ამბობს, რომ აპირებს კრიმინალური ცხოვრების გაგრძელებას და პრეტენზიას აცხადებს კრიმინალური სუბკულტურის უმაღლესი საფეხურის, ე.წ. „კანონიერი ქურდობის“ მოპოვებაზე მომავალში, რის გამოც, მათ „მომავალს“ უწოდებენ. როგორც რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, ამ ჯგუფის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ე.წ. „პატიოსნებს“ პასუხი მოსთხოვონ „ქურდული“ ტრადიციების შესაბამისად, პირიქით, „პატიოსნები“ მათგან პატივისცემასაც იმსახურებენ, ისინი უმიზეზოდ არც გავლენის ჯგუფებს შორის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ პირებს შეურაცხყოფენ, უბრალოდ მყარად იცავენ მათთან ფიზიკური შეხების აკრძალვის წესს, ასევე უარს აცხადებენ მათ გვერდზე ჯდომასა და საერთო ქვაბიდან კვებაზე. საბოლოო ჯამში, ეს სიტუაცია აისახება დაბალი ფენების უფლებრივ მდგომარეობაზე და მათ მნიშვნელოვნად უზღუდავს, როგორც სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობას, ასევე იწვევს მათ გარიყვას, სტიგმატიზაციას და ასოცირებას მხოლოდ ე.წ. „არაპრესტიჟული“, „შავი“ სამუშაოს შესრულებასთან. რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (გარდა ექსპერტებისა), ფაქტობრივად, სწორედ ეს წარმოადგენს ამ ჯგუფის ვალდებულებას დაწესებულებაში. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მშრომელ პატიმარს არ აქვს უფლება შეეპასუხოს ე.წ. „კაი ბიჭს“, მაშინ, როდესაც „პატიოსანს“ შეუძლია სიტყვა შეუბრუნოს და „მაყურებელთანაც“ კი მოითხოვოს საქმის გარკვევა.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ქათმები“ ღამე გამოვლენ, ძირს მზესუმზირა რომ ყრია და იატაკია მოსაწმენდი, მოწმინდავენ“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„მშრომელი ხალხი, ასე რომ ვთქვათ, ენას ვერ წაუტლიკინებს „კაი ბიჭებს“, რომ ზედმეტად რაღაც უთხრას, „პატიოსანს“ ვერავინ ვერ შეეხება, პატიოსნება ფასდება“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„არიან უბრალოდ „კაი ბიჭები“ და „კაი ბიჭები“, რომლებიც იძახიან, რომ „მომავლები“ ვართო. ანუ, მომავალში „კანონიერი ქურდები“ გავხდებით თავის დროზეო. წნეხს განიცდიან ისეთი ადამიანები, როგორიც მე ვიყავი იქ, ანუ ადამიანები, რომლებსაც კრიმინალთან კავშირი არ ჰქონდათ, ხშირად მქონდა კამათები, პრობლემები, ჩხუბი სხვა მსჯავრდებულებთან, იმიტომ რომ, განსხვავებული მიდგომა გვქონდა ამ სამყაროსადმი“.*

ყოფილი პატიმარი: *„ერთადერთი სამუშაო, რომლითაც შეუძლიათ რომ დაკავდნენ (ე.წ. „ქათმები“) არის ეზოს მოხვეტა, აბანოს დალაგება, ნაგვის გატანა და მსგავსი. სხვა, ვთქვათ, ნაკლებად ჭუჭყიანი სამუშაოს შესრულების უფლება არ აქვთ“.*

ყოფილი პატიმარი: *„ქათმები“ ყველაზე დაბალი ფენა არის და ფსიქოლოგიურ წნეხში არიან ყოველდღიურად, იმიტომ, რომ ამ ადამიანებს არა აქვთ უფლება, რომ იმუშაონ სასადილოში, სასწავლო კორპუსში მიიღონ განათლება. სხვა მსჯავრდებულები იძახიან, რომ ეს ადამიანი რომ დაჯდება იმ მაგიდასთან, მე ვერ დავჯდებიო“.*

რესპონდენტი პატიმრების ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ უსარგებლიათ ე.წ. „მაყურებლის“ დახმარებით სხვადასხვა ყოფითი საკითხის მოგვარებისას. ისინი ასევე მიუთითებენ, რომ ეს სტატუსი ავალდებულებს ამ ჯგუფს, იზრუნონ სხვა პატიმრებზე და იბრძოლონ სხვადასხვა ყოფითი საკითხის მოსაგვარებლად. ისინი ასევე ახსენებენ გაჭირვებულ პატიმრებს, ე.წ. „ბედალაგებს“, რომელთა დახმარებაც ხდება პატიმრების მიერ შეგროვილი ნივთებით.

ე.წ. „საერთოს“ შეგროვების ნაწილს დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

ყოფილი პატიმარი: *„დაეხმარება, აბა, ეხლა „მაყურებელი“ როა და „კაი ბიჭი“ როა, დაეხმარებიან, აბა, რა იქნება. ტყუილად არ იქნება „მაყურებელი“ და „კაი ბიჭი“, ალბათ რაღაცას ეკითხებიან, რაღაცას აკეთებენ ალბათ, არ ვიცი“.*

ყოფილი პატიმარი: *„ესენი ადმინისტრაციას კი არ ეხმარებიან, ჩვენთვისაც კარგი იყო, რაღაც რომ გვჭირდება, ეგენი აკეთებენ ყველაფერს. მოვიდა შენი პატრონი და რაღაც უნდა მოგაწოდოს, რომელიც არ არის დაშვებული, მანამდე უკვე მოგვარებულია ეს ყველაფერი. რა თქმა უნდა, დაუშვებენ, აბა რას იზამენ, რაში აწყობთ პატიმარი აჯანყდეს ორი კილო ხორცის გულისთვის“.*

ყოფილი პატიმარი: *„ყველა ადამიანები ვართ, ვერაფერს ისეთს ვერ გადაგიწყვეტს, მარა სიტუაციას ალაგებს, თუ რაღაცაა საჭირო, დასახმარებელი პატიმრებიც არიან, გაჭირვებულები და გვერდით უდგანან ყველანი“.*

ექსპერტი: *„ცდილობენ, რომ სამართლიანობის ნიღბის ქვეშ ამოაფარონ ზოგადად მთელი ეს მათი წესები და თითქოს ზრუნავენ პატიმრებზე, ვიღაც გაჭირვებულებზე, თითქოს რაღაცაში ეხმარებიან“.*

ექსპერტი: *„ფეოდალები არიან, ასე რომ ვთქვათ. პარალელურად, ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, თავის საქმეს აკეთებს და კრიმინალურ სუბკულტურას აქვს პრეტენზია თითქოს მათ უკეთესად იციან პატიმრის პრობლემები და პატრონობენ სხვა პატიმრებს და სხვა პატიმარიც ამისთვის მადლობელი უნდა იყოს“.*

ყოფილ პატიმართა ნაწილი კი აცხადებს, რომ არასოდეს უსარგებლია არც ე.წ. შეგროვილი საერთო ნივთებით და არც გავლენიან პატიმართა დახმარებით და ცდილობდა ყველა საკითხი თავად გაერკვია ადმინისტრაციის დახმარებით. თუმცა, ეს პატიმრები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ე.წ. „პატიოსნები“ მაინც უნდა დამორჩილებოდნენ საერთო მოწოდებებსა და დაუწერელ წესებს, რომლებსაც ავტორიტეტული პატიმრები ადგენდნენ, ისინი ასრულებდნენ ე.წ. „მასის“ როლს, რომლის გამოყენებაც აუცილებელი ხდებოდა ე.წ. „პალაჟენიის“ დასამყარებლად. იმ შემთხვევაში კი, თუ რომელიმე პატიმარი ამაში მონაწილეობაზე უარს იტყოდა, ხდებოდა გარიყვის, მარგინალიზებისა და ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტიც. ამავე მოსაზრებებს იზიარებენ გამოკითხული თანამშრომლები და ექსპერტებიც.

ყოფილი პატიმარი: *„საკუთარი ძმაც რომ გყოლოდა გვერდით, ჯერ „ქურდული“ და მერე ძმა იყო. რომ იტყვის „მაყურებელი“, უნდა იყოს ის გასაგები შენთვის, თუ გააკეთებ დიდი არც არაფერი, თუ არ გააკეთებ გავიწროვებენ მიდგომებით, ტექნიკურად“.*

ყოფილი პატიმარი: *„დავალება როგორ მოხდება იცი? როგორც ჩვენ მოვიქცევით, ისე უნდა მოიქცე და არ უნდა გაიქცე და სისხლიც უნდა შეაღვარო რა. თუ უარს იტყვი, ღმერთმა უწყის, ვის რა უდევს გულში, გარიყული იქნები“.*

ყოფილი პატიმარი: *„მე ეს თანამშრომლისთვისაც კი მითქვამს, ესე რატო ხდება, შენ ხარ თანამშრომელი, ფორმა შენ გაცვია და ეს პატიმარი რატომ იქცევა უფორმო თანამშრომელივით მეთქი“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„რომ ვიკითხე, თუ რაშია საჭირო ეს ხალხი, ჩემზე მეტად რომ საქმეს „მაყურებელი“ აკეთებს, თუ რაში სჭირდება ეს ვინმეს, მიპასუხეს, რომ საერთო სიმშვიდის და დაწესებულებაში მშვიდი გარემოს შესაქმნელადო“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„პატიმარს უნდა სასჯელი მოიხადოს მშვიდად და წყნარად, მაგრამ რეალობა არის, რომ ესენი (ე.წ. „მაყურებლები“) არსებობენ დაწესებულებაში, ესენი („პატიოსნები“) ჩუმად არიან, წყნარად არიან, მაგრამ თუ იმ ჯგუფს რაღაც გაუჭირდა და*

დაიძახა, წავედით ეხლა კარების დასალეწადო, მასა კი არის ჩუმად, კი არის წყნარად, კი იხდის თავისთვის სასჯელს, მაგრამ რამე რომ იყოს, ესენი ყველა ადგებიან და აჯანყდებიან“.

ექსპერტი: *„არიან ე.წ. „შემსრულებლები“ - ადამიანები რომლებსაც დაავალებ და რაღაცას გააკეთებ და როგორც წესი, როდესაც გუნდი არის და რაღაცა ხდება, ეს „ელიტა“ მასში არ მონაწილეობს, რა თქმა უნდა, ავალებს მაგრამ, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც კედელს თავით დაეჯახებიან, თუ საჭირო იქნება“.*

პატიმრების ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტით, რომ მათ უწევდათ სხვა პატიმრებისადმი დამორჩილება, შევიწროვებისა და იძულების ატანა. პატიმრები ასევე საუბრობდნენ, რომ, რიგ შემთხვევებში, „მაყურებლებს“ შორისაც იყო ფარული კონკურენცია და ხდებოდა ერთმანეთის „გაფუჭება“. ერთ-ერთი პატიმარი იხსენებს, რომ კრიმინალური სუბკულტურის ზედა იერარქიის წარმომადგენელი კრებას ატარებდა დაწესებულებაში, ახმოვანებდა ადმინისტრაციის მოსაზრებებს და ამაში თანამშრომლები ხელსაც კი უწყობდნენ.

ყოფილი პატიმარი: *„ხდებოდა ხოლმე დიდი სხდომა, მთელი ზონა უნდა გადასულიყო სავარჯიშო ზონაში და „მაყურებელი“ უნდა გამოსულიყო სიტყვით, ჩვეულებრივად, მოდიოდნენ თანამშრომლები და აკვირდებოდნენ ყველა პატიმარი გადადის თუ არა, უცებ ყველაფერი ინაცვლებს ერთგან და „მაყურებელი“ გელაპარაკება ამ ყველაფერზე და „ვსიო“. შეეცადეთ, რამე არ დააშავოთ, მოდი, არ გავაფუჭოთ ესა და ესო. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ენის მიმტანები და მომლაპარაკებლები ეგენი არიან“.*

• სუბკულტურული წესების მდგრადობა

რაც შეეხება კრიმინალური სუბკულტურის წესების, ე.წ. „ქურდული კანონების“ მდგრადობას, კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, ცხადი ხდება, რომ წლების მანძილზე, სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და პენიტენციური დაწესებულებების მართვის მეთოდების შესაბამისად, არაფორმალური წესები განიცდიდა ევოლუციას. არსებობს წესების ნაწილი, რომელიც წლების მანძილზე იგივე რჩება და არ იცვლება, თუმცა გარკვეული არაფორმალური „რეგულაციები“ მოერგო თანამედროვეობას, არსებულ საჭიროებებს და უფრო ლიბერალური გახდა. ფაქტობრივად, დაშვებულად იქნა მიჩნეული მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც წლების განმავლობაში იკრძალებოდა, კერძოდ, საჩივრის დაწერა, ე.წ. „კანონიერი ქურდების“ „სხოდკის“ გარეშე კურთხევა, ადმინისტრაციასთან მეტი სიახლოვე, ჰომოსექსუალური კავშირი პენიტენციურ დაწესებულებაში, თუ ეს გულისხმობდა მხოლოდ სქესობრივ აქტს და არ მოიაზრებდა ე.წ. „მიმღებ“ პარტნიორობას და სხვ.

ყოფილი პატიმარი: *„ტიპი გაიქცა, აღმოჩნდა რომ სპეცნაზში იყო ნამსახურები, გადაიკეტა და ესენი ფანჯრიდან ეძახდნენ, ამოდი, არაფერი არ იქნებაო. მართლაც არაფერი არ იქნებოდა. მაშინდელი მათი ძალა და დღევანდელი ძალა საკმაოდ განსხვავდება და რეალურად, შედარებაშიც ვერაა. მისუსტებულია და უფრო ლიბერალურიცაა“.*

ყოფილი პატიმარი: *„ადრე თუ, მაგალითად, სუბკულტურული თვალსაზრისით რაღაც არ იყო მიღებული, დღეს მიღებულია. მაგალითად, შეწყალება არ შეეძლო დაეწერა ისეთ ვინმეს, სუბკულტურული თვალსაზრისით, ვისაც სიტყვა მაინც ეთქმოდა და სააკაშვილის დროს, რეჟიმი როცა იყო, წამოვიდა ესეთი ტენდენცია, რომ იქ, სადღაც ჩვენთვის უცნობ ადგილას, ამ „ჩამშვები სისტემიდან“ თავი დაგვეღწია თუ იყო ამის საშუალება“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ჩვენთან იყო დაუწერელი კანონი „ქუჩური“, ეს მსახურება, ფაქტობრივად, დაკარგეს და გადავიდნენ ბიზნესმენობაზე და ფულის შოვნაზე,. წარმოიდგინე, „სხოდკის“ გარეშე მონათვლა „კანონიერ ქურდად“, ეს იყო დაუშვებელი და დღეს მიღებულია ყველაფერი“.*

ექსპერტი: *„პირდაპირ რეაგირებენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რა თქმა უნდა, მათი დაინტერესებიდან გამომდინარე. წესებიც შეიცვალა, ადრე ქურდს ვინ აჩივლებინებდა და ეხლა სავსეა სასამართლო ქურდების საჩივრებით და მიდის საქმეების განხილვა“.*

ექსპერტი: *„არის რაღაც ბირთვი, რომელიც არ იცვლება ათწლეულებია, რამდენიმე წესი, რომელიც არის და არის, თუმცა ძალიან ბევრი რამე შეიცვალა და ძალიან მოქნილები არიან, იმ მხრივ, რომ ცხოვრებას ფეხი აუწყონ“.*

სუბკულტურული წესების მდგრადობაზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებს“ შორის არსებობს გარკვეული ტიპის დაყოფა ე.წ. ძველი ყაიდის, ორთოდოქს „კანონიერ ქურდებად“ და ე.წ. თანამედროვე თაობის, ურბანული ზეგავლენის ქვეშ მყოფ ავტორიტეტებად, რომლებიც უფრო ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევიან. პატიმართა ნაწილი უფრო ძველ წესებს ემხრობა, მიიჩნევს, რომ ისინი უფრო სამართლიანი იყო და მოიაზრებდა სხვებზე ზრუნვას, ახლა კი ე.წ. „მაყურებლობა“ მხოლოდ გავლენების მოპოვებასა და ბიზნესმენობას დაემსგავსა და დაკარგა ძველი დატვირთვა. ერთ-ერთი რესპონდენტი

აღნიშნავს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მართვას ცდილობენ ისეთი ტიპის პატიმრები, რომლებსაც რეალურად ე.წ. „ქურდული“ არ გაეგებათ და მათ ე.წ. „აპელსინებად“ მოიხსენიებს. თუმცა, ეს არ არის ცალკე იერარქიული ჯგუფი და გულისხმობს იმ ავტორიტეტებს, რომლებსაც ძველი „ქურდული წესები“ არ ესმით და მაინც ცდილობენ არაფორმალური მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდებას. კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ე.წ. „ძველი ქურდული ტრადიციები“ დასავლეთ საქართველოში მეტად არის შემორჩენილი, ხოლო აღმოსავლეთში და თბილისში არაფორმალურმა წესებმა ბევრად ლიბერალური შინაარსი შეიძინა.

ყოფილი პატიმარი: *„კარგი იქნებოდა, იმ თეორიას რომ მიყვებოდნენ, რაც იგულისხმება ამაში - თანასწორობა, პატიოსნება, სამართლიანობა, დემოკრატია. გეგონება, რომ ჩაჯდები, მაგრამ, რეალურად დამახინჯებულია ეს ყველაფერი და რაღაც გამომყენებლური ის აქვთ“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ე.წ. „ქურდული“ ტრადიციების მქონე პირები გახდნენ მაფიოზები, ნარკო მოვაჭრეები, სუტინიორები და რა ვიცი. ახალი სასტავია, ესენი არიან ე.წ. „აპელსინები“. ანუ, „აპელსინებს“ ეძახიან კომუნისტებიდან მოყოლებული, შემთხვევით მოხვედრილი ამ „ბლატნოი“ სისტემაში. მათ არც ქუჩის წესი იციან, არც ციხის წესი იციან“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ყველაზე დიდი გავლენები ამ არაფორმალურ ჯგუფებს აქვთ დასავლეთში. ვინაიდან დასავლეთში ცდილობენ, ელემენტარული კუთხით, რაღაც მაინც დაიცვან ძველი ტრადიციული დაუწერელი კანონებიდან. აღმოსავლეთში ამაზე არ ფიქრობენ“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„კაი ბიჭებში“ არიან „პეჩნიკები“, რომლებიც არიან სექსით დაკავებული ჰომოსექსუალებთან, თუმცა თუ მარტო აქტია, ითვლება, რომ გარემოს გამო იქცევა ასე. კასტები არის „ქურდული“ და „თბილისელები“ (გლდანში), ქუთაისში და ხონში, საიდანაც მოდის ეს „ქურდული“, ამბობდნენ არ მოსულაო, მაგრამ არც მოგეთხოვება, მთავარია „ლავერი“ და ცოლი არ გყავდეს და თანაცხოვრება არ გქონდეს და ვიღაცამ რომ მოგიყვანოს ტრანსგენდერი, ამისთვის არავინ არ გაგაფუჭებს. ძველი „ქურდულით“ არ მოსულა, მაგრამ ცოტა თანამედროვე და ურბანული გაგებით არ მოგთხოვენ, ცალკე ნიშა აქვთ ასეთ ტიპებს“.*

• არაფორმალური ჯგუფების ჩართულობა უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფაში

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ე.წ. „მაყურებლების“ ერთ-ერთ მთავარ არაფორმალურ ფუნქციას დაწესებულებაში წარმოადგენს უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა. პატიმარი რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სწორედ ე.წ. „მაყურებელი“ არის ადამიანი, ვინც პენიტენციურ დაწესებულებაში ზრუნავს წესრიგზე, იმაზე, რომ ერთმა პატიმარმა მეორე უსაფუძვლოდ არ დაჩაგროს, არ იყოს ფიზიკური შეხლა-შემოხლა პატიმრებს შორის, ასევე ეხმარება ადმინისტრაციას სიმშვიდის შენარჩუნებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული დაძაბულობა და რიგ შემთხვევებში, პროტესტის ისეთი ფორმები, როგორიცაა თვითდაზიანება, შიმშილობა, ხმაური (ე.წ. „შუმოკი“) და ბუნტი. ექსპერტები და თანამშრომლებიც მიუთითებენ, რომ ამ კატეგორიის პატიმრებს აქვთ პრეტენზია უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნებაში მონაწილეობის თაობაზე, თუმცა, რიგი რესპონდენტები აზუსტებენ, რომ აქ საუბარია ე.წ. „მაყურებლების“ ხედვაზე წესრიგის შესახებ, რაც ყოველთვის ზუსტად არ შეესაბამება იმ ლეგიტიმურ რეჟიმს, რაც კანონმდებლობით არის განსაზღვრული კონკრეტული ტიპის დაწესებულებისთვის. თუმცა, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან ცხადი ხდება, რომ ადმინისტრაციასა და ავტორიტეტულ პატიმრებს შორის გარკვეული არაფორმალური შეთანხმება ამ ტიპის თანამშრომლობასთან დაკავშირებით არსებობს.

ყოფილი პატიმარი: *„კონტროლი იმის, რომ ვიღაცამ არ იჩხუბოს, ვიღაცამ სასმელი არ გააფუჭოს, რომ ბუნტი არ იყოს, ადმინისტრაცია არ გადმოვიდეს. ანუ წესრიგს ამყარებენ. რომ იძახის, მე „კაი ბიჭი“ ვარო, ის „კაი ბიჭი“ ისე უნდა მოიქცეს და ისე გააკეთოს იმ ზონაში, რომ საერთო სიტუაციას პრობლემა არ შეუქმნას“.*

ყოფილი პატიმარი: *„იმისთვის არის შექმნილი ეგ, რომ არ მოხდეს ქაოსი და არ იყოს დაჩაგვრები და რაღაცეები. დალაგებული სიტუაციაა, შიგნით მაგით ლაგდება ყველაფერი, ეგენი რომ არ იყვნენ, არაფერი არ დალაგდება“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„უფლება-მოვალეობები აქვთ, რომ დააწყნარონ პატიმრები. დაწყნარების მოვალეობა აქვთ, რომ ამბოხებულები, ბუნტისთავები გააჩუმონ“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„როდესაც გავსაუბრებივარ ესეთი კატეგორიის ე.წ. „მაყურებელს“, მას აუხსნია, რომ აი, ვთქვათ, მე მევალება, რომ სიმშვიდე იყოს დაწესებულებაში,*

პირდაპირ მავალებს ადმინისტრაცია, რომ მოვაგვარო კონფლიქტები პატიმართა შორის, შიმშილობები, პროტესტები, აგრესიული ქცევა. ანუ, სიმშვიდის გარანტი ვარო“.

ყოფილი თანამშრომელი: *„სიმშვიდის შენარჩუნებაში არიან ჩართულნი, იმ 1500 და 2000-იან დაწესებულებაში ნებისმიერ დროს შეიძლება პრობლემა არსებობდეს, ისეთმა რაღაცამ წამოყოს თავი, რომ ადმინისტრაცია ვერ გაუმკლავდეს“.*

ექსპერტი: *„რეჟიმის დამყარება, სიწყნარე, და ერთის მხრივ უსაფრთხოებაც, თუმცა ისეთი გაგება აქვთ „უსაფრთხოების“, რომ ბრჭყალებში თუ ჩავსვამთ. თუ რაღაცა ისე არ წავა, როგორც საჭიროა, ბუნტი რომ არ იყოს, ინარჩუნებენ წესრიგს“.*

• არაფორმალური ჯგუფების ჩართულობა პატიმართა მიღება-განთავსების ეტაპზე

არაფორმალური ჯგუფების გავლენა გამოიკვეთა ასევე პატიმართა მიღება-განთავსების პროცესზე. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ეს პროცესი ადმინისტრაციისა და ე.წ. „მაყურებლების“ შეთანხმებით წყდება. კერძოდ, ეტაპის მოსვლამდე მაყურებლებმა თითქმის ყველა შემთხვევაში უკვე იციან ვინ მოდის დაწესებულებაში, თუ ვინმე მათი ახლობელი ან მეგობარია, მისთვის უკვე ხდება მათთან ადგილის მოძიება. თუ კონკრეტული პატიმრის შესახებ წინასწარ ინფორმაცია არ აქვთ, კარანტინში მისი მოთავსების შემდეგ ხდება ინფორმაციის გაცვლა ადმინისტრაციასა და კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის და წყდება სად უნდა განთავსდეს ახლადმოსული პატიმარი. ინფორმაციას ე.წ. „მაყურებლები“ იღებენ იმ დაწესებულებიდანაც, საიდანაც ხდება პატიმრის ეტაპირება. რესპონდენტთა ნაწილი ამ პროცედურას უსაფრთხოების მიზნებითაც ხსნის, კერძოდ, თუ პატიმარი ე.წ. „ქათმის“ სტატუსის მქონეა, ის ცალკე თავსდება, ასევე ხდება ე.წ. „კაზიოლების“ შემთხვევაში, ხშირად თავად პატიმრებმაც იციან, რომ გარკვეული ქმედება, რაც მათ აქვთ ჩადენილი, სუბკულტურული წესებით მიღებული არ არის და შურისძიების შიშით თავადვე ითხოვენ ცალკე მოთავსებას, მათ „ატაშელცებადაც“ მოიხსენიებენ.

ყოფილი თანამშრომელი: *„გვქონია შემთხვევები, რომ პატიმარი მოსულა ციხეში, კონფლიქტი ქონია იმ კორპუსში ერთ-ერთ მაცხოვრებელთან, სადაც უნდა შევასახლოთ, მოსულა იმ კორპუსის მაღალი იერარქიის წარმომადგენელი და უთქვამს, რომ იმას კონფლიქტი აქვს და კონკრეტულად დაუსახელებია სახელი, გვარი და შეეცადეთ , რომ იმ საკანში არ მოხვდესო“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„თვითონ ჰქონდათ ინფორმაცია, მოდის ეს, თავიანთი უბნელი იყო, თავიანთი ნათესავი იყო და თუ ჰქონდათ ადგილი თავიანთთან დააწვენდნენ, თუ არა - მიუჩენდნენ ადგილს. კარანტინიდან რომ გადმოდიოდა პატიმარი ზონაში, იქ უკვე თვითონ წყვეტდნენ სად უნდა დაწოლილიყო, ჩვენ არ ვერეოდით“.*

ექსპერტი: *„როგორც კი შედის პატიმარი, ასე ვთქვათ, „სხადნიაკზე“ ხდება იმისი შეფასება, ვინ არის, რა ტიპია, საიდან მოდის, რა გავლენები აქვს გარეთ და სად შეუძლიათ მათ იქ მიუჩინონ ადგილი“.*

თუ აღნიშნული საკითხების გავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ახლად შემოსული პატიმრის სხვა პატიმრებთან განთავსება და მისი განცალკევება საჭირო არ არის, ის ან პირდაპირ თავსდება იმ საკანში, სადაც მისი რეგიონის წარმომადგენლები, მეგობრები, უბნელები ან ოჯახის წევრები არიან, ან თუ იქ ადგილი არ არის, დროებით თავსდება თავისუფალ ადგილას და შემდეგ ადგილის გამოჩენისთანავე ინაცვლებს სასურველ საკანში. ბოლო წლებში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, როდესაც განთავსება, ძირითადად, ხდება რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით. როგორც მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, საკნიდან საკანში გადასვლა დაწესებულებაში რთული არ არის და ამას არც ადმინისტრაცია ეწინააღმდეგება, თუმცა რესპონდენტების დიდი ნაწილის განმარტებით ე.წ. „მაყურებლები“ ამ საკითხის მოგვარებაშიც აქტიურად არიან ჩართულნი (ან თავად აგვარებენ, ან მედიატორებს წარმოადგენენ პატიმარსა და ადმინისტრაციას შორის).

კვლევის რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ არ აქვს ინფორმაცია განთავსებაში სუბკულტურის მაღალი იერარქიის მქონე პატიმართა ჩართულობის შესახებ, ერთმა მათგანმა კი გამოთქვა მოსაზრება, რომ ამაში ე.წ. „მაყურებლები“ ვერ ერევიან. საბოლოო ჯამში, როგორც კვლევამ აჩვენა, ეს საკითხიც ადმინისტრაციისა და გავლენიანი პატიმრების ურთიერთთანამშრომლობით წყდება.

ყოფილი პატიმარი: *„როდესაც უკვე განთავსებული ხარ ამა თუ იმ საკანში, გადაადგილება საკნიდან საკანში ხდება შეთანხმებულად, მაყურებლებსა და ადმინისტრაციას შორის“.*

ყოფილი პატიმარი: *„გლდანელები იყვნენ ერთ-ერთ კამერაში, 6 კაციანი კამერა იყო და 5 კაცი იყო და მე რადგან გლდანელი ვიყავი, მითხრეს რომ ჩვენთან გადმოდიო“.*

ყოფილი პატიმარი: *„ზონაში რომ შემოდიოდა პატიმარი, კორპუსში თვითონ უნდა გაარკვიოს სად წავიდეს, სად იცხოვროს. იქედან გამომდინარე, თუ სადაურია. მე გორელი ვიყავი და გორელები შემხვდნენ, წამიყვანეს, თავისთან დამაბინავეს“.*

ყოფილი პატიმარი: *„ესე ვთქვათ ნაცნობური, კუთხური, „ზემლიაკური“ კუთხით ლაგდება. გადმომძახეს საბურთალოელი თუ არის ვინმეო, ნაცნობი აღმოჩნდა, თავიდან არ იყო იქ ადგილი, გვერდით ავედი გურულებთან, წარმოშობით გურული ვარ და მერე გადავედი საბურთალოელების საკანში, ადგილი რომ გათავისუფლდა“.*

ყოფილი თანამშრომელი*: „ამას ყველა ვარიანტში ეუბნებიან იმ დაწესებულების ე.წ. არაფორმალურ მმართველებს და მერე ისინი განაგებენ, თუ სად უნდა იცხოვრონ. ეს უკვე შეთანხმებით ხდება დაწესებულების ადმინისტრაციასთან“.*

• **არაფორმალური** ჯგუფების **გავლენა გასაჩივრების პროცედურაზე**

რაც შეეხება საჩივრების გაგზავნას დაწესებულებებიდან, სუბკულტურის არაფორმალური წესებით, საჩივრის დაწერა არ ითვლება კარგ ტონად. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, დროის სხვადასხვა მონაკვეთში ამ წესმა განიცადა ტრანსფორმაცია და გარკვეულ პერიოდში არსებობდა გამონაკლისიც. საჩივრები ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შინაარსის მიხედვითაც. რესპონდენტების განმარტებით, იმ საჩივრების მიმართ, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის საქმეს, შედარებით ლოიალური დამოკიდებულებაა ე.წ. „მაყურებლების“ მხრიდან, ხოლო საჩივრები, რომლებიც შეეხება პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ სიტუაციას, უფრო მკაცრად კონტროლდება და აღიქმება როგორც საერთო სიტუაციის, ე.წ. „პალაჟენიის“ გაფუჭება. ამ დროს მაღალი იერარქიის პატიმრები ან პირდაპირ უკრძალავენ სხვა პატიმრებს საჩივრის დაწერას, ან სთავაზობენ ამ საკითხის მათი ჩარევით, გასაჩივრების გარეშე მოგვარებას. ამ ტიპის ზემოქმედებაზე უმეტესად პატიმარმა რესპონდენტებმა ისაუბრეს. რაც შეეხებათ გამოკითხულ თანამშრომლებს, მათმა ნაწილმა უარყო, რომ ე.წ. „მაყურებლები“ რაიმე ფორმით ერევიან გასაჩივრების პროცედურაში, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ თავად ამ კატეგორიისთვის როგორც საჩივრის, ასევე შეწყალების თხოვნის დაწერა მიუღებელია და თუ კონკრეტული გარემოების გასაჩივრების განსაკუთრებული საჭიროება არსებობს, გავლენიანი ჯგუფები საჩივრებს სხვა ადამიანებს აწერინებენ.

ყოფილი პატიმარი: *„თუ წერ საჩივარს და რაღაც პრობლემა გაქვს ადმინისტრაციასთან, თანამშრომელი კი არ მოდის და გეუბნება, „მაყურებელი“ მოდის და ის გკიცხავს, გაშინებს. იყო შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულმა დაწერა საჩივარი დეპარტამენტში, იმავე საღამოს შემოვიდა „მაყურებელი“, დაახევინა საჩივარი და უთხრა, მეორედ ესეთი რაღაც არ დაწერო, იმიტომ, რომ სიტუაციას აფუჭებო“.*

ყოფილი პატიმარი: *„მოდი, რა, რად გინდა ეს, საჩივარს ნუ გააგზავნი, მოდი, სხვანაირად მოვგვარდეთ“ და ა.შ. მე რასაც მოვსწრებივარ, თორე, როგორც ესეთი, რომ სუბკულტურის წარმომადგენელს ეთქვა ჩემთვის, რა და როგორ დამეწერა, ჩემს შემთხვევაში არ ყოფილა“.*

ყოფილი პატიმარი: *„როგორც ვიცი, არ აგზავნინებენ, თუ არ აწყობს ადმინისტრაციას. ესეც არ არის მთლად კარგი ტონი“.*

თანამშრომელთა მეორე ნაწილმა გაიხსენა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, როდესაც ამ პროცედურებში ავტორიტეტული პატიმრების ჩარევა მომხდარა, კიდევ ერთმა ნაწილმა კი დაადასტურა ე.წ. „მაყურებლების“ ჩარევა გასაჩივრების პროცედურაზე და აღნიშნა, რომ მათ ერთ-ერთ არაფორმალურ მოვალეობას სწორედ ეს წარმოადგენს. გასაჩივრების პროცესში მათ ზეგავლენაზე ისაუბრეს კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ექსპერტებმაც.

ყოფილი თანამშრომელი: *„საჩივრებში ჩარევაც არ მახსენდება, ნამდვილად არ მახსენდება“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ძალიან ბევრი საჩივარი იწერებოდა, როგორც მედ-პერსონალის მიმართ, მთავარი ექიმის მიმართ, ასევე დაწესებულების დირექტორის თუ მოადგილეების მიმართაც. აი, ამის „ჩასაფარცხად“ გამოიყენებოდნენ ეს ადამიანები. რომ მოეგვარებინათ ესენი და არ გაეგზავნათ საჩივარი“.*

ექსპერტი: *„ვერ გაიგზავნებოდა საჩივარი, თუ არ იყო შეთანხმებული ან გავლილი „მაყურებელთან“.*

ექსპერტი: *„საჩივრებს არ წერენ, არ იგზავნება. ისინი შიგნით აგვარებენ ამას და ურჩევნიათ ასე იმოქმედონ, ვიდრე საჩივარი დაწერონ ამაზე. თუმცა, ეს არ ეხება თავიანთ საქმეს, რომლისთვისაც უშუალოდ ციხეში ხვდებიან, სისხლის სამართლის საქმეს არ ეხება. საჩივარი არ უნდა ეხებოდეს ციხეში მათ მდგომარეობას, ადმინისტრაციის მიმართ არ უნდა იყოს საჩივარი, შიდა წესებს არ უნდა ეხებოდეს“.*

სუბკულტურის გავლენებზე საჩივრის წარდგენის პროცესში საუბარია როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში, ასევე სხვა კვლევებში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა, საუბარია, რომ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, 188 (10%) პატიმარმა აღნიშნა, რომ საჩივრის შეტანის სურვილი ჰქონდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ გაუკეთებია. ყველაზე ხშირად (41%–მდე) საჩივრის შეტანისგან თავის შეკავების მიზეზი ზეწოლაა, რომელიც ძირითადად პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისგან მოდის. თუმცა, ზეწოლას ადგილი ასევე ჰქონია პატიმრებზეც, პროკურორის, გამომძიებლის თუ სხვათა მხრიდან. რესპონდენტებმა მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელეს აგრეთვე, თვითცენზურა, ანუ განცდა იმისა, რომ საჩივრის დაწერა გაართულებდა მათ მდგომარეობას პენიტენციურ დაწესებულებაში (შემთხვევათა 17%).[69] ამასვე მოწმობს საქართველოს სახალხო დამცველის 2018 და 2019 წლების ანგარიშები.

• არაფორმალური ჯგუფის წევრების როლი პატიმრებს შორის კონფლიქტების მოგვარებაში

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ განსაკუთრებული როლი ე.წ. „მაყურებლებს“ პატიმრებს შორის კონფლიქტების მოგვარების საკითხში აქვთ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ყოველდღიური კონფლიქტები ხშირად ადმინისტრაციისთვის შეუმჩნეველი რჩება, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია თანამშრომლები შეესწრონ ყველა კონფლიქტს. ასეთ შემთხვევებში, თუ პატიმრები ერთმანეთთან ვერ აგვარებენ წარმოქმნილ უთანხმოებას, საკითხის გადასაწყვეტად მიმართავენ ე.წ. „მაყურებელებს“. რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი პატიმრები კონფლიქტებს, ძირითადად, მშვიდობიანად და მორიგებით ამთავრებენ, არკვევენ მტყუანს და მართალს და მოუწოდებენ სხვა პატიმრებს მოერიდონ კონფლიქტებს და საერთო სიტუაციის არევას. იმ შემთხვევებში, თუ კონფლიქტი სერიოზულია და მნიშვნელოვან ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა, საკითხი უკვე მიდის ადმინისტრაციის ყურამდე და იწყება დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები. თუმცა კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა განსხვავებული შემთხვევებიც, როდესაც ადმინისტრაცია მიზანმიმართულად არ ჩაერია პატიმრების კონფლიქტში და არ აღკვეთა მათ შორის ძალადობა, რაზეც პატიმრებს შორის ძალადობის ნაწილში დეტალურად ვისაუბრებთ.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ჩხუბი თუ მოგივა და ვერ შერიგდები პატიმართან, ადმინისტრაცია მაგაში ვერ ჩაერევა, რომც გაიგოს კიდევაც, არაა საჭირო, იმისთვის არის ის ადამიანი იქ, რომ ეგეც მოაგვაროს, ყველა ჩხუბზე და კამათზე რომ იქ ირბინოს ადმინისტრაციამ, უნდა?“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„პატიმრებს შორის კონფლიქტს გააჩნია, თუ ძალიან დაძაბული და რთული იყო, თუ ეტყოდი მოვგვარდი, „რასხოდში“ ვართო, არ არის პრობლემა და თუ ვერა - „მაყურებელთან“ მიდიოდი, ახლდა ორი ადამიანი და გადაწყვეტდნენ „ქურდული კანონით“. ადმინისტრაცია ვერ იგებს, ცდილობენ, რომ ეს ჩუმად მოყომარდეს“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„პატიმრების კონფლიქტების მოგვარებაში ერეოდნენ. კონფლიქტის შემდეგ დაუძახებდნენ და გაარკვევდნენ ვინ იყო მტყუანი, მართალი, შეარიგებდნენ და ეტყოდნენ, რომ წყნარად ყოფილიყვნენ, არ დაერღვიათ რეჟიმი, ადმინისტრაციასთან უთანხმოება არ მომხდარიყო“.*
>
> ***ექსპერტი:*** *„როცა რაღაცა კონფლიქტური სიტუაციაა, ეს გვარდება არა ადმინისტრაციის ჩარევით, არამედ ამათი ჩარევით. ადმინისტრაციის ყურამდე შეიძლება მიდიოდეს კიდეც, უბრალოდ ასე უფრო მარტივია, სავარაუდოდ. რეალურად ეს სუბკულტურის როლი მაგ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია“.*

• სუბკულტურის გავლენა საგანამანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვაზე

რაც შეეხება სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში პატიმართა ჩართვის საკითხზე ე.წ. „მაყურებლების“ ზეგავლენას, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სუბკულტურის წესებით მსგავსი ტიპის აქტივობებში ჩართვა წახალისებული არ არის. როგორც რესპონდენტები აცხადებენ, შესაძლოა პირდაპირ არ ხდებოდეს პროგრამებში ჩართვის აკრძალვა, თუმცა, ეს ხდება ირონიისა და დაცინვის საბაბი და რიგ შემთხვევებში, იწვევს დამცინავი ეპითეტების გამოყენებას. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ავტორიტეტულმა პატიმრებმა პირდაპირ მოუწოდეს სხვა პატიმრებს არ

69 საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმებთან დაკავშირებით პენიტენციურ სისტემაში, გვ. 51

ჩართულიყვნენ სარეაბილიტაციო ან სასწავლო პროგრამაში. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პირიქით, როგორც ადგილზე სოციალური მუშაკის მიერ ინიცირებულ პროგრამაში, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ კურსებში, მონაწილეთა მობილიზება სწორედ ე.წ. „მაყურებლების“ ხელშეწყობითა და მეთვალყურეობით ხორციელდებოდა.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ვერ გეტყვიან იმას, რომ არ ჩაერთო, მაგრამ არ ერთვებიან ადამიანები. „კაი ბიჭები“ არავითარ შემთხვევაში არ ერთვებიან. მე ვასწავლიდი დაწესებულებაში, ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი მსჯავრდებული და გამოთქვა სურვილი ენის შესწავლის, ვუთხარი, რომ არსებობდა ცენტრი, ჩაწერილიყო და ევლო, მაგრამ იუარა. მე სამჯერ ნასამართლევი ვარ და ეხლა აქ რომ ჩავეწერო, პრობლემები შემექმნება და ჩემს სტატუსს დავკარგავო“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„იყო რაღაცა ნიუანსები, რომ „კარგი, შენ თუ რაღაცა არა ხარ და ვიღაცა, კარგი, შენთვის თუ არ „ტეხავს“ წადი“. მაგრამ როგორც ესეთი, „ბიჭო, რატომ წახვედი და შენი ისე და ესე!“ - არ იყო ესეთი რამ“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„იქ წიგნის კითხვა, უნივერსიტეტში ჩაბარება კაი ტონად არ ითვლება და შესაბამისად, დაცინვის ობიექტი ხდება ეგეთი ადამიანი. შეიძლება ზურგს უკან დაგცინონ და ესე პირდაპირ არ დაჩაგრავენ“.*

გამოკითხული თანამშრომლების ნახევარმა განაცხადა, რომ სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის პატიმართა შერჩევა მათ მიერ ხორციელდება, თუმცა, მხედველობაში მიიღება ის რეალობა, რომ სხვა პატიმრები ე.წ. „ქათმების“ გვერდით არ სხდებიან და მათთან ერთად საერთო ნივთებით სარგებლობაზე უარს აცხადებენ. აქვე, სხვადასხვა რესპონდენტების მიერ ხაზი გაესვა იმ ფაქტორს, რომ სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის მოტივაცია ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან პროგრამებში ჩართვის სტიგმის დაძლევის მოტივატორი ძირითადად უნდა იყოს ამ მონაწილეობის მიბმა შეღავათების სისტემასთან, რაც ამ ეტაპისთვის გამართული არ არის. ექსპერტებისა და თანამშრომლების მეორე ნაწილი კი მიუთითებს, რომ პატიმრები თუ პირდაპირ არ ერევიან ამ მიმართულებით, მათი ყურადღების სფეროს ეს მაინც წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში, მონაწილეთა ვინაობაც მათთან შეთანხმებულია.

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„ამან რომ უთხრას არ ჩაერთოო, არ ჩაერთვებიან, ყველგან ასეა“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„ადმინისტრაციის მიერ არის შეთავაზებული პატიმრების ვინაობაც, რაოდენობაც, ეს არის იმათთანაც შეთანხმებული სხვათაშორის, თუმცა მთელი უბედურება იმაშია, რომ აი, ამ სარეაბილიტაციო ჯგუფებში მოხვედრა არის ირონიის საგანი“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„ჩამოივლიდნენ ეს ე.წ. „მაყურებლები“ და ყველას გააფრთხილებდნენ, რომ არ ჩასულიყვნენ „სოციალებთან“ - ასე ეძახდნენ სოციალური სამსახურის მუშაკებს და ვინც ჩავიდოდა, მათ სადამსჯელო რაღაცეებს პირდებოდნენ და არავინ არ ჩამოდიოდა ჩვენთან ტრენინგებზე“.*
>
> ***ექსპერტი:*** *„რეაბილიტაციის პროცესში, მე რა შეხებაც მქონია, სასწავლო კურსების ფარგლებში, X-ში ყველაზე მძაფრად იყო, მსჯავრდებულების (რამდენიმეს) მიერ მოხდა ფაქტიურად ჯგუფის შეკრება“.*
>
> ***ექსპერტი:*** *„შესაძლებელია, პატიმარმა ვერ მიიღოს კონკრეტულ სარეაბილიტაციო პროგრამაში მონაწილეობა იმის გამო, რომ ასე უთხრეს ან შესაძლებელია, სულ არ უნდოდეს, მაგრამ იმიტომ, რომ დაწესებულებას სჭირდება და ციხიდან უნდა ჩანდეს, რომ რაღაც სარეაბილიტაციო პროგრამები ტარდება, შესაძლებელია, მას უთხრან, რომ ამაში უნდა მიიღოს მონაწილეობა“.*

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კომპონენტზე გავლენიანი პატიმრების ზეგავლენა აღწერილია, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშებში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში უმცირესობათა უფლებების კვლევაში. სახალხო დამცველის ანგარიში მიუთითებს, რომ რეაბილიტაციის აქტივობებში ჩართვა პრესტიჟული არ არის, რაც სუბკულტურულ გავლენებს უკავშირდება,[70] ასევე სახარბიელო არ არის იმ პატიმრების მდგომარეობა, რომლებიც სამეურნეო სამსახურში არიან ჩარიცხულნი. კერძოდ, 2018 წლის ანგარიშში საუბარია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა არ აღიქმება ისე, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს კვლავ უწევთ ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც ნაკლებად მისცემს პატიმარს იმის შესაძლებლობას, რომ განთავისუფლების შემდგომ შეუნარჩუნონ ან განუვითარონ თავის რჩენის უნარი. ამასთან, ასეთი სამუშაოს შესრულება დაკავშირებულია ძლიერ სტიგმასთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების თანამშრომლები ანგარიშს უწევენ ციხის არაფორმალურ წესებს და ამით ავლენენ შემგუებლურ დამოკიდებულებას შექმნილი მდგომარეობისადმი.[71]

---

70 საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 63

71საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 43-44

• არაფორმალური ჯგუფების გავლენა სამედიცინო სერვისის მიწოდებაზე

როგორც კვლევამ აჩვენა, სამედიცინო მომსახურება არის ის სფერო, რომელშიც ე.წ. „მაყურებელთა“ ჩართულობასთან დაკავშირებითაც აზრები ყველაზე მეტად გაიყო. რესპონდენტების დიდ ნაწილს ამ კითხვაზე პასუხი არ დაუფიქსირებია. ვინც ისაუბრა სამედიცინო მომსახურებაში მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ პირთა ჩართვასთან დაკავშირებით, დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ამ მიმართულებით ე.წ. „მაყურებლების“ ჩარევა ყველაზე ნაკლებია, თუმცა რამდენიმე რესპონდენტმა (თანამშრომლებმა, ექსპერტებმა) ხაზი გაუსვა როგორც ე.წ. ავტორიტეტების პირდაპირ ჩარევას სამედიცინო სერვისის მიღების რიგითობის საკითხში, ასევე გარკვეულ ირიბ მინიშნებებს მათთან დაახლოებული პატიმრების უპირატესი სამედიცინო მომსახურეობის შესახებ. რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ სამედიცინო სერვისს, როგორც წესი, უპირველესად იღებენ ის პატიმრები, რომლებიც უფრო მეტს ხმაურობენ და დაჟინებით ითხოვენ სერვისის მიღებას.

ყოფილი პატიმარი: *„ვერავინ ვერ წყვეტს მაგ საკითხს იქ, გარდა ექიმისა“.*

ყოფილი პატიმარი: *„არსებობს „ბალნიჩკის მაყურებელი“, რომელიც ამ დარგს კურირებს, თუ რამე პრობლემა გაქვს, მიხვალ, ეტყვი, ის ექიმთან მიგყვება და... შენც შეგიძლია მიხვიდე, მაგრამ ის რომ მიგყვება, უფრო მოგაქცევენ ყურადღებას“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„ზოგმა რომ იცის, რომ გაუვათ ეს, ატეხავენ ერთ ამბავს და ვერაფრით რომ ვერ აჩერებენ, იძულებული ხდება ადმინისტრაცია მიმართოს სამედიცინო დეპარტამენტს, რომ ესენი გაიყვანონ“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„მთავარ ექიმთან შემოვიდოდა ე.წ. „კარგი ბიჭი“ და ეტყოდა, რომ ამ პატიმარს მიიღებთო. თან ისე კოხტად, შელამაზებულად, შეფუთულად თხოვდნენ მთავარ ექიმს, კულტურულად, რაღაცა ტაქტით, რომ მთავარი ექიმიც ითვალისწინებდა და მიიღებდა ვიღაცის ნაცვლად პირველ რიგში ამას, ვისზეც რეკომენდაციაც იყო იმ შემთხვევაში გაწეული“.*

ექსპერტი: *„ერთადერთი, რაც მახსენდება ისაა, რომ რიგში შეიძლება უპირატესობა გქონდეს ან შეიძლება წაგწიოს წინ იმან, თუ სიტყვას შეგაშველებს „მაყურებელი“.*

ექსპერტი: *„სამედიცინო სერვისზე იყო ძალიან სერიოზული ამბავი, არც საჩივრებს აწერინებდნენ და „მაყურებელი“ ადგენდა სიებს, ამბობდნენ, მის უკითხავად ვერავინ ვერსად წავაო, ძალიან ბევრი რომ მოზღვავდა ხალხი სამკურნალოდ და ექიმის რიგებში, შემდეგ ზუსტად ადმინისტრაციის თხოვნით „მაყურებლებმა“ აიღეს თავის თავზე რიგის მოწესრიგება და ამ ხალხის გაჩუმება, დაწყნარება“.*

• არაფორმალური ჯგუფების გავლენა სხვა პროცესებზე

რამდენიმე რესპონდენტის მხრიდან ასევე დასახელდა, რომ არაფორმალური გავლენის მქონე ჯგუფები ცალკეულ შემთხვევებში ერევიან დისციპლინური წარმოების საკითხებში, კერძოდ, მათი ინტერვენციის შედეგად, შესაძლოა პატიმარს შეუმსუბუქდეს დისციპლინური სასჯელი. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისაუბრა იმაზეც, რომ რიგ შემთხვევებში, ე.წ. „მაყურებლები“ თავადაც ითავსებენ დასჯის ფუნქციას. აღინიშნა ასევე, რომ ყოფილა სხვა პატიმრების მხრიდან შიმშილობის აღკვეთის შემთხვევა, ასევე ჩარევა სხვა ყოფითი საკითხების მოგვარებაში.

ყოფილი პატიმარი: *„დისციპლინურ წარმოებაში მაყურებლები უფრო სჯიან, მაყურებლები სჯიან თუ სჯიან. გააჩნია, რა წესს დაარღვევს, ზოგჯერ ისე დაუსჯიათ, რომ მაგრადაც უცემიათ. თვითონ „მაყურებლებიც“ სცემენ და ყავთ თავიანთი კუნთიანი ხალხი“.*

ყოფილი პატიმარი: *„არა. თუმცა არაპირდაპირი გზით შეიძლება. მაგალითად, რომ ჩაერევი და გაუშვებ დახურულში ნახევრად ღიადან, დასჯა არაა? აბა, რა არის?“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„შევდივარ სამორიგეოში და ერთი პატიმარი მეუბნება, რომ მე დღეს შიმშილობას ვაცხადებო. ამ დროს მეორე, უფრო გავლენიანი ტიპი საუბრობს ტელეფონზე, აი, პირდაპირ იქ გაუჩუმებია, აი, ამ პროცესში, პირდაპირ ციტირებას გავაკეთებ ფრაზის რაც უთქვამს: „ცოტა წესიერად იყავი!“. „ვსიო“, კარგი, გასაგებია!“ და ჯდება მეორე მხარე და იღებს იმას, რასაც ეუბნებიან“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„შესაძლებელია, ასე ვთქვათ, მათი „რეკომენდაციით“ შემსუბუქებულიყო ხანგრძლივობა სასჯელის, კარცერში მოთავსების ან დასჯის. ვადაზე ადრე დაებრუნებინათ ეს ადამიანი თავის ყოფილ საკანში“.*

ექსპერტი: *„ეგ ჩვეულებრივი ამბავია, რომ ვიღაცა სამარტოო საკანში გადაიყვანონ, არ გადაიყვანონ, ან ვინმე დროზე ადრე ამოიყვანონ სამარტოო საკნიდან. ასევე, სამარტოო საკანში რა შეიძლება გქონდეს და არ გქონდეს, მაგაზეც შეუძლიათ გავლენის მოხდენა“.*

გ) კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ძალადობის წყარო

- **პატიმრებს შორის ფიზიკური ძალადობა**

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ადასტურებს, რომ კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ დაწესებულებებში არის პატიმრებს შორის ძალადობის წყარო. ძალადობის გამომწვევ მიზეზებს შორის დასახელდა რამდენიმე ფაქტორი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმრების მხრიდან სუბკულტურაში არსებული გარკვეული წესების დარღვევა, რომლის გამოც პატიმარი შეიძლება დაისაჯოს კრიმინალური ავტორიტეტების გადაწყვეტილებით, რასაც საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი. წესების დამრღვევის დასჯა, როგორც წესი, ხდება „მაყურებლის“ მითითებით, რასაც ასრულებენ სხვა პატიმრები. თუმცა დასჯის პროცესში „მაყურებლებიც“ იღებენ მონაწილეობას. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ფიზიკურ ძალადობას, რომელიც გამოიყენება როგორც „დისციპლინური სასჯელი“ პატიმრების გავლენიანი ჯგუფების მხრიდან, ძირითადად, არ აქვს ძალიან ბრუტალური ხასიათი და შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სილის გაწვნით. თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ ცდილობენ პატიმარს ფიზიკური ძალადობის კვალი არ დაეტყოს. კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი პატიმარმა დაარღვია კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული მნიშვნელოვანი წესები, ფიზიკურ ანგარიშსწორებას შესაძლოა ჰქონდეს საკმაოდ სასტიკი ხასიათი და პატიმრების უმრავლესობა ამ დროს ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს დასჯის პროცესში.

ყოფილი პატიმარი: *„ფიზიკური ძალადობა შეიძლება არ იყოს დასისხლიანებამდე გასწორება, შეიძლება იყოს რამდენჯერმე სახეში სილის გარტყმა. ხშირია პრინციპში, უბრალოდ თვითონ ცდილობენ, რომ მაქსიმალურად ისე გაუსწორდნენ ადამიანს, რომ არაფერი დაეტყოს, ანუ კვალი არ ჰქონდეს“.*

ყოფილი პატიმარი: *„თუ ისეთი დაარღვია, რომ კატეგორიიდან უნდა გაირიყოს, ვინც ესწრება გადაწყვეტილებას, ყველამ უნდა სცემოს, თან ხელით და ფეხით არ სცემენ, სცემენ დრინებით, სკამის ფეხებით“.*

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პრობლემას წარმოადგენს ძალადობის ფაქტების დოკუმენტირება და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი პროცედურების დაწყებაც. პატიმრების უმრავლესობა, თუკი მასზე განხორციელდა ძალადობა, ამის თაობაზე საჯაროდ არ აცხადებს და ამბობს, რომ ეს დაზიანებები მიიღო შემთხვევით, მაგალითად, საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად. ამის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ მათ არ აქვთ დაცულობის განცდა და ასეთი კონფლიქტის შესახებ საჯარო გაცხადება გამოიწვევს უფრო მეტ აგრესიას მათ მიმართ.

გამოკითხული პატიმრების უმრავლესობის პოზიცია კრიმინალური სუბკულტურით გამოწვეულ ძალადობრივ გარემოსთან დაკავშირებით განსხვავდებოდა. მათი განმარტებით, კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესები არის ერთგვარი გარანტია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს შორის ძალადობას ხშირი ფორმა არ ჰქონდეს. მათი შეფასებით, სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, პატიმრებს შორის ფიზიკური ძალადობა აკრძალულია, თუკი ამის თაობაზე სპეციალური „სანქცია“ არ არის გაცემული კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან. რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ არსებული არაფორმალური წესების გარეშე, პატიმრებს შორის ძალადობას უფრო მასობრივი ხასიათი ექნებოდა და პენიტენციურ დაწესებულებებში პროცესები შესაძლოა სრულიად უკონტროლო გამხდარიყო. ასეთივე სახის პოზიცია ჰქონდა სხვა რესპონდენტების (თანამშრომლები, ექსპერტები) მხოლოდ მცირე ნაწილს.

ყოფილი პატიმარი: *„უბრალოდ , რომ მოუნდება ვერ სცემს ვერავის, სწორად უნდა ცემოს თუ მოუნდება. ისე, რომ დაფიქრდე, ეგენი რომ არ იყვნენ, უმართავი სიტუაცია იქნებოდა, კლანური უწესრიგობები“.*

ექსპერტი: *„იქ რაღაც წესებია ხელის აწევის, ესე ვერ დაარტყამ, თავის წესი აქვს“.*

რესპონდენტების უმეტესობის განმარტებით, ძალადობის თაობაზე ადმინისტრაციისათვის ცნობილია, რადგან იყო შემთხვევები, როდესაც ასეთი ფაქტები ადმინისტრაციის წარმომადგენლების თვალწინ ხდებოდა, რაც აჩენდა ეჭვს, რომ აღნიშნული მოქმედებები მათი თანხმობით მიმდინარეობდა. რამდენიმე რესპონდენტმა

განაცხადა, რომ ადმინისტრაცია უშუალოდ იყენებს პატიმრების ერთ ჯგუფს, სხვა პატიმრებზე ზეწოლის მიზნით და ამას აქვს საკმაოდ ხშირი ხასიათი. თუმცა, რესპონდენტების მცირე ნაწილი ამგვარი ფაქტების არსებობას არ ადასტურებს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ორჯერ შევსწრებივარ ასეთ შემთხვევას. ადმინისტრაციის წარმომადგენლები გარედან კი იდგნენ, უყურებდნენ და როდესაც ძალიან გადაამეტეს და უკვე შეიძლება მოეკლათ ის ადამიანი, ჩაერივნენ და გაიყვანეს სხვა კორპუსზე“.*

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„როგორც საჭიროება მოითხოვდა და რაც სჭირდებოდა ადმინისტრაციას, ამას დაავალებდნენ ამ „მაყურებელს“ და შესაბამისად, ძალადობა არ არის, აბა, რომ შევა საკანში და დაამუშავებს - გინდა სიტყვიერად, ასევე ფსიქოლოგიურად, როგორც დავალებული ჰქონდა მას, რომ იყოს ჩუმად, როგორც აწყობს დაწესებულებას ისე მოიქცეს, არ არის ეს ძალადობა? რა თქმა უნდა, არის“.*

პენიტენციურ დაწესებულებებში მომხდარი ძალადობის ფაქტები ასახულია სხვადასხვა სახის ანგარიშებში/ კვლევებში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციური დაწესებულებების სათანადო მართვის პრობლემის ფონზე, არაფორმალური მმართველობის მასშტაბები ნელ-ნელა იზრდება, რაც დამაფიქრებელია და დროულ რეაგირებას მოითხოვს. აღნიშნულია, რომ კრიმინალური სუბკულტურის გავლენით ხდება პატიმრების არაფორმალური დაყოფა. შედეგად, პატიმართა გარკვეული ნაწილი, რომელიც იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც ხშირ შემთხვევაში, იწვევს პატიმართა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.[72] აღნიშნული გამოწვევების თაობაზე იყო ასევე საუბარი 2018 წლის ანგარიშშიც. პატიმრებს შორის ძალადობის ფაქტებზე, ასევე საუბარია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშიც, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში 2018 წელს განხორციელებულ ვიზიტებთან დაკავშირებით. კომიტეტი განსაკუთრებით გამოყოფს N15 დაწესებულებას, სადაც, ავტორთა განმარტებით, ასეთი სახის ფაქტები აშკარად იყო გამოკვეთილი. კომიტეტი ასევე უთითებს, რომ მსგავსი სახის ფაქტებს ნაკლებად აქვს ადგილი N11 დაწესებულებაში.[73] პატიმრებს შორის, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები აღწერილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „GCRT - ქუთაისს“ 2019 წელს განხორციელებულ კვლევაში.[74]

• პატიმრებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობა

კვლევის შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ კრიმინალური სუბკულტურა არის პატიმრებზე ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წყარო. კრიმინალური სუბკულტურა ქმნის ისეთი სახის კლიმატს პენიტენციურ დაწესებულებებში, რის შედეგადაც პატიმრების უდიდესი ნაწილი იძულებულია, ხშირ შემთხვევაში მათი ნების საწინააღმდეგოდ დაემორჩილოს დაწესებულებებს შიგნით არსებულ „დაუწერელ კანონებს“. ისინი იძულებულნი ხდებიან, დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ითამაშონ გარკვეული როლი. ერთ-ერთი ფაქტორი არის, ასევე პატიმრების დიდი ნაწილის ფაქტობრივად იძულება, მონაწილეობა მიიღონ ე.წ „საერთოს“ შეგროვებაში, რის გამოც მუდმივად იმყოფებიან ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. თუმცა, კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ასეთი სახის გარემო არ არის დამახასიათებელი ყველა დაწესებულებისთვის და ამ კუთხით, გამონაკლისს წარმოადგენს N16 დაწესებულება, სადაც მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია კრიმინალური სუბკულტურისგან თავისუფალი გარემო.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ფსიქიკისთვის ძალიან რთულია. ასე შეიძლება გამოხვიდე, ქვებს არ ისროდე, მაგრამ შეიძლება ბევრი წლის მერე ჰპოვო შედეგი. ფსიქიკას მძიმედ ურტყამს. ანუ, ორმაგი ვალდებულება გაქვს, იქ „საერთოში“ გაქვს გადასახდელი, იმის გარდა კიდევ წესებს გიწესებენ“.*

> ***ექსპერტი:*** *„სუბკულტურის წესებით ცხოვრება, მე ვთვლი, რომ პატიმრების უმრავლესობას უწევს, უნდათ თუ არ უნდათ ეს, როდესაც გამეფებულია ეს სუბკულტურა დაწესებულებებში. იმიტომ რომ, სხვანაირად უბრალოდ გაუჭირდებათ თანაარსებობა, განსაკუთრებით ღია დაწესებულებებში“.*

ფსიქოლოგიური ძალადობის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი, რაც რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, არის კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული იერარქია. ეს განსაკუთრებით ეხებათ იმ პირებს, რომლებმაც სუბკულტურაში არსებული წესები დაარღვიეს და ამის გამო არიან დაქვეითებულნი იერარქიის

72 პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 56

73 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში, 2018 წელს საქართველოში განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით, პარ. 50.

74 საქართველოს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა უფლებრივი მდგომარეობის, სამუშაო პირობების და კმაყოფილების კვლევის ანგარიში (GCRT ქუთაისი), 2019.

ქვედა საფეხურებზე ყველაზე მეტად ასეთი ძალადობის მსხვერპლები არიან ე.წ. „ქათმები“. ამ პირების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება აშკარად გამოხატულია, ისინი ფაქტობრივად არ მიაჩნიათ სრულყოფილ ადამიანებად, რის გამოც იმყოფებიან მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. კვლევამ დაადასტურა, რომ ასეთი სახის დისკრიმინაცია, ხორციელდება არამარტო პატიმრებისგან, არამედ დაწესებულის ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდანაც. თუმცა, თანამშრომლების ნაწილის მხრიდან, გამოიკვეთა თანაგრძნობა და ემპათია ამ კატეგორიის პატიმრების მიმართ.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ფსიქოლოგიური წნეხი ცხადია არის ყველა მსჯავრდებულზე, რომელიც ამ კრიმინალური სეგმენტის წარმომადგენელი არაა.. ასევე, ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური წნეხია „ქათმებზე“ და ადამიანებზე, რომლებიც მუშაობენ სამეურნეო ნაწილში“.*

> ***„ექსპერტი:*** *„დაბალი ფენები, განიცდიან სრულ დისკრიმინაციას და არიან საშინელ დღეში არა მარტო პატიმრების მხრიდან. ადმინისტრაცია და თანამშრომლები პატიმრების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ან უბრალოდ იმიტომ, რომ ამაში უწევთ ცხოვრება ყოველდღიურად, თვითონაც იმეორებენ თავისდაუნებურად ან შეგნებულად ამ ყველაფერს და დისკრიმინაცია მათგანაც მოდის“.*

ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტების თაობაზე აღნიშნულია, ასევე სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში, სადაც ხაზგასმულია, რომ გარდა ფიზიკური ძალადობისა, დაწესებულებებში პატიმრებს შორის ადგილი აქვს ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობას. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც კრიმინალური სუბკულტურა საკმაოდ მძლავრია. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ რეპრესიების შიშით, პატიმრები იძულებულნი არიან დაიცვან არაფორმალური წესები, რომლის დაუცველობის შემთხვევაში, პატიმარი ირიყება სოციუმიდან, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა დანარჩენი პატიმრებისთვის მიუღებელი ხდება, რაც იწვევს მისი ღირსების, სტატუსისა და პატივისცემის დაკარგვას.[75] ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა თანხის გამოძალვა პატიმართა ერთი ჯგუფის მხრიდან სხვა ჯგუფთან მიმართებაშიც.[76]

• პატიმრებს შორის სექსუალური ძალადობა

რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყო სექსუალური ძალადობის ფაქტების არსებობა პენიტენციურ სისტემაში. მხოლოდ ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევებს ადგილი აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში. მათი განმარტებით, სექსუალური ძალადობა, ზოგ შემთხვევაში, ხორციელდება სხვა პატიმრების დასჯის მიზნით, ვინაიდან ასეთი სახის ძალადობრივი ქმედების შედეგად, პატიმრის სტატუსი იცვლება, მათ ენიჭებათ ე.წ. „ქათმების“ სტატუსი, ხოლო ეს ჯგუფი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ყველაზე დისკრიმინირებულია პენიტენციურ დაწესებულებებში. სექსუალური ძალადობის შემთხვევა აღწერილია არასამთავრობო ორგანიზაცია „GCRT ქუთაისის“ მიერ 2019 წელს განხორციელებულ კვლევაში,[77] ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ 2013 წელს განხორციელებულ კვლევაში,[78] რომელიც ძირითადად ეხება 2013 წლამდე არსებულ პერიოდს.

> ***ექსპერტი:*** *„ქუთაისში იყო ასეთი ფაქტი რამდენიმე წლის წინ. იმას, რომ არ შეასრულა გარკვეული მოქმედება, სექსუალური ხასიათის ძალადობა მოყვა დასჯის სახით, ჯგუფურად თან“.*

• პატიმრებს შორის ეკომონიკური ძალადობა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოადგენს ეკონომიკური ძალადობა პატიმრებს შორის. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ფაქტობრივად კვლევის ყველა რესპონდენტი და ეს პრობლემა ასევე ასახულია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში და ანგარიშებში.

პატიმრების მიმართ ეკონომიკური ძალადობა ხორციელდება ე.წ. „საერთოში“ თანხის თუ სხვა სახის პროდუქტის შეტანით. ე.წ. „საერთოში“ თანხის შეტანას დიდი ხნის ისტორია აქვს და დამახასიათებელი იყო კრიმინალური სუბკულტურის ტრადიციებისთვის. რესპონდენტების უმეტესობამ დაადასტურა, რომ დროთა განმავლობაში,

---

75საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შესახებ, გვ. 10

76=იქვე, გვ. 11

77 საქართველოს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა უფლებრივი მდგომარეობის, სამუშაო პირობების და კმაყოფილების კვლევის ანგარიში (GCRT), 2019.

78 საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსმ პატიმრების საჭიროებების კვლევა აივ-ის პრევენციასთან მიმართებით ჩატარებული კვლევა, „იდენტობა“, 2013წ, გვ. 14

ე.წ. „საერთოში“ თანხის შეტანას გარკვეულწილად სახე შეეცვალა და დღეს არსებული პრაქტიკით, ძირითადად გროვდება სიგარეტი, ჩაი, სატელეფონო ბარათები და სხვა მატერიალური ღირებულების მქონე პროდუქტები. თუმცა, კვლევამ გამოკვეთა ისიც, რომ ე.წ. „საერთოს“ შეგროვება ხორციელდება პატიმრების ბარათებზე, (რომლებსაც იყენებენ დაწესებულებაში პროდუქციის შესაძენად), ასევე, კომპანია „აჭარაბეთის“ ანგარიშებზე თანხების დარიცხვით. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ამის თაობაზე ინფორმირებულია დაწესებულების ადმინისტრაცია და ამ პროცესს ხელს უწყობენ იმით, რომ ცდილობენ არ შეამოწმონ ის საკნები, სადაც ინახება, ე.წ. „საერთოს“ ფარგლებში შეგროვებული გარკვეული სახის პროდუქცია.

> ***ექსპერტი:*** *„დასავლეთში, გეუბნებით, საკნები ვიცოდი, სადაც გროვდებოდა, ოღონდ ეს იცოდა ადმინისტრაციამაც. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგანაც თვითონ პატიმრები გვაწვდიდნენ ინფორმაციას, რომ არ ხდებოდა ამ საკნების შემოწმება, სხვა საკნებს თუ ამოწმებდნენ, ამას არ ამოწმებდნენ და ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს“.*

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„რაც მახსოვს, იყო ასეთი რაღაცა, ერქვა „სატასაო“, რომელიც „მაყურებლის“ კამერაში დევს და როგორც მახსოვს, თვეში ერთხელ 15 ლარის რაღაც უნდა შეგეძინა, ნუ, ხარკს იხდიდი, უხეშად რომ ვთქვათ, რა! მოვიდა 15 რიცხვი და ჩემი ფულიდან უნდა გამოვყო, რომ მივცე იმათ. მაგალითად, უნდა ვიყიდო სიგარეტი, უნდა ვიყიდო დასარეკი ბარათები, ტუალეტის ქაღალდი, კბილის ჯაგრისი და ასეთი რაღაცეები“.*

კვლევა აჩვენებს, რომ ე.წ. „საერთოში“ თანხის ან ღირებულების მქონე პროდუქციის შეტანას, რამდენიმე სახის დანიშნულება აქვს. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ამ ნივთების შეგროვების მიზანია, რომ ეს პროდუქცია გაუნაწილდეთ იმ პატიმრებს, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა თვითონ იყიდოს, მაგალითად, სიგარეტი ან ჩაი. პატიმართა ამ ჯგუფს მოიხსენიებენ ტერმინით „ბედალაგები“. თუმცა, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ პატიმრების ამ ჯგუფზე, შეგროვებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი ნაწილდება და დანარჩენ პროდუქციას გავლენის მქონე პატიმრები პირადი მიზნებისთვის იყენებენ. რესპონდენტების ნაწილი, ე.წ. „საერთოში“ პროდუქციის შეგროვების ამ ფორმას მოიხსენიებს ტერმინით „პადიომი“, ხოლო ადგილს/საკანს, სადაც ეს ნივთები ინახება ტერმინით - „სატასაო“. მათი განმატებით, ეს არ წარმოადგენს „საერთოს“, იგივე „ობშიაკს“ თავის კლასიკური გაგებით და არის „საერთოს“ შეგროვების სახეცვლილი ფორმა. „საერთოს“ შეგროვების პროცესს კი „ობშიაკის მაყურებელი“ კურირებს, ვისი არსებობაც დაადასტურა რესპონდენტების უმრავლესობამ.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„საერთოს“ იმიტომ კი არ ეძახიან, რომ რაღაცა „ქურდულს“ აკავშირებს. ანუ, გროვდება სიგარეტი, კბილის პასტა. მე, მაგალითად, რომ შემძლებოდა, ვიყიდდი სიგარეტს, კბილის პასტას და ჩემი ოჯახი რომ შემომიგზავნიდა მაისურს, სპორტულს, თითი-თითო რაღაცას დავდებდი გვერდზე და მეორე პატიმარი რომ მოვიდოდა, ხომ არიან გაჭირვებული ოჯახის პატიმრები, გარედან პატრონი არ ჰყავს, ვერ უგზავნის გარედან და ჩვენ ვეხმარებოდით მერე, ასე რომ ვუწოდოთ, გაჭირვებულ პატიმრებს“.*

რესპონდენტების მცირე ნაწილის განმარტებით, არის შემთხვევები, როდესაც ხდებოდა პატიმრების მიერ ე.წ. „სატასაოში“ საერთოში შეტანილი პროდუქციის, ისევ პატიმრებზე გაყიდვა და მათი შეფასებით ეს ხდებოდა ადმინისტრაციასთან კოორდინირებულად. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ხდებოდა ამ პროდუქციის გარეთ გატანას და გაცვლა.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„დავუშვათ, შემოიტანონ სიგარეტი, ან გახსნან პაემანი, სიგარეტის დიდ რაოდენობაზეა საუბარი, მერე გარეთ აგზავნიან, იცვლება ფულში და მთელი ამბებია. იქ ფული ხომ არ მოქმედებს, მოქმედებს სიგარეტი. გავა, სიგარეტი გაიყიდება და მიდის, სად მიდის, ალბათ „საერთოში“. არსებობს ასეთი რამე „პადიომს“ ეძახიან, რომელიც პატიმრებისგან გროვდება, ნაწილს იყენებენ უპატრონოებისთვის, ავადმყოფებისთვის, მაგრამ მაგდენი არ არის საჭირო“.*

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ეს არის 2017 წლის დასაწყისი, „სატასაოში“ ამ ეტაპზე იყო შეგროვებული 3000 ცალი 5 ლარიანი ბარათი, რატომღაც N17, N16, N8 დაწესებულებებს შორის, მხოლოდ N17 დაწესებულებაში ისევ გაწყდა ახალი სისტემა (კავშირგაბმულობის) და ისევ აამუშავეს ძველი სისტემა კარტებით და ყველა 3000 ბარათი გაიყიდა, როგორც ზევით აღვნიშნე, გათეთრების მექანიზმით, ჩარიცხვებით „აჭარაბეთზე“. ანუ, 2 თვით გაითიშა ახალი სისტემა და ისევ ძველ ბარათებზე გადავედით და ამოიყიდა „სატასაოდან“ ეს 5 ლარიანი ბარათები“.*

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში ცალკე არიან ე.წ. „ თამაშების მაყურებლები“, რომელთა ფუნქციაც არის დაწესებულებებში თამაშებზე ზედამხედველობა. მათი ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიონ თამაშებს პენიტენციურ დაწესებულებებში, რის შედეგადაც, ის პირი, ვინც მოიგებს, ვალდებულია ე.წ. „საერთოში“ შეიტანოს მოგებული თანხის 20%-ი. ამ შეგროვილ თანხას კი განკარგავს ე.წ. „პალაჟენეცი“. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, თამაშებს აქვს ორგვარი ხასიათი, იძულებითი და ნებაყოფლობითი. არსებული პრაქტიკის თანახმად, როდესაც კონფლიქტი ხდება პატიმრებს შორის, მათ აქვთ შესაძლებლობა ეს კონფლიქტი გადაჭრან ერთმანეთში თამაშის შედეგად, რის შემდეგაც, მოგებული თანხის 20%-ი ირიცხება ე.წ. „საერთოში“. კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდების მიზნით კი, პატიმართა ნაწილს უწევდა მონაწილეობა მიეღო ასეთი სახის თამაშებში.

ყოფილი პატიმარი: *„რეგიონების მაყურებელთან ერთ დონეზე დგანან, ასე ვთქვათ, „თამაშების მაყურებელი“. ანუ, არსებობს მთელი თამაშების ჯგუფი, რომელიც უყურებს მსჯავრდებულთა თამაშებს და რა თქმა უნდა, პროცენტს იგებენ იქიდან. ანუ, 20%-ი არის მემგონი საგადასახადო. ვიღაცა რომ იგებს პატიმართა შორის, ეს იქნება მანქანა, ბინა, ასი ლარი თუ 1000 ლარი, არ აქვს მნიშვნელობა, 20%-ი მიდის ამ კრიმინალთა ჯგუფში. ნუ, პირდაპირ უფრო „პალაჟენეცთან“ მიდის და იქიდან ნაწილდება სხვა მაყურებლებში“.*

ყოფილი პატიმარი: *„ორი განშტოებაა. პირველი არის ნებაყოფლობითი, მეორე არის ასევე ნებაყოფლობითი, მაგრამ უფრო იძულებით ხასიათს ატარებს. ანუ, როდესაც ხდება რაღაც კონფლიქტი, მიღებული არის ისეთი ფორმა, რომ იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს ვუბაგუნოთ, ესე ვთქვათ, ხელები ავწიოთ და ვიჩხუბოთ, უმჯობესია თამაშით ყველაფერი განვმუხტოთ, თამაშით გავარკვიოთ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანი იძულებულია რომ ითამაშოს“.*

რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, ე.წ. „საერთოში“ თანხის შეტანას ფაქტობრივად სავალდებულო ხასიათი აქვს. პატიმრებს აქვთ შესაძლებლობა ზოგადად, რომ უარი განაცხადონ თანხის შეტანაზე იმ მიზეზით, რომ არ აქვთ ამის საშუალება. ეს შესაძლოა იყოს არგუმენტი. თუმცა, საერთოში მონაწილეობაზე უარის თქმა შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ მათ მიმართ შეიცვალოს დამოკიდებულება და კონფლიქტურ სიტუაციებში, მათ ვერ ექნებათ სხვა პირების მხარდაჭერა იმის გამო, რომ საერთო საქმეში თავიანთი წვლილი არ შეაქვთ.

ყოფილი პატიმარი: *„ადმინისტრაცია არც საპონს აძლევდა, არც პირის საპარსს აძლევდა, მარტო „ბედალაგებისთვის“ იკრიბებოდა, „პადიომი“ იკრიბებოდა, საერთო არა. ვალდებულება არ იყო, თუნდაც წინაც ვიყურებოდი, რომ რავი, ეშმაკი წყლისფერია და რა ვიცი! თუ ვიღაცას პრეტენზია ჰქონდა მომავალზე, რაც უფრო მეტს გააკეთებდა, უფრო მეტი სახელი იყო მისი“.*

ყოფილი პატიმარი: *„ამაზე გახსნილად არავინ ლაპარაკობს, მაგრამ „ნამიოკებით“ ამბობენ, პირდაპირ არ გეტყვიან, „ქურდულ საქმეს“ სჭირდება და ამას რომ იტყვიან, პატიმრები უნდა გაჩუმდნენ. ყოველთვიურად უმრავლესობა მინიმუმ 30 ლარს მაინც დებდა, ეს ყველაზე ცოტა, მაგრამ როგორაა, იცით? მაგალითად, ორასი ლარის სიგარეტი უნდა მიიტანო, ან სხვა რაღაც, რასაც გეტყვიან. რაც იქ ვიყავი, სულ ასე იყო. ადმინისტრაციამ ყველაფერი იცის, როგორ არ იცის. თუ არ მიიტანდი, წნეხისთვის უნდა გაგეძლო, რომ მათ მხარეს არ ხარ. ძლიერი უნდა იყო, ამას რომ გაუძლო და დაიკიდო, ბევრი ვერ უძლებს და იხდის“.*

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში ადასტურებს თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ ტენდენციებს პატიმრების მიმართ ეკონომიკური სახის ძალადობასთან დაკავშირებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ N2 დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები თავისუფლად გადაადგილდებიან დაწესებულების ტერიტორიაზე, აკონტროლებენ პატიმრებს, აგროვებენ ე.წ. „საერთოს“, შედიან საკნებში და ურჩ პატიმრებს ფიზიკურად უსწორდებიან. ვინც არ დაემორჩილება მათ მოთხოვნებს, სოციუმიდან რიყავენ და გადაჰყავთ სხვა კორპუსში. პატიმრებს ართმევენ ოჯახის მიერ გამოგზავნილ ტანსაცმელს. ე.წ. ციხის მაყურებლები სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრის დახმარებით აკონტროლებენ პატიმრების ბარათებზე დარიცხულ თანხებს. ამისთვის აქვთ სპეციალური ჟურნალები, სადაც მითითებულია პატიმრის სახელი და გვარი, ბარათის შემოწმების დრო და ბარათზე დარიცხული თანხის ოდენობა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „N15 დაწესებულებაში იკვეთება შემდეგი სურათი: თითოეული საკნის „საწევრო“ გადასახადის ეკვივალენტის ყავა და სიგარეტი ბარდება არაფორმალურ მმართველებს. ამის შემდგომ, პატიმრები სიგარეტს ყიდულობენ არა მაღაზიაში, არამედ „მაყურებლისგან“. მათი ახლობლები შესაბამის თანხას რიცხავენ „მაყურებლების“ მიერ კონტროლირებულ საბანკო ანგარიშებზე ან სპეციალურად გახსნილ ტოტალიზატორის ანგარიშზე. დაწესებულებაში „საერთოში“ მონაწილეობა საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი მსჯავრდებული, შემოსავლის გათვალისწინებით, თვეში მხოლოდ 20 ლარის ღირებულების კონტრიბუციით შემოიფარგლება, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში კი, საკნის კონტრიბუცია 300-400 ლარს აღწევს. ერთ-ერთი მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მისი საკნიდან „საერთოსთვის“ ყოველ თვე 200 ლარი იკრიბებოდა და ვინაიდან მას არ გააჩნდა ფინანსური შესაძლებლობები, სხვა პატიმრებმა იგი გარიყეს და აითვალწუნეს“.[79]

• ადმინისტრაციის რეაგირება ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით

პატიმრებს შორის ძალადობის ფაქტებზე რეაგირებასთან დაკავშირებით რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია არ იყო ერთგვაროვანი. გასხვავებული სურათი გამოიკვეთა დაწესებულებების მიხედვით. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ განსაკუთრებით ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, ასევე, ქუთაისის N2 დაწესებულებაში, ადმინისტრაციისთვის ცნობილია პატიმრებს შორის ძალადობის ფაქტების თაობაზე, თუმცა თანამშრომლები არ რეაგირებენ და ცდილობენ, რომ ამის თაობაზე საჯაროდ ცნობილი არ გახდეს. რესპონდენტების განმარტებით, ისინი რეაგირებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს რისკი, რომ

79 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის თაობაზე, გვ. 20-21

აღნიშნული ფაქტი გასცდება ციხის ფარგლებს და მას მოყვება გარკვეული სახის გამოხმაურება მედიის ან სამინისტრის მხრიდან. რესპონდენტების ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ ე.წ. „მაყურებლების“ დასჯა ადმინისტრაციის მიერ არასოდეს ხდებოდა, თუმცა სხვა რესპონდენტების განმარტებით, ასეთი ფაქტები ყოფილა და ე.წ. „მაყურებლები“ დახურული ტიპის დაწესებულებაშიც გადაუყვანიათ.

> ***„ყოფილი პატიმარი:*** *„რეაგირებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის საფრთხე, რომ ეს ამბავი გასკდება, ან დირექტორს მოხსნიან“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„მაყურებლის“ დასჯა მე იქ არ მინახავს არასდროს, ყოველთვის მართლები იყვნენ ისინი“.*
>
> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„რაიმე ფორმით რომ არ დასაჯონ, ან საერთოდ არ დასაჯონ, ეს შეიძლება აშკარა თანამშრომლობად აღიქმებოდეს მათთან და თვითონ აღმოჩნდნენ ცუდ სიტუაციაში. ასე რომ, „მაყურებელიც“ მჯდარა კარცერში, სამარტოო საკანში, გრძელვადიანი პაემნის აკრძალვაც ჰქონია“.*

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტები უყურადღებოდ არ რჩებოდა ადმინისტრაციის მხრიდან. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა N16 დაწესებულებასთან მიმართებაში, სადაც რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ადმინისტრაცია ასეთ ფაქტებზე საკმაოდ მკაცრად რეაგირებდა. კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციის რეაგირება ფიზიკური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით არ იყო ადეკვატური და შესაძლოა მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოფარგლულიყვნენ. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ პატიმრებს შორის ძალადობასთან გამკლავების კუთხით ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს პატიმრების უარი განაცხადონ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით და ეს პირდაპირ უკავშირდება დაწესებულებებში არსებულ სუბკულტურულ გარემოს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„N16-ში ძალადობაზე მთელი ციხე გაგიჟებულია და საკმაოდ სერიოზული სანქციებია, შეიძლება საერთოდ გაუშვან N16-დან თუ სერიზოული ძალადობა დაფიქსირდა“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ადმინისტრაცია საქმის კურსში არ არის. ვერ დასჯის, ვერ გაიგებენ, დამადასტურებელი საბუთი არ იქნება, იტყვის წავიქეცი, ან რავი, მეძინაო, ასე ხშირად ხდებოდა, ადმინისტრაციას რომ არ გაეგო“.*

• ძალადობრივი გარემოს შედეგები პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ძალადობრივი გარემო სერიოზულ გავლენას ახდენს პატიმრებზე, განსაკუთრებით მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სუბკულტურული გარემოს გამო, პატიმრები ემორჩილებიან იქ არსებულ დაუწერელ წესებს, მუდმივად ფიქრობენ მათ მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯზე. პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პატიმრების დიდი ნაწილი იძულებული ხდება ითამაშოს სხვადასხვა სახის როლი და ბოლომდე ჩაერთოს ციხეში არსებული ცხოვრების პროცესში. პატიმართა ნაწილი აღნიშნავს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სულ სხვა ცხოვრებაა, ცალკე სახელმწიფოა და ა.შ. გარდა ამისა, ე.წ. „საერთოს“ შეგროვების პროცესში, ფაქტობრივად, იძულებითი მონაწილეობა, დამატებით ზეწოლის ფაქტორია პატიმრებზე, რის გამოც ისინი მუდმივი შფოთვისა და დაძაბულობის ქვეშ იმყოფებიან. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ N16 დაწესებულებაში, სადაც მეტ-ნაკლებად სუბკულტურისგან თავისუფალი გარემოა, პატიმრებზე ზეწოლის ასეთი სახის ფაქტებს ნაკლებად აქვს ადგილი.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„გააჩნია ადამიანს, ადამიანის კატეგორიაზეა დამოკიდებული, ზოგს უწევს მაგაზე დაძაბულად ფიქრი და ყოფნა და ზოგს არ უწევს, იმიტომ რომ, მისი ცხოვრების წესია და ჩვევა. ზოგისთვის შესაძლებელია სტრესი იყოს, რადგანაც არ არის მისთვის ეს ჩვეული ცხოვრება“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„სულ დაძაბული ხარ, სულ გეშინია. ანუ, ციხე ისედაც „კლიშეების“ ნორმებით არის და კიდე დამატებით ვიღაცა გიწესებს რაღაცეებს, წნეხია. ადაპტაციის წნეხი და მეორე წნეხია ამ სუბკულტურის წნეხი“.*

- **პენიტენციური დაწესებულების პერსონალზე ძალადობა**

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებებში ადგილი აქვს პატიმრების მხრიდან პერსონალზე ძალადობის შემთხვევებსაც. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, დაწესებულების პერსონალზე ძალადობის შემთხვევები განსაკუთრებით გახშირდა 2012 წლის შემდეგ. პერსონალზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არაერთგვაროვანია. ნაწილის განმარტებით, ასეთი სახის ძალადობის შემთხვევაში, პატიმრებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა - დისციპლინური სახდელი, დახურულ ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა ან იწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, დაწესებულების პერსონალზე ძალადობა არ ითვლება მისაღებ საქციელად. მათი განმარტებით, ამით ფუჭდება ე.წ. „პალაჟენია“ და ამის გამო, პატიმარი, ვინც მსგავს საქციელს ჩაიდენს, შეიძლება დაისაჯოს „მაყურებლის“ მხრიდან.

რესპონდენტების ნაწილმა ისაუბრა საპირისპირო პრაქტიკის თაობაზე. მათი განმარტებით, პერსონალზე ხორციელდებოდა ძალადობა და მათ ძირითადად აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. იმ შემთხვევაში, თუკი პატიმარი იყო კრიმინალური ავტორიტეტი და დაწესებულების ადმინისტრაციას არ აწყობდა ამ პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, ადმინისტრაცია ცდილობდა, ე.წ. „პალაჟენეცთან“ ერთად, შეერიგებინა თანამშრომელი და კონკრეტული პატიმარი. გარდა ამისა, რესპონდენტების მხრიდან ასევე ითქვა, რომ თუ ასეთი კონფლიქტი ხდებოდა, ადმინისტრაცია საერთოდ არ რეაგირებდა ამ ფაქტებზე და იყო შემთხვევები, რომ ამის გამო თანამშრომელი სხვა განყოფილებაშიც კი გადაიყვანეს.

> **ყოფილი პატიმარი:** „ჩვეულებრივი პატიმრის მიერ თუ განხორციელდება ესეთი, რა თქმა უნდა, დისციპლინურსაც მიიღებს და შეიძლება დახურულ დაწესებულებაში გადაიყვანონ“.
>
> **ყოფილი თანამშრომელი:** „მაგრამ ერთი რა არის, იცით? თუ თანამშრომელი მართლა მოწოდების სიმაღლეზე იყო და დაუმსახურებლად შეურაცხყოფას აყენებდა პატიმარი, იქ უკვე თვითონ „მაყურებელი“ სჯიდა იმ პატიმარს“.
>
> **ყოფილი თანამშრომელი:** „პატიმარს და თანამშრომელს შეარიგებს ადმინისტრაციის წარმომადგენელი და „პალაჟენეცი“. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი „მაყურებელია“ და როდესაც ადმინისტრაციას არ აწყობს ამ „მაყურებლის“ „გაკრიტვა“ ანუ დახურულში გადაყვანა, ვინაიდან ეს ადამიანი 100-200 კაცს კარგად აკონტროლებს და წესრიგია დაწესებულებაში“.
>
> **ყოფილი თანამშრომელი:** „არა, არავითარი რეაგირება, ეს ყველაფერი ჩაფარცხული იყო. ჩამოშორება ხდებოდა რეჟიმის თანამშრომლის, მაგალითად, სართულიდან, ისეთი სამუშაოს მიცემა, რომელიც პატიმრებთან შეხებას არ მოითხოვდა“.
>
> **ყოფილი თანამშრომელი:** „დაცულები საერთოდ არ ვიყავით. იყო იქ პატიმარი ერთ-ერთი, რომელმაც თანამშრომელს „კარმუშკიდან“ ცხელი საჭმელი შეასხა და არანაირი დასჯა არ მოყოლია“.

დ) რესპონდენტების მოსაზრებები სამომავლო ნაბიჯებთან დაკავშირებით

<u>ყოფილი პატიმრების</u> განმარტებით, არაფორმალური ჯგუფების გავლენის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია პატარა ციხეების აშენება და პატიმართა კლასიფიკაცია სხვადასხვა რისკ-ჯგუფების მიხედვით. მათი შეფასებით, ეს უფრო გაადავილებს ციხეების მართვას და გარკვეულ ჯგუფებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა ნეგატიური გავლენა მოახდინონ სხვა პატიმრებზე. მათი განმარტებით, ასევე აუცილებელია კვალიფიციური თანამშრომლების შერჩევა, მათი ფსიქოლოგიური მომზადება, რადგანაც უმეტესობა იმიტომ მუშაობს დაწესებულებებში, რომ მათ უბრალოდ სხვა არჩევანი არ აქვთ. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ თუკი ყველა დაწესებულება იქნებოდა ისეთი სახის, როგორიც არის N16 დაწესებულება, ამ პრობლემას ადვილად გაუმკლავდებოდნენ. თუმცა, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ კრიმინალურ სუბკულტურას ძალიან ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები, არაფრის შეცვლა არ არის საჭირო, ვინაიდან იმ ფუნქციას, რასაც არაფორმალური ჯგუფები ასრულებენ, დაწესებულების ადმინისტრაცია რეალურად ვერ შეასრულებს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„უნდა მოხდეს ციხეების ზომების შემცირება, 2000 კაციან ციხეს, მესმის, რომ ვერ მართავენ სხვანაირად. 200 კაციანი ციხეები უნდა იყოს და უნდა მოხდეს პატიმრების დაყოფა“.*
>
> ***ყოფილი პატიმარი:*** *„ეგ სტალინის ჩამოყალიბებული მენტალიტეტია და ჩამოაყალიბა იმიტომ, რომ წესრიგი ყოფილიყო ციხეებში, ბოდიში და, ნახირს რომ მენახირე არ ჰყავდეს, ხომ დაიფანტებიან? მწყემსივით არის, ადმინისტრაცია ვერ შეასრულებს ამ როლს“.*

ყოფილი თანამშრომლების განმარტებით, კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღი არის პატარა ზომის ციხეების აშენება და პატიმართა კლასიფიკაცია. თუმცა, მათი განმარტებით, მხოლოდ აღნიშნული ნაბიჯი არ არის საკმარისი რეალური ცვლილებების განსახორციელებლად. მათი შეფასებით, ერთ-ერთ მთავარი გამოწვევა არის თანამშრომლებში არსებული ინსტიტუციური კულტურა, რის გამოც, ისინი ფაქტობრივად ამ სუბკულტურის შემადგენელი ნაწილი ხდებიან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა, მათი გადამზადება, მოტივაციის ამაღლება და სოციალური დაცვის გარანტიების შექმნა. მათი შეფასებით, ციხეში მუშაობა არ ითვლება პრესტიჟულად, ვერ ხერხდება კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და არის პერსონალის საკმაოდ მაღალი დენადობა. გარდა ამისა, ერთ-ერთ პრობლემად რესპონდენტებმა დაასახელეს ის ფაქტი, რომ საშუალო და დაბალი რგოლის თანამშრომლებისთვის არ არის განსაზღვრული ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები და ისინი დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყეტილებებს დაწესებულების ადმინისტრაციის მითითების გარეშე. მიზეზებად ასევე დასახელდა რთული სამუშაო და ამის ფონზე დაბალი ანაზღაურება, რის გამოც დაბალია თანამშრომელთა მოტივაცია, დარჩნენ სამუშაოდ ამ სისტემაში.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„მივესალმები იმას, რომ კლასიფიკაცია მოხდეს საკნების, სადაც პირველი ნასამართლევი მეორესთან არ იჯდება, არ აფუჭებენ ერთმანეთს“.*

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„თვითონ თანამშრომლებმაც და ხელმძღვანელობამაც უნდა შეიგნონ, გააცნობიერონ, რომ ეს ჯგუფი - არაფორმალური დაჯგუფებები - არ არის საჭირო ციხეებში. უნდა სხვანაირად იაზროვნონ, ცნობიერება აიმაღლონ“.*

ექსპერტების განმარტებით, კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შესამცირებლად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნების არსებობა. ექსპერტებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ მნიშვნელოვანია პატარა ციხეების არსებობა, სადაც იქნებოდა პატიმართა კლასიფიკაციის შესაძლებლობა. მათი განმარტებით, ამ კუთხით ყველაზე კარგი ნაბიჯია, გავლენის მქონე პატიმრების განცალკევება ისეთი სახით, რომ არ მოხდეს იმაზე მეტად იზოლირება, ვიდრე ამას მოითხოვს ობიექტური საჭიროება. ასევე მნიშვნელოვანია ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტურად ამუშავება, რათა პატიმრებს გაუჩნდეთ რეალური განცდა, რომ გარკვეული სახის ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, მათი ქცევა წახალისებული იქნება. გარდა ამისა, სხვა რესპონდენტების მსგავსად, ექსპერტებმა ხაზის გაუსვეს, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მოტივაციის ამაღლება, კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი გადამზადება და შემდგომში უკვე შენარჩუნება. მათი შეფასებით, ასევე მნიშვნელოვანია სარეგილიტაციო პროგრამების უფრო განვითარება და მისი მიბმა პატიმრების წახალისების სისტემასთან. რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას.

> ***ექსპერტი:*** *„მთავარი მაინც პოლიტიკურ ნებას უკავშირდება, თუკი სახელმწიფოს ექნება პოლიტიკური ნება, სრულიად შესაძლებელია, რომ ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ სენისგან ქვეყანა“.*

> ***ექსპერტი:*** *„პირველ რიგში, აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ნება იყოს, რესურსი გამოიყოს შესაბამისი, არ ხდებოდეს კადრების გადინება, ხდებოდეს პატარა ციხეების მშენებლობა და ერთიანი პოლიტიკის შემუშავება“.*

როგორც სახალხო დამცველის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშებშია აღნიშნული, დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებები[80] არის ერთ-ერთი გამოწვევა პენიტენციურ სისტემაში, რის გამოც ადმინისტრაციას უჭირს ეფექტური კონტროლი განახორციელოს დაწესებულების ტერიტორიაზე. კვლევებში/ანგარიშებში ასევე საუბარია, რომ პრობლემას წარმოადგენს თანამშრომელთა დენადობა[81] პენიტენციური სისტემიდან, შესაბამისად, გაცემულია არაერთი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას,[82] მოტივაციის, კვალიფიკაციის ამაღლებას და სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, კვლევებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის გეგმა.[83]

• კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური ჯგუფების გავლენის შემცირების შესაძლო შედეგები

ყოფილი პატიმრების უმრავლესობის შეფასებით, კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური ჯგუფების გავლენის შემცირებას დაწესებულებებში პირველ ეტაპზე შესაძლოა მოყვეს საკმაოდ მძიმე შედეგები. მათი განმარტებით, ადმინისტრაციას არ აქვს რესურსი, რომ დიდი ზომის დაწესებულებებში აკონტროლოს სიტუაცია

80 პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 35

81 პენიტენციური სისტემის პერსონალი, სამაგიდე კვლევა, ნ. ცაგარელი, გვ. 50

82 საქართველოს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა უფლებრივი მდგომარეობის, სამუშაო პირობების და კმაყოფილების კვლევის ანგარიში (GCRT), 2019, გვ. 4-10

83 პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი, „თანადგომა, „RIVG“, გვ. 109

უსაფრთხოების კუთხით და ამისთვის სჭირდება არაფორმალური ჯგუფები. ასეთი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, თითქმის ყველა რესპონდენტმა (ყოფილმა პატიმარმა) განაცხადა, რომ დაწესებულებებში დაიწყება ქაოსი, დაძაბულობა, დაპირისპირებები, რის კონტროლსაც ადმინისტრაცია ვერ შეძლებს. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, თუკი ასეთი სახის ცვლილებები ძალიან ფრთხილად არ გაკეთდა, შესაძლოა ამას ბუნტიც კი მოყვეს. თუმცა, რესპონდენტების ნაწილის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ცვლილებებს პირველ ეტაპზე გარკვეული გართულებები მოყვება, არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირება შესაძლებელია და ამის კარგი მაგალითია N16 დაწესებულება.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„სხვაგვარად 900 კაცზე შეუძლებელია და მაგათი ინსტიტუცია რომ უცებ გამოაცალო, შეიძლება ზონამ დაჭამოს ერთმანეთი ისე, რომ ვერც კი გააკონტროლო“.*

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„N16 დაწესებულების მაგალითზე გეტყვი, რომ იქ, სადაც არ ხდება ეს შიდა მართვა, სუბკულტურა, როგორც ცა და დედამიწა, ისეთი განსხვავებაა“.*

<u>ყოფილი თანამშრომლების</u> უმრავლესობის განმარტებით, არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირება შესაძლებელია, ამისათვის საჭიროა პოლიტიკური ნება და სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული წინასწარ გათვლილი კონკრეტული გეგმა. გარკვეული რესპონდენტების განმარტებით, ასეთი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე, დაწესებულებებში დაიწყება გარკვეული სახის გართულებები, თუმცა სწორი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში ეს დაძლევადია. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შემცირება ბოლომდე ვერ მოხერხდება და ეს შესაძლებელია მხოლოდ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში.

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„არანაირ პრობლემებს არ გამოიწვევს, პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ადმინისტრაციამ და გამოსავალი მესახება, რომ ეს სუბკულტურა ყველა ერთად უნდა შეყარო და მორჩა! ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში არის დიდი ციხეები. დიდი ციხეების მართვა ძაან რთულია“.*

> ***ყოფილი თანამშრომელი:*** *„თავიდან ალბათ კონფლიქტები იქნება, თუ ვინმე დააპირებს მათი ფრთების შეკვეცას, მაგრამ ნელ-ნელა ეს დარეგულირდება. უბრალოდ უნდა იყოს სურვილი და ნება“.*

<u>ექსპერტების უმრავლესობის განმარტებით,</u> არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირებას გარკვეული სახის გართულებები აუცილებლად მოყვება დაწესებულებებში. მათი შეფასებით, პენიტენციური დაწესებულებების დღეს არსებული მართვა ბოლომდე არის აგებული არაფორმალური ჯგუფების გავლენების გამოყენებაზე და ამის უცებ გამოცლა გამოიწვევს ქაოსს და დაძაბულობას დაწესებულებებში. თუმცა, რესპონდენტების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შემცირება სავსებით შესაძლებელია, თუ ნაბიჯები ეტაპობრივად გადაიდგმება. მათი შეფასებით, შიში, რომ ამას შეიძლება მოყვეს ბუნტი, არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ დღევანდელი სტატუს-კვო შენარჩუნდეს. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია დადგეს ლეგიტიმური ძალის გამოყენების საჭიროებაც.

> ***ექსპერტი:*** *„ელემენტარული რაღაცის შეცვლა ეხლა ამ პერიოდში და პირობებში ადრინდელზე კიდევ უფრო მძიმე შეიძლება იყოს და ძალიან სერიოზული შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ბუნტის ჩათვლით, ლეგიტიმური ძალის გამოყენება შეიძლება რაღაც პერიოდში გახდეს აუცილებელი, მაგრამ მართლზომიერი ძალის გამოყენება“.*

> ***ექსპერტი:*** *„ეტაპობრივად თუ სწორად და გამიზნულად იქნება, და ასევე, ადმინისტრაცია თუ ზუსტად ჩაერთვება. მე მგონია რომ ადმინისტრაციას ამის რესურსი და ფუნქცია აქვს, რომ ჩაანაცვლოს ე.წ. „მაყურებლების“ კონტროლი“.*

• პატიმრების გამოყენება დაწესებულების მართვის პროცესში

<u>ყოფილი პატიმრების</u> განმარტებით, პატიმრების გამოყენება დაწესებულების მართვის პროცესში შესაძლებელია და ამ კუთხით მათ შეუძლიათ პოზიტიური როლის შესრულება. ამის მაგალითად მოყვანილი იქნა N16 დაწესებულება, სადაც პატიმრები სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო აქტივობებს აორგანიზებენ. თუმცა, რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ასეთი სახის ახლო თანამშრომლობა, ზოგადად მაინც ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს პატიმრების მხრიდან. მათი განმარტებით, სასურველია, რომ პატიმრები იყვნენ ჩართულნი დაწესებულების მართვის სპეციფიკურ კომპონენტებში, მაგალითად, სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებაში. რამდენიმე ყოფილმა პატიმარმა განაცხადა, რომ მათი ჩართულობა დაწესებულების მართვის პროცესში არცერთ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს.

> ***ყოფილი პატიმარი:*** *„N6 დაწესებულებაში ჩვენ ვაორგანიზებდით რაღაცეებს. თუმცა, პატიმარს რომ პატიმარი აღარ ჰქვია და მეორეზე მეტი უფლებები აქვს, ცოტა ისე გიყურებენ და შეიძლება ვერ გამოვიდეს ეგ“.*

ყოფილი პატიმარი: *„იცით, ბევრი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ. ძაან ბევრი საფიქრალი დრო აქვთ მაგათ და რატომ არ უნდა გამოიყენო ჭკვიანი პატიმრები მმართველობაში, მაგას ვერ ვხვდები, აუცილებელია ჩემი აზრით“.*

ყოფილი თანამშრომლების ერთი ნაწილის განმარტებით, პატიმრების ჩართვა დაწესებულების მართვის პროცესში შესაძლებელია. მათი განმარტებით, პატიმრებშიც არიან პოზიტიური ლიდერები და მათ ნაწილს შეუძლია ამ კუთხით შეასრულონ დადებით როლი. თუმცა, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პატიმრები დაიყოფიან კატეგორიების მიხედვით და არ ექნებათ ერთმანეთზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ამის მაგალითად, მოყვანილი იყო N16 დაწესებულება, სადაც ძირითადად ერთი კატეგორიის პატიმრები არიან განთავსებულნი (რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით ე.წ. „პატიოსნები“), რომლებიც სხვადასხვა სახის აქტივობებს აორგანიზებენ. ყოფილი თანამშრომლების ნაწილის შეფასებით, პატიმრების გამოყენება დაწესებულების მართვის პროცესში შესაძლებელია საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების დაორგანიზების ნაწილში და არავითარ შემთხვევაში, უსაფრთხობისა და წესრიგის უზრუნველყოფის ნაწილში. მათი განმარტებით, ეს უპირობოდ დაწესებულების ადმინისტრაციის ფუნქცია უნდა იყოს. თუმცა რესპონდენტების ნაწილის შეფასებით, პატიმრების გამოყენება დაწესებულების მართვის პროცესში საერთოდ არ უნდა ხდებოდეს.

ყოფილი თანამშრომელი: *„რატომაც არა. იგივე ფოკუს ჯგუფები გავაკეთოთ, თავისი აზრი გვითხრან, დავხვეწოთ. შეუძლიათ, აბა, რა, პოზიტიური როლის შესრულება, პოზიტიური ლიდერები გამოვკვეთოთ. ანუ, „მაყურებელი“ კი არ იყოს პოზიტიური ლიდერი, ვინც კაი ტიპია, განათლებულია, ის იყოს და ერქვას ფლიგელის ლიდერი“.*

ყოფილი თანამშრომელი: *„არა, ეს ვერაფრით ვერ იქნება წესრიგი, ეს არის ფსევდო წესრიგი, რომელიც აუცილებლად რაღაც ეტაპის შემდეგ იწვევს უკურეაქციას და სიტუაციის გაუარესებას, იმიტომ რომ, სანაცვლოდ ისინი რაღაცა ისეთს ითხოვენ, რომ შემდეგ ვალი და სესხი ვერ გასწორდება“.*

ექსპერტების შეფასებით, პატიმრების გამოყენება პენიტენციური დაწესებულების მართვის პროცესში შესაძლებელია, თუმცა მხოლოდ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ორგანიზების პროცესში მათი ჩართვის შემთხვევაში. რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, რეჟიმის უზრუნველყოფის ნაწილში, მათი ჩართვა არ შეიძლება, ამისთვის დღევანდელი სისტემა არ არის მზად და ამან შეიძლება პირიქით გამოიწვიოს არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერება. ვინაიდან, ისინი ამ როლს თავის ძალაუფლების გასაძლიერებლად გამოიყენებენ. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ შესაძლებელია პატიმრების თვითმმართველობების ჩამოყალიბება, თუმცა, ეს სამომავლო პერსპექტივაა და ამისთვის მანამდე სხვა ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

ექსპერტი: *„მე ვთვლი, რომ საქართველოს კონტექსტში არაფერ კარგს ეს არ მოგვიტანს. ერთადერთი, რაშიც შეიძლება პატიმარი ჩართო, ეს არის შიდა სწავლების პროცესი სარეაბილიტაციო ღონისძიებაში“.*

ექსპერტი: *„იდეაში, ესე რომ ვთქვათ, რაღაცა თვითმმართველი რგოლის გაჩენა, ვგულისხმობ პოზიტიურად და არა რაღაცა შავ-ბნელი მიზნებისთვის, არ უნდა იყოს ურიგო და სამომავლოდ შეიძლება, თუ სისტემა წავა სწორი რეფორმით, სუბკულტურის მაღალ იერარქიაზე მყოფი ტიპები ჩაანაცვლონ“.*

ე) ადგილობრივი პრაქტიკის კვლევის ძირითადი მიგნებები

➢ კვლევის შედეგები ცალსახად მიუთითებს, რომ თითქმის ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში (გარდა N16 დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულებისა) შეინიშნება პატიმრების დაყოფა გავლენის ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, პატიმართა იერარქიაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: ე.წ. „პალაჟენეცი“, რომელიც პატიმართა შორის ყველაზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს და იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ე.წ. „მაყურებლები“, რომლებიც განსხვავებული უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი დაკისრებული ფუნქციებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული ციხის ტერიტორიების მიხედვით. როგორც „პალაჟენეცი“, ისე ე.წ. „მაყურებლები“ ირჩევიან ე.წ. „კაი ბიჭების“ ჯგუფიდან. სწორედ „კაი ბიჭები“ ქმნიან მათ უახლოეს გარემოცვას და იზიარებენ სუბკულტურის იმავე ღირებულებებს. შემდეგ იერარქიულ საფეხურზე იმყოფებიან ე.წ. „მუჟიკები, „პატიოსნები“, რომლებიც შეადგენენ პატიმართა ძირითად მასას, არ ფიქრობენ ე.წ. „ქურდულ ცხოვრებაზე“, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ევალებათ ზედა ფენის მითითებების შესრულება, კიდევ უფრო ქვემოთ სუბკულტურის კიბეზე იმყოფებიან სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირები (უმეტესად მათ მოიხსენიებენ, როგორც ე.წ. „კაზიოლებს“), ცალკე ჯგუფს ქმნიან ე.წ. „გაქცეული“, „გადაკეტილი“ პატიმრები (პატიმართა ნაწილი მათ სხვადასხვა მასტიგმატიზებელი, შეურაცხმყოფელი ტერმინით მოიხსენიებს), შედარებით ახალ დაჯგუფებას წარმოადგენენ ე.წ. „ბანდიტები“, „ყაჩაღები“, „განგსტერები“, რომლებიც არ ემორჩილებიან ტრადიციულ ე.წ. „ქურდულ“ გავლენებს და ვერ

ეწერებიან წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციულ სუბკულტურულ იერარქიაში. თუმცა, ეს ჯგუფი, წარმოადგენს პატიმრების საკმაოდ მცირე ნაწილს. ბოლოს ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს განეკუთვნებიან ე.წ. „ქათმები“, რომლებიც დაწესებულებაში სრულიად უუფლებო ჯგუფს წარმოადგენენ და ძირითადად ეკისრებათ არაპრესტიჟული, სხვა პატიმრებისთვის „შეურაცხმყოფელი“ სამუშაოს შესრულება (საპირფარეშოს დალაგება, სხვისი თეთრეულის რეცხვა და ა.შ);

- კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იერარქიულ ჯგუფში მოხვედრა პატიმრის განვლილი ცხოვრების წესით ან/და რიგ შემთხვევებში ჩადენილი დანაშაულის ხასიათით არის განპირობებული და დაწესებულებაში შესვლის პერიოდისთვის კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია, რის შესახებაც ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც ადმინისტრაციისთვის, ისე პატიმრებისთვის ადვილად არის ხელმისაწვდომი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართალია, იერარქია ფაქტობრივად პატიმრის განვლილი ცხოვრებით უკვე განსაზღვრულია, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციის გაცვლა დაწესებულებების ადმინისტრაციასა და ე.წ. ავტორიტეტულ პატიმრებს შორის მაინც ხდება, რა დროსაც გათვალისწინებულია, როგორც გავლენის ჯგუფებს მიკუთვნებულობის, ასევე პატიმრის უსაფრთხოების საკითხიც. რაც შეეხება პატიმართა კონკრეტული ჯგუფის შიგნით განთავსებას, ეს საკითხი ძირითადად წყდება ცალკეული რეგიონისადმი კუთვნილების, რიგ შემთხვევაში კი უბნის ან სამეგობროს მიხედვით;

- კვლევამ ცხადყო, რომ ე.წ. „პალაჟენეცი“, „მაყურებელი“ დაწესებულებაში ვერ იარსებებს დაწესებულების ადმინისტრაციის მდუმარე თანხმობის ან უფრო მეტიც ხელშეწყობის გარეშე, რადგან იმ შემთხვევებში, თუ ის სრულად გავა ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ქმედების ფარგლებიდან და ადმინისტრაცია დაკარგავს მისი მართვის სადავეებს, დირექტორს ნებისმიერ დროს შეუძლია ე.წ. „მაყურებლის“ დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა და არსებული არაფორმალური მმართველის მოშორება დაწესებულებიდან. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ადმინისტრაციამ იცის მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში არსებული არაფორმალური გავლენების შესახებ და არსებული მდგომარეობა მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია;

- ინფორმაციის ანალიზით ასევე გაირკვა, რომ ე.წ. კრიმინალური სამყარო საკმაოდ ტოლერანტულია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ, უფრო მეტიც უმცირესობის წარმომადგენლობა ე.წ. „კრიმინალური კარიერის“ კუთხით, არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, თუმცა, ამის საპირისპიროდ ნებისმიერი გავლენის ჯგუფის მხრიდან უდიდეს წნეხს განიცდიან სექსუალური უმცირესობები, ან ის პატიმრები, რომლებიც ავტორიტეტული პატიმრების გადაწყვეტილებით უფლებრივად ამ ჯგუფს გაუთანაბრდნენ და ე.წ. „ქათმებთან“ ერთად არიან განთავსებულნი. იერარქიული თვალსაზრისით მათ ფაქტობრივად ვერანაირ უფლებაზე პრეტენზია ვერ ექნებათ. ხშირად ამგვარი უუფლებო მდგომარეობა ვიზუალურ გამოვლინებასაც ჰპოვებს და პატიმრებს ევალებათ სპეციალური ამოსაცნობი ნიშნის ტარება ხელზე ან ფეხზე მიმანიშნებელი სახვევის გაკეთების ფორმით. ამგვარი მიდგომა სრულიად მიუღებელია, ქმნის უდიდეს სტიგმას ამ ჯგუფის მიმართ და იწვევს მის სრულ მარგინალიზებას;

- ასევე გამოიკვეთა, რომ სუბკულტურული გავლენის ჯგუფის წევრობა არ არის მყარი, მუდმივი და ეს მდგომარეობა გარკვეული შემთხვევის, მიღებული ინფორმაციის ან მომხდარი ინციდენტის შედეგად შესაძლოა მარტივად შეიცვალოს. კერძოდ, შესაძლოა ძალიან სწრაფად მოხდეს პატიმრის ე.წ. „ჩამოქვეითება“, თუმცა, ზედა საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა უფრო რთულად განხორციელებადია და ყველა კატეგორიისთვის შესაძლებელი არ არის. შიდა იერარქიის ცვლილებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას „პალაჟენეცი“ და „მაყურებლები“ ერთობლივად იღებენ. ამგვარი გადაწყვეტილებების შესრულება და მათდამი დამორჩილება ყველა პატიმრისთვის სავალდებულოდ ითვლება;

- კვლევამ ასევე ნათლად წარმოაჩინა, რომ საკვლევი პერიოდისთვის ე.წ. ავტორიტეტულ პატიმრებს ჰქონდათ სხვა პატიმრებისგან განსხვავებული საცხოვრებელი პირობები, როგორც საკნის მოწყობის, ასევე უფლებრივი მდგომარეობის (პაემნები, სატელეფონო ზარები, ამანათები, დაწესებულებაში დაშვებული ნივთები, გადაადგილების უპირატესი შესაძლებლობა) თვალსაზრისითაც, რაც ასევე ვლინდებოდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ფაქტობრივად შეუზღუდავი და დაუბრკოლებელი კავშირის შესაძლებლობაშიც, არსებული ფორმალური პროცედურების დაცვის გარეშე;

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მაღალი იერარქიის გავლენის ჯგუფებში მოხვედრის მთავარ მოტივატორს პატიმრებისთვის წარმოადგენს ძალაუფლებისა და პრივილეგიების მოპოვება პენიტენციურ დაწესებულებაში, ნაწილისთვის განმაპირობებელია დაცულობის, უსაფრთხოების შეგრძნება, პატიმართა გარკვეული ჯგუფი კი (უმეტესად ახალგაზრდები და არასრულწლოვნები) ასე იქცევა მიმბაძველობით, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში არჩევანი არც ისე ფართოა და ისინი არჩევენ გარკვეული როლის მორგებას, რათა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მოიპოვონ უსაფრთხოება და გაიუმჯობესონ სასჯელის მოხდის პირობები. ახალგაზრდებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ე.წ. კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული აქტიური აგიტაცია, რომლის ფარგლებშიც ავტორიტეტები ცდილობენ ახალგაზრდების „გადაბირებას“;

- რაც შეეხება პატიმართა პროცენტულ შემადგენლობას, რესპონდენტთა მიერ მოწოდებულ ვარაუდზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ე.წ. „მაყურებლები“ და „კაი ბიჭები“ ციხის პოპულაციის მაქსიმუმ 20%-ს შეადგენენ, ყველაზე დიდი რაოდენობით დაახლოებით 70%-ი არიან ე.წ. „პატიოსნები“, ხოლო ქვედა ფენა (ე.წ. „კაზიოლები“, „ქათმები“) ქმნის პატიმართა მაქსიმუმ 10-20%-ს;

- კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ გარკვეული განსხვავება სუბკულტურული ჯგუფების გავლენის კუთხით შეინიშნება დახურული და ღია ტიპის დაწესებულებებს შორის. რაც შეეხება N16 დაწესებულებას, აქ გავლენის ჯგუფებად დაყოფა არ ხდება იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში ძირითადად ერთი კატეგორიის პატიმრები არიან თავმოყრილნი, „პალაჟენეცის“ არსებობა არ დადასტურდა ასევე N8 (გლდანის) დაწესებულებაში. განსხვავებულია სიტუაცია ქუთაისის N2 დაწესებულებაში, სადაც მიუხედავად დახურული ტიპისა, კრიმინალური სუბკულტურის გავლენები მძლავრია. რაც შეეხება ღია ტიპის დაწესებულებებს, ცხადი გახდა, რომ როგორც სხვადასხვა ჯგუფების არსებობა, ასევე მათი მართვაზე ზეგავლენა ყველაზე მეტად სწორედ ამ ტიპის დაწესებულებებშია თვალსაჩინო. გარკვეული სპეციფიკა გამოიკვეთა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაშიც, სადაც ცხადი გახდა, რომ კრიმინალური სუბკულტურული წესების ზედმიწევნით არცოდნის გამო, ადგილი აქვს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც არ ითვლება მიღებულად სხვა დაწესებულებებში, თუმცა, ეს განაპირობებს იმ სამწუხარო ფაქტსაც, რომ სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადასვლის შემდეგ ხშირად არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს „პასუხს სთხოვენ“ ამა თუ იმ ქმედების გამო;

- როგორც კვლევიდან ირკვევა, მთელი რიგი მიმართულებებით ე.წ. „მაყურებლებს“ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ დაწესებულების მართვაზე, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი დაწესებულების ფუნქციონირების სხვადასხვა სეგმენტზე, კერძოდ, ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, პატიმრის მიღება-განთავსების პროცესზე, გასაჩივრების პროცედურაზე, პატიმრებს, ასევე პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის წარმოქმნილი კონფლიქტების გადაჭრის მიმართულებით, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის პროცესზე, გარკვეული დოზით ერევიან სამედიცინო სერვისის მიღების, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობისა და პროტესტის ისეთი ფორმის გამოხატვის ნაწილში, როგორიც არის შიმშილობა;

- კვლევამ ცხადყო, რომ ე.წ. „მაყურებლები“, ფაქტობრივად, ასრულებენ მედიატორის, შუამავლის ფუნქციას ადმინისტრაციასა და სხვა პატიმრებს შორის. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამგვარი არაფორმალური დაყოფა არსებობს, ფაქტობრივად, ადმინისტრაციის ოფიციალური ან არაოფიციალური თანხმობით და ამ კავშირის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციასა და მაყურებლებს შორის ურთიერთსარგებლის მიღების შესახებ არსებული შეთანხმება. კერძოდ, ადმინისტრაცია ამ კავშირის საშუალებით იღებს სიმშვიდესა და სიწყნარეს დაწესებულებაში, თავიდან იცილებს დაწესებულების პრობლემების გასაჯაროებას, ამის შესახებ ინფორმაციის გასვლას დაწესებულების ფარგლებს გარეთ (რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანამდებობას), სანაცვლოდ კი ე.წ. „მაყურებლები“ იღებენ სხვადასხვა სახის სარგებელსა და შეღავათებს;

- როგორც მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გახდა ცნობილი, პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის ერთი შეხედვით მშვიდი და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობაა, თუმცა გამოიკვეთა, რომ მაშინვე, როდესაც თანამშრომელთა და გავლენიან პატიმართა ინტერსი არ დაემთხვევა და ძალის დემონსტრირება გახდება საჭირო, პატიმრები დაუფიქრებლად უპირისპირდებიან თანამშრომლებს და ხშირად ეს საკმაოდ მძიმე ფორმითაც ხორციელდება;

- ხშირ შემთხვევაში თანამშრომლები პატიმრებთან ერთად ქმნიან ინსტიტუციურ კულტურას პენიტენციურ დაწესებულებაში, ისინი იმეორებენ იმ მასტიგმატიზებელ ვერბალურ შეფასებებს, რომლებსაც პატიმართა ერთი ჯგუფი იყენებს მეორის მიმართ, ხშირად იცავენ იმ წესების ნაწილსაც, რომელიც სუბკულტურული მიდგომებით არის განსაზღვრული. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვების მოტივაციად ღიად არ ასახელებენ ინსტიტუციურ კულტურას და ამ ტიპის ქცევას სხვადასხვა, მათი მოსაზრებით, უფრო რაციონალურ და ლოგიკურ ახსნას უძებნიან;

- როგორც კვლევამ აჩვენა, პენიტენციური დაწესებულების მართვაში გავლენიანი პატიმრების ჩართულობას (განსაკუთრებით ღია და რიგ დახურული ტიპის დაწესებულებებში) არცერთი რესპონდენტი უარყოფს, მეტიც, ამ გავლენას გამოკითხულთა უმრავლესობა 5 ქულიანი სისტემიდან 4-5 ქულით აფასებს. სხვა რესპონდენტები მათი ჩართულობის უფრო დაბალ ხარისხზე საუბრობენ, თუმცა, გარდა N16 და N8 დაწესებულებებისა, ჩართულობის ნულოვან ან ძალიან მცირე მაჩვენებელზე არავინ მიუთითებს;

- კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არსებობს პატიმართა ნაწილის სამართავად გავლენიანი პატიმრების არაფორმალური რესურსის გამოყენების პრეცედენტებიც, როდესაც ცალკეულ პრობლემურ პატიმრებთან ურთიერთობისთვის დაწესებულება იყენებს სხვა მსჯავრდებულებს;

- რაც შეეხება პატიმრებს შორის ურთიერთობას, აშკარაა, რომ მათ შორის უთანასწორო ურთიერთობაა, ქვედა და საშუალო იერარქიის საფეხურზე მყოფი პატიმრები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მაღალი იერარქიის საფეხურზე მყოფი პატიმრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ მიერ განსაზღვრულ წესებს, მათ არ აქვთ აღნიშნული გადაწყვეტილებების გაპროტესტებისა და მათ დამორჩილებაზე უარის თქმის უფლება. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, რაც უფრო მაღალია პატიმრის გავლენა, მით უფრო აქტიურად შეუძლია მას არ დაემორჩილოს მის მიერვე სხვებისთვის დადგენილ წესებს, ფაქტობრივად, მას შეუძლია არსებული მაღალი სტატუსის ხარჯზე მიიღოს ინდულგენცია სუბკულტურული წესების დარღვევაზე და ამაზე პასუხსაც ვერავინ მოსთხოვს;

- ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ცხადი გახდა, რომ ე.წ. „ქურდული წესები“ არ არის სრულად სტატიკური და შესაძლებელია მათი ნაწილი შეიცვალოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტემის, ხელისუფლების მიდგომებისა და მმართველობის ტიპის შესაბამისად. კერძოდ, დროის გარკვეულ მონაკვეთში შესაძლოა დაშვებული გახდეს ისეთი ქმედება, რაც ადრე იკრძალებოდა ან პირიქით, მოგვიანებით აიკრძალოს ის, რაც გარკვეულ პერიოდში დაშვებული იყო. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ სუბკულტურული წესები განიცდის ადაპტაციას და ერგება ქვეყანაში არსებულ რეალობასა და საჭიროებებს, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს ამ სისტემის მდგრადობის ერთ-ერთ მნიშნელოვან განმაპირობებელს. ამ სამყაროს წარმომადგენლები ცდილობენ, გარკვეულწილად მოარგონ მათი წესები საზოგადოების განვითარებასა და ევოლუციასაც, რათა ამ აზროვნებამ არ დაკარგოს მიმზიდველობა ახალგაზრდებს შორის და არ იქცეს ძალიან მძიმე, აკრძალვებზე დაფუძნებულ ტვირთად, რომელში ჩართვის სურვილიც ე.წ. „მომავალს“ აღარ ექნება.

- კვლევამ ცხადყო, რომ კრიმინალური სუბკულტურა წარმოადგენს ძალადობის წყაროს. კერძოდ, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკომონიკური ძალადობის იარაღს. ფიზიკურ ძალადობას ძირითადად ადგილი აქვს დასჯის მიზნით და მიზნად ისახავს ერთი ჯგუფის მიერ პატიმართა მეორე ჯგუფის დამორჩილებას ან გარკვეული დარღვევის გამო მათი სტატუსის შეცვლას, ჩამოქვეითებას. გამოკითხული რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ხშირად ადმინისტრაციას ან არ აქვს ინფორმაცია ამგვარი დაპირირსპირებების შესახებ, ან ცალკეულ შემთხვევებში შეგნებულად იჩენს უმოქმედობას კონფლიქტების განმუხტვასთან დაკავშირებით;

- რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ძალადობას, ზემოქმედების ეს ფორმა განსაკუთრებით ხშირია და გულისხმობს პატიმრების იძულებას მათი სურვილის წინააღმდეგ შეასრულონ გარკვეული ქმედებები, მაგალითად, მონაწილეობა მიიღონ გარკვეული ფორმის პროტესტის გამოხატვაში, „საერთოს“ შეგროვებაში, დაემორჩილონ სუბკულტურის წესებსა და აკრძალვებს. თუ რომელიმე პატიმრის მხრიდან ამგვარი მორჩილება არ ხდება, იმ შემთხვევაშიც გამოიყენება ფსიქოლოგიური ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა გარიყვა, იგნორირება, შესაძლოა საქმე ფიზიკურ ძალადობამდეც მივიდეს;

- კიდევ ერთი განსაკუთრებით გავრცელებული ძალადობის ფორმაა ეკონომიკური ძალადობა. ამ ტიპის ზემოქმედება ძირითადად გამოიხატება ე.წ. „საერთოს“ შეგროვებაში, რაც რიგ შემთხვევებში, გულისხმობს ბარათზე თანხის ჩარიცხვას, უფრო ხშირად კი მოიაზრებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შეგროვებას და მის განთავსებას „მაყურებლის“ ზედამხედველობის ქვეშ, ე.წ. „სატასაოში“. „საერთოს“ განკარვა ხდება როგორც გაჭირვებული პატიმრების დახმარების მიზნით, ასევე, რიგ შემთხვევებში, წარმოადგენს ვაჭრობისა და შემოსავლის მიღების წყაროს ავტორიტეტული პატიმრებისთვის. „საერთოში“ მონაწილეობაზე უარის თქმა იწვევს გარიყვას, საჭიროების შემთხვევაში, სხვა პატიმრების მხარდაჭერის მიღებას და სხვა. გარდა ამისა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არის ასევე საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ამ ე.წ. „საერთოს“ რეალიზაციისგან შემოსავლის მიღების პროცესში, ადმინისტრაცია კორუფციულ გარიგებაშია, პატიმართა გავლენიან ჯგუფის წევრებთან;

- ცალკეულ შემთხვევებში რესპონდენტებმა ისაუბრეს სექსუალური ძალადობის შემთხვევებზეც, თუმცა გამოიკვეთა, რომ საკვლევ პერიოდში პატიმრებს შორის ძალადობის ეს ფორმა არ წარმოადგენდა სისტემურ პრობლემას;

- კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ის ძალადობრივი გარემო, რომელიც იქმნება პატიმრებს შორის სუბკულტურული წესებისა და გავლენების შედეგად, მნიშვნელოვან კვალს ტოვებს პატიმრების ფიზიკურ, თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მუდმივად უწევდა ფიქრი იმაზე, რომ რამე არ შეშლოდა, ვინმესთვის არ მიეცა კონფლიქტისა და დაპირისპირების საფუძველი. ხშირად, არსებული სტრესული და ანტაგონისტური გარემო იწვევს პატიმრებში შფოთვის, დაძაბულობის მატებას, ისინი მუდმივად არიან ზეწოლისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ;

- მართვაში პატიმართა ჩართულობასთან დაკავშირებით პატიმართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ შეუძლიათ ლეგიტიმურად, გარკვეული საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ ციხის მართვის კომპონენტში, მეორე ნაწილი ამგვარ საქმიანობას შეუძლებლად მიიჩნევს და ვერც ამის საჭიროებას ხედავს. ამ მიმართულებით აზრი გაიყო სხვა რესპონდენტებს შორისაც, ექსპერტებისა და ყოფილი თანამშრომლების ნაწილი მიიჩნევს, რომ პატიმართა მმართველობაში მონაწილეობა შესაძლებელია, თუმცა კატეგორიულად გამორიცხავს მათ ჩართვას უსაფრთხოების, წესრიგისა და ზოგადად არსებული სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფის ნაწილში. მათი აზრით, ეს შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული სარეაბილიტაციო საქმიანობის მხარდაჭერისა და პატიმართა ამ მიმართულებით მობილიზების თვალსაზრისით. რესპონდენტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პატიმართა მმართველობაში ჩართვა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს ზრდის მათი გავლენების გაფართოების, არეულობისა და დაძაბულობის საფრთხეს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ა) კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ფენომენი

საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის დამახასიათებელია გარკვეული სახის არაფორმალური წესების აღიარება. კრიმინალური სუბკულტურის ფარგლებში ჩამოყალიბებული ე.წ. „პატიმართა კოდექსი“ სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავდება თავისი შინაარსის, ფორმისა და გავლენების მიხედვით. არსებობენ, ე.წ. „მტაცებლური“ ან „გადარჩენაზე ორიენტირებული“ კრიმინალური სუბკულტურები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კრიმინალური სუბკულტურა ხასიათდება რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. ასეთივე სახის სისტემები დამახასიათებელია სხვა ქვეყნის პენიტენციური დაწესებულებებისთვისაც. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კრიმინალურ სუბკულტურას მსგავსი ნიშნები ნაკლებად ახასიათებს და ის ძირითადად აგებულია სხვა ტიპის ურთიერთობებზე, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და იცვლიდა სახეს. საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სუბკულტურა, საბჭოთა პერიოდში, ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში ჩამოყალიბებული სისტემის მემკვიდრეა. ზუსტად ამიტომაც მას არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი ნიშანი. მართალია, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ეთნიკური და კუთხური ნიშნით საკნებში პატიმრების განთავსება საკმაოდ მიღებული ფორმაა, თუმცა სუბკულტურაში არსებული წესები ყველასთვის საერთოა. ქართულ ციხეებში დამკვიდრებული სუბკულტურა, იქ არსებული იერარქიები, წლების მანძილზე განიცდიდა ევოლუციას. არსებული არაფორმალური წესები არ არის სტატიკური და მათ ახასიათებთ მუტაციის უნარი. ამჟამად ჩამოყალიბებული სუბკულტურა, შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც „მტაცებლური“, ასევე „გადარჩენაზე ორიენტირებული“ სისტემა. სხვადასხვა დოზით, მას ეს ორივე ნიშანი ახასიათებს.

საბჭოთა სისტემის რღვევის შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესები განიცდიდა ცვლილებებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკის შესაბამისად და ცდილობდა მორგებოდა შექმნილ რეალობას. განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამოაყალიბა კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული იერარქიებისა და წესების არაერთგვაროვანი აღქმა პატიმართა სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან, რაც ხელისუფლების ხელში საკმაოდ მძლავრი იარაღია ციხეებში არსებული სტერეოტიპების შეცვლის კუთხით. საქართველოში დღეს არსებულ ამ ფენომენს სხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებული ციხეების სუბკულტურებისგან ერთი მნიშვნელოვანი გარემოება განასხვავებს. კრიმინალური სუბკულტურის ეს ფორმა, საბჭოთა პერიოდში, პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა ციხეების („გულაგების“) შიგნით და მხოლოდ შემდგომ გავრცელდა საზოგადოებაში. მოხდა სუბკულტურული აზროვნების საზოგადოებაში გავრცელება და მისი არასასურველი პოპულარიზაცია, რაც გარკვეულწილად ინერციით დღემდე გრძელდება. აქედან გამომდინარე, ამ ფენომენთან გამკლავება მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სუბკულტურასთან ბრძოლა მოითხოვს სახელმწიფოს ერთიან მიდგომას, სისხლის სამართლისა და პრევენციული პოლიტიკის მნიშვნელოვან რეფორმირებას. თუმცა, არსებულ სიტუაციაშიც სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს პენიტენციური სისტემის ფარგლებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირება დაწესებულების მართვაზე, რაც უზრუნველყოფს კრიმინალური სუბკულტურისგან თავისუფალი გარემოს შექმნას პატიმართა უმრავლესობისთვის.

რეკომენდაცია:

- **ჩამოყალიბდეს კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც უნდა მოექცეს სისხლის სამართლისა და დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში. სტრატეგიის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია როგორც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების, ასევე შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალების ჩართულობის უზრუნველყოფა;**
- **ერთიანი პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს უწყებათაშორის თანამშრომლობას, სადაც უწყებებს განსაზღვრული ექნებათ საკუთარი როლი და ფუნქციები. მულტიუწყებრივი თანამშრომლობა გააერთიანებს როგორც საგანმანათლებლო და სოციალური დაცვის სისტემებს, ასევე სამართალდამცავ ორგანოებსა და პენიტენიცურ სისტემას.**

ბ) დიდი ზომის ციხეები

სხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზი გვაჩვენებს, რომ კრიმინალური სუბკულტურის, არაფორმალური ჯგუფების გავლენები, განსაკუთრებით მძლავრია დიდი ზომის, ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც პატიმართა რაოდენობა დიდია. მაგალითად, ციხის ბანდიტური დაჯგუფებები ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 1950-იანი წლებიდან გამოჩნდნენ, როდესაც ციხის კონტიგენტი წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა. მსგავსი რამ მოხდა ბრაზილიაშიც 1990-იან წლებში. სამხრეთ აფრიკაში კი აპართეიდის რეპრესიულმა პოლიტიკამ წარმოშვა საოცრად მძლავრი ციხის ბანდა, რომელიც სამხრეთ აფრიკის ციხეთა სისტემაში დღესაც არსებობს. ეს პროცესები შეგვიძლია შევადაროთ საბჭოთა „გულაგების“ სისტემას, სადაც პატიმრების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია სუბკულტურის ფორმირება და გაძლიერება. ზუსტი პარალელის გავლება ზემოთ მითითებულ სისტემებთან სწორად არ მიგვაჩნია, თუმცა ქართულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ დიდი ზომის ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც 1000-ზე მეტ პატიმარს ერთმანეთთან ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს, სიტუაციის კონტროლი საკმაოდ გართულებულია. განსაკუთრებით რთულია დაწესებულების მართვა, როდესაც სრული დისბალანსია პატიმართა და თანამშრომელთა რაოდენობას შორის, რაც დღეს დამახასიათებელია თითქმის ყველა პენიტენციური დაწესებულებისთვის საქართველოში. შესაბამისად, ციხეებში, უსაფრთხოების შიდა სისტემის კონტროლის ძირითადი ტვირთი გადადის რიგით თანამშრომლებზე, რომლებმაც პატიმრებთან ყოველდღიური ურთიერთობით, დინამიური უსაფრთხოების ელემენტების გამოყენებით, უნდა შეძლონ პროცესების მართვა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ეს ფაქტობრივად გადაუჭრელი ამოცანაა და ასეთ პირობებში სუბკულტურული გავლენები დაწესებულებებში კიდევ უფრო მძლავრია, შესაბამისად, ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს უჩნდებათ ცდუნება, დაწესებულების მართვა პატიმრების გამოყენებით განახორციელონ. დაწესებულებებში, სადაც დიდი რაოდენობით პატიმრებს ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ, მხოლოდ სტატიკური უსაფრთხოების სისტემა (მაგ. ვიდეო კონტროლი), ვერ უზრუნველყოფს კონტროლის განხორციელებას. იმ ტიპის დაწესებულებებში კი, სადაც ტერიტორია სექტორებად, ფლიგელებად იყოფა, ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი სივრცეები (მაგ. ეზო, სპორტული მოედანი), სექტორებს/ფლიგელებს შორის პატიმრებს არ აქვთ ერთმანეთთან კონტაქტი, სტატიკური უსაფრთხოების სისტემა (ინფრასტრუქტურა) ბევრად უფრო ამარტივებს შიდა პროცესების მართვას. შესაბამისად, დიდი ზომის დაწესებულებები, სადაც შესაძლებელი არ არის ინფრასტრუქტურული დაყოფა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

თუმცა, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მცირე ზომის დაწესებულებები და დახურული ტიპის ინსტიტუციები ცალკე აღებული, არ წამოადგენს დაწესებულებაში არაფორმალური ჯგუფების გავლენების აღმოფხვრის გარანტს. ეს პირდაპირ არის დამოკიდებული ასევე დაწესებულების მენეჯმენტის უნარებსა და დაწესებულების შიგნით არსებულ ინსტიტუციურ კულტურაზე. კვლევის რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ქუთაისის დახურული ტიპის დაწესებულებაში ადმინისტრაციის ხელშეწყობით, პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ეძლეოდათ. თუმცა კვლევამ, დაწესებულების მართვის კუთხით პოზიტიური გამოცდილებაც წარმოაჩინა, კერძოდ N16 დაწესებულება, რომლის ზომა, პატიმართა (მაქსიმუმ 200), თანამშრომელთა რაოდენობა და დაწესებულებაში არსებული სივრცეები, იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას კრიმინალური სუბკულტურისგან თავისუფალი გარემო.

ციხეების მშენებლობა, მაღალი უსაფრთხოების სისტემების გამო, საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების მშენებლობების ან/და არსებული დაწესებულებების მოდიფიცირების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, სუბკულტურის გავლენების შემცირებისკენ მიმართული რეფორმა აუცილებლად უნდა განვიხილოთ ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ფარგლებში. დღესდღეობით, პენიტენციური სისტემაში განთავსებულია 10 000 მდე პატიმარი, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე საკმაოდ მაღალია. მნიშვნელოვანია გადაიდგას ნაბიჯები არასაპატიმრო ღონისძიებების განვითარებისა და ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც პატიმართა რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს. ასეთი სახის ნაბიჯები არ უკავშირდება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესუსტებას და არ გამორიცხავს კრიმინალის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის არსებობას. ზემოთ მითითებული ცვლილებები შეამცირებს სახელმწიფოს ფინანსურ ტვირთს, შესაძლებელს გახდის განხორციელდეს პატიმართა კლასიფიკაცია და დაწესებულებებში რისკების მიხედვით განთავსება, შექმნის ბევრად უსაფრთხო გარემოს, როგორც პატიმრებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის და შეამცირებს კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური ჯგუფების გავლენას დაწესებულების მართვაზე.

რეკომენდაცია:

- **მიზანშეწონილია მთავრობამ ჩამოყალიბოს პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის მოდიფიცირების მკაფიოდ განსაზღვრული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გეგმა;**
- **ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა უნდა იყოს ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილი, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება არასაპატიმრო სასჯელებისა და ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემის დახვეწასა და განვითარებაზე;**
- **განხორციელდეს პატიმართა კლასიფიკაცია რისკების მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნება მათი სუბკულტურასთან მიკუთვნებულობა, რათა გამოირიცხოს პატიმართა ერთი ჯგუფის გავლენა სხვა ნაკლები რისკის მქონე პატიმრებზე.**

გ) პატიმართა ჩართულობა დაწესებულების მართვის პროცესში

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელდა მცდელობები პატიმართა ჩართულობა გამოეყენებინათ, დაწესებულების მართვის პროცესში, თუმცა ამ კუთხით წარმატებული მაგალითების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება. საქართველოში დაწესებულებების მართვის პრაქტიკის კვლევა ცხადყოფს, რომ პატიმართა ჩართვა მართვის პროცესში, თუკი ამას სამართლებრივ ჩარჩოებში მოავქცევთ, არათუ არ შეცვლის არსებულ სიტუაციას, არამედ უფრო გააძლიერებს არაფორმალური ჯგუფების გავლენას. სასურველია ადმინისტრაციასთან კოორდინირებულად განხორციელდეს პატიმართა ჩართულობა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო, კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით, თუმცა, კატეგორიულად მიუღებელია მათი მონაწილეობა დაწესებულებაში რეჟიმისა და წესრიგის უზრუნველყოფის კუთხით. ცხადია, არ არის რეკომენდებული პატიმრების სრულად მოწყვეტა დაწესებულების ფუნქციონირების ყოველდღიური პროცესებისგან და ყველა გადაწყვეტილების მათთან კომუნიკაციის გარეშე მიღება, რადგან ისინი თანამშრომლების მსგავსად არიან ციხის საზოგადოების/თემის წევრები და თითოეული გადაწყვეტილება მათ ცხოვრებისეულ რუტინას ეხება. შესაბამისად, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ადმინისტრაციას მიაწოდოს ნებისმიერი სახის მოსაზრება და ინფორმაცია საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. დაწესებულების ადმინისტრაციის მნიშვნელოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, რომ ყველა პატიმარს თავისუფლად ჰქონდეს ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა, მედიატორების („მაყურებლების“) გარეშე. თუმცა, დაწესებულების მართვის ისეთი სახის ელემენტები, რომლებიც უკავშირდება პატიმართა უსაფრთხოებასა და დაწესებულებებში წესრიგის შენარჩუნებას, ექსკლუზიურად დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილებას და ვალდებულებას უნდა განეკუთვნებოდეს.

რეკომენდაციები:

- **უზრუნველყოფილი იყოს ციხის პერსონალის თანაბარი ხელმისაწვდომობა და დამოკიდებულება პატიმართა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ;**
- **ჩამოყალიბდეს დაწესებულების ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის კომუნიკაციის მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს კრიმინალურ სუბკულტურაში არსებულ იერარქიულ დამოკიდებულებას, პატიმართა არაფორმალურ გავლენებს და შესაძლებლობას აძლევს ყველა პატიმარს განახორციელოს თვითმმართველობის ლეგიტიმური კომპონენტი მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიმართულებით, რაც ძირითადად მოიაზრებს საგანამანათლებლო-სარეაბილიტაციო ინიციატივებს.**

დ) მატერიალური რესურსების დეფიციტი

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესურსების დეფიციტი პირდაპირ უკავშირდება საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებსაც, კერძოდ, ტანსაცმლის არქონა, ჰიგიენურ საშუალებებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა. პატიმრების შესაბამისი მატერიალური პირობებით უზრუნველყოფა ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებაა. მაგალითად, ყირგიზეთის პენიტენციური დეპარტამენტის ბიუჯეტი პენიტენციური სისტემის საჭიროებების მხოლოდ 35%-ს აკმაყოფილებდა, შესაბამისად, პატიმრები იძულებულნი იყვნენ, საკვების, უსაფრთხოებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ერთმანეთზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. თუ შევხედავთ, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებულ სიტუაციას, ცხადად ჩანს, რომ მსგავის სახის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, ე.წ. „საერთოს“ შეგროვებამ ნაწილობრივ მოდიფიცირება განიცადა და ამჟამად უკავშირდება სხვადასხვა ტიპის პროდუქტების იძულებით შეგროვებას პატიმრების მხრიდან. კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ პატიმრების მიერ შეგროვილი პროდუქცია, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში უნაწილდებოდეს სხვა, უქონელ პატიმრებს (ე.წ. „ბედალაგებს“), რითაც სუბკულტურა გარკვეულწილად ანაცვლებს ადმინისტრაციის ფუნქციას და ქმნის „საერთოს“ შეგროვების მოჩვენებითად კეთილშობილურ საფუძველს, შესაბამისად, ასაზრდოებს ერთ-ერთ ყველაზე მანკიერ და ძველ სუბკულტურულ ტრადიციას, რაც მუხედავად შენიღბვისა, რეალურად ემსახურება კრიმინალური ავტორიტეტებისა და მათთან დაკავშირებული პირების ფინანსურ უზრუნველყოფას.

რეკომენდაცია:

- **ხელისუფლებამ უზრუნველყოს პენიტენციური დაწესებულებების მომარაგება ყველა პატიმრისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური საშუალებებით, რისი მიწოდებაც კანონმდებლობის შესაბამისად მის ვალდებულებას წარმოადგენს;**
- **აღმოფხვრას არაფორმალური გავლენები, რომლებიც ე.წ. ავტორიტეტებთან დაახლოებულ პირებს უქმნის დაწესებულებებში ცალკეული პრობლემების გადაჭრის უფრო ხელსაყრელ პირობებს და პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს სხვა პატიმრებთან შედარებით.**

ე) ეკონომიკური ძალადობა, ე.წ. „საერთო“

კვლევამ ასევე გამოკვეთა სხვა სახის საგანგაშო ნიშნებიც, რომელიც ე.წ. „საერთოს“ შეგროვებას უკავშირდება. გამოიკვეთა ორი სახის ტენდენცია - ერთი, როდესაც დაწესებულების ტერიტორიაზე გროვდება გარკვეული სახის პროდუქცია და მეორე, როდესაც „საერთოს“ შეგროვება ხორციელდება, მაგალითად „აჭარაბეთის“ და მსგავსი სახის ელექტრონული ბარათების ანგარიშებზე. აშკარად გამოიკვეთა, რომ ე.წ. „საერთოსგან“ მიღებულ შემოსავალს, უმეტეს შემთხვევაში ინაწილებენ კრიმინალური ავტორიტეტები, ასევე, რიგ შემთხვევებში, იკვეთება ციხის ადმინისტრაციის ან/და თანამშრომლების სავარაუდო კორუფციული ინტერესებიც. რესპონდენტების ნაწილის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ პროცესში ჩართულია დაწესებულების ადმინისტრაცია. ლოგიკურადაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია მსგავსი პროცესების შესახებ ციხის მენეჯმენტს ინფორმაცია არ ჰქონდეს. სწორედ ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა ამ პროცესში ზოგიერთი დაწესებულების თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფებიც არიან ჩართულნი. გარდა ამისა, შეიძლება დანამდვილებით აღინიშნოს, რომ ე.წ. „საერთოს“ შეგროვების პროცესში პატიმრების დიდი ნაწილის ჩართულობა ფაქტობრივად იძულებით ხდება და ეს წარმოადგენს პატიმრებს შორის ძალადობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. თუ პატიმართა ნაწილი უარს აცხადებს ე.წ. „საერთოში“ მონაწილეობაზე, ეს პირდაპირ უკავშირდება მათი პირადი უსაფრთხოების საკითხებს.

რეკომენდაცია:

- **სამართალდამცავ ორგანოებს შორის უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზით, ჩამოყალიბდეს, ე.წ. „საერთოს“, როგორც კრიმინალური სუბკულტურის ერთ-ერთ მექანიზმთან ბრძოლის სტრატეგია და გადაიდგას ნაბიჯები ამ მიმართულებით;**
- **დაწესებულებების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პატიმართა უსაფრთხოება, რათა საერთოში მონაწილეობის მოტივაციას არ წარმოადგენდეს გავლენიანი პატიმრების ზეწოლისაგან თავის არიდება და საჭიროების შემთხვევაში ე.წ. მაყურებლების მხარდაჭერის მოპოვება.**

ვ) პერსონალის უფლებრივი მდგომარეობა

პენიტენციური დაწესებულებების მართვისთვის საჭიროა კვალიფიციური პერსონალი. იმისათვის, რომ დაწესებულების პერსონალმა შეძლოს წარმატებული მუშაობა, აუცილებელია - მათი განგრძობადი გადამზადება. მნიშვნელოვანია თანამშრომლებმა ზუსტად იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობები. მიეცეთ შესაძლებლობა შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები და ჰქონდეთ დაწესებულებაში მუშაობის გარკვეული სახის გამოცდილება. ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებებში პერსონალს განსაზღვრული აქვს გარკვეული სახის ფუნქციები, თუმცა იგი არ მოიცავს დეტალურ ინსტრუქციებს კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებასთან დაკავშირებით. კანონმდებლობაში ასახულია მხოლოდ ზოგადი დებულებები. ამავდროულად დაწესებულების პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად იმოქმედოს და მიიღოს გარკვეული სახის გადაწყვეტილებები, თუმცა კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ ციხეებში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მკაცრად ვერტიკალური სისტემაა. კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებისას, დაწესებულების პერსონალი ხელმძღვანელობს არა კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით, არამედ ციხის მენეჯმენტის, ძირითადად დირექტორის მიერ მიცემული მითითებებით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პერსონალზე თავდასხმებსა და მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას არცთუ იშვიათი ხასითი აქვს. გამოიკვეთა უამრავი შემთხვევა, როდესაც მსგავს ფაქტებზე ადმინისტრაცია ან საერთოდ არ რეაგირებდა, ან ბრალს თანამშრომელს სდებდა და მისი რეაგირება არ იყო შესაბამისი იმ გადაცდომისა, რაც პატიმრის მხრიდან განხორციელდა. ადმინისტრაციის მიერ ლეგიტიმური ზომების გამოყენებაზე უარის თქმა შეიძლება ისეთივე სახიფათო აღმოჩნდეს, როგორც უფლებამოსილების გადამეტება, თუკი ეს მიგვიყვანს ისეთ რეჟიმამდე, სადაც არასაკმარისი ზედამხედველობა და უწესრიგობაა. ასეთ პირობებში მუშაობა იწვევს თანამშრომლების გადაწვას. თანამშრომლები არ არიან დარწმუნებულნი, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას (მაგალითად, ლეგიტიმური ძალის მინიმალურად და პროპორციულად გამოყენება), მათ არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, რაც იწვევს მათ იმედგაცრუებას და უქმნის დაუცველობის განცდას. ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მუშაობა ზოგადად დაკავშირებულია საკმაოდ დიდ სტრესთან, არანორმირებულ გრაფიკთან, შვებულებით სრულად სარგებლობის შეუძლებლობასთან. აქედან გამომდინარე, პენიტენციური დაწესებულებებში დასაქმება არ ითვლება მიმზიდველად, ამავდროულად თანამშრომელთა დენადობა დაწესებულებებიდან საკმაოდ მაღალია, რის გამოც ვერ ხერხდება კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების შენარჩუნება. მცირე რაოდენობით დარჩენილი პერსონალი (განსაკუთრებით დიდი ზომის დაწესებულებებში) ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს, რის შევსებასაც ახდენს ციხეებში დამკვიდრებული კრიმინალური სუბკულტურა და მის ფარგლებში არსებული არაფორმალური ჯგუფები.

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება, ისე საქართველოში არსებულ პრაქტიკა აჩვენებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი არის არასაკმარისი ადამიანური რესურსი, რის ჩანაცვლებასაც ადმინისტრაცია ცდილობს მართვის პროცესში პატიმრების ჩართვით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ციხის ფორმალური მმართველობის ხარვეზებით წარმოქმნილ სიცარიელეს ციხის ბანდები ავსებენ. როგორც წესი, ციხის ფორმალურ მმართველობაში დეფიციტი ჩნდება მაშინ, როდესაც პატიმრებსა და პერსონალს შორის ფარდობითი სხვაობა მაღალია. მაგალითად, ბრაზილიაში 137 პატიმარზე 1 თანამშრომელი მოდის, რაც, რასაკვირველია, ქმნის პრობლემებს დაწესებულების კონტროლის კუთხით. მსგავსი მდგომარეობაა მოლდავეთშიც, „ბარენესტის“ ნახევრად ღია კოლონიაში, სადაც 2017 წელს 700 პატიმარი და 184 ციხის თანამშრომელი იყო. საქართველოში ამ კუთხით სრული დისბალანსია თანამშრომლებისა და პატიმრების რაოდენობას შორის. გამონაკლისს წარმოადგენს N16 დაწესებულება და სწორედ ამ დაწესებულებაშია შექმნილი კრიმინალური სუბკულტურისგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი გარემო.

რეკომენდაცია:

- **დეტალურად განისაზღვროს დაწესებულების პერსონალის ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები (განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებისას) განხორციელდეს პერსონალის გადამზადება და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, პრაქტიკაში გამოიყენონ არსებული უფლებამოსილება;**
- **უზრუნველყოფილი იყოს გონივრული ბალანსი დაწესებულების პერსონალსა და თანამშრომლებს შორის;**
- **გაუმჯობესდეს დაწესებულების პერსონალის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები;**
- **დაწესებულების მართვა განხორციელდეს უფლებამოსილების დელეგირებისა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს თანამშრომელთა განტვირთვასა და ცალკეული კადრის გადინების შემთხვევებში ციხის მართვის მდგრადობას;**
- **გადაიდგას ნაბიჯები დაწესებულების პერსონალის ხელფასების ზრდისა და სხვა სახის წახალისების მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით;**
- **მიღებულ იქნას ზომები, რათა პერსონალს მუდმივად არ უხდებოდეს ზეგანაკვეთური მუშაობა, პერიოდული ზეგანაკვეთური შრომისთვის თანამშრომლებს მიეცეთ კანონით გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურება. ასევე უზრუნველყოფილნი იყვნენ დასვენებისა და კუთვნილი შვებულების სრულად გამოყენების შესაძლებლობით;**
- **გადაიდგას ნაბიჯები პერსონალის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით (გადაწვის ტრენინგები; თანამშრომლების ფსიქოლოგის შტატის განსაზღვრა და სხვა), რაც უკავშირდება სტრესულ სამუშაო გარემოს და მათ გადაწვას მუშაობის პროცესში.**

8) პატიმართა მოტივირების სისტემა

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება. ადგილობრივი პრაქტიკის კვლევამ აჩვენა, რომ პატიმრების სურვილი, ჩაერთონ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში, დაბალია, რადგან მათ არ აქვთ რეალური განცდა, რომ ამ პროცესში ჩართვის შემთხვევაში ისარგებლებენ რაიმე სახის შეღავათით, მათ შორის, ყველაზე სასურველი წახალისების ფორმით - ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემით (უკრაინაში პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გააქტიურების მეშვეობით კრიმინალური სუბკულტურის გავლენა შემცირდა). წახალისების სისტემა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, რომ პატიმრებს შორის ასეთი სახის პროგრამებში ჩართვა, რბილად რომ ვთქვათ, მოსაწონ საქციელად არ ითვლება. კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანია პატიმრებს ჰქონდეთ იმის გარანტია, რომ სუბკულტურულ ნორმებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც მათთვის საკმაოდ დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, მათ ექნებათ შეღავათები და მხარდაჭერა დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან. პატიმარს უნდა ჰქონდეს ცხადი არჩევანი, ორ ღირებულებით სისტემას შორის და ნათლად ხედავდეს სუბკულტურის კანონისმიერ და მისთვის მიმზიდველ ალტერნატივას. პატიმრის მიერ სუბკულტურულად არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმას (სარეაბილიტაციო-საგანამანათლებლო პროცესებში ჩართვა) უნდა ანეიტრალებდეს პოზიტიური, ლეგიტიმური სარგებლის მიღების მოლოდინი, რაც იქნება არაფორმალური გავლენების საპირწონე და პატიმარს გაუჩენს მოტივაციას არ დაემორჩილოს სუბკულტურულ მოსაზრებებს სწავლასა და მუშაობასთან დაკავშირებით. ასეთი სახის სისტემური მიდგომებისა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვის არარსებობა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ დაწესებულებების უდიდეს ნაწილში კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური ჯგუფების გავლენები საკმაოდ დიდია. ავტორიტეტულ პატიმრებს აქვთ გავლენა ისეთი სახის პროცესებზე, რისი კონტროლიც პირდაპირ ადმინისტრაციის უფლებამოსილებას წარმოადგენს. კერძოდ, პატიმართა მიღება-განთავსების პროცესზე; საჩივრების გაგზავნაზე; რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესზე; სამედიცინო მომსახურეობაზე; კონფლიქტების მოგვარებაზე; პატიმრებისთვის

გარკვეული სახის საყოფაცხოვრებო ნივთების მიწოდებაზეც კი. არსებული გარემო, სრულად უკარგავს ავტორიტეტს დაწესებულების ადმინისტრაციას; პატიმრები ვერ ხედავენ რაიმე სახის შეღავათების მიღების შესაძლებლობას და, ნებით თუ უნებლიედ, სრულად ეწერებიან არსებულ სუბკულტურულ გარემოში. შესაძლოა, უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ პატიმრების დიდი ნაწილი, სუბკულტურის წევრებს უფრო მიიჩნევს საკუთარი უსაფრთხოების გარანტად, ვიდრე დაწესებულების ადმინისტრაციას. გამონაკლისია N16 დაწესებულება, რომლის კონცეფცია შესაძლოა გამოყენებული იქნას სხვა ციხეების მოდიციფირების მიმართულებით.

რეკომენდაცია:

- **ჩამოყალიბდეს პატიმართა მოტივირების სისტემა, რომელიც პატიმრებს შესაძლებლობას მისცემს გადადგან ნაბიჯები სუბკულტურული წესების წინააღმდეგ, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მათ პირად უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანია აღნიშნული ნაბიჯის საპასუხოდ მათ გაუჩნდეთ რეალური შეღავათების მიღების პერსპექტივა.**

თ) ინსტიტუციური კულტურა და ხელისუფლების პოლიტიკური ნება

მნიშვნელოვანია კითხვა - რატომ აწყობს ან/და უწევს ციხის ადმინისტრაციას არაფორმალური ჯგუფებთან თანამშრომლობა? გარდა იმ ფაქტორებისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ეს პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკური ნების არარსებობას. დაწესებულებების მართვის პროცესში რეალური ცვლილებების განხორციელება, ფაქტობრივად, შეუძლებელია პოლიტიკური მხარდაჭერისა და პოლიტიკური ნების არსებობის გარეშე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ციხის ადმინისტრაცია პირდაპირ იღებს მითითებას პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან, რომ ნებისმიერ ფასად დაწესებულებებში შეინარჩუნოს სიწყნარე, არ იწერებოდეს საჩივრები შიგნით არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და ზოგადად დაწესებულებიდან არ გამოვიდეს ინფორმაცია, რომელიც დააზიანებს სამინისტროს რეპუტაციას. უფრო მეტიც, დაწესებულების დირექტორებს მიღებული აქვთ მკაფიო გზავნილი, რომ ნებისმიერი ხმაური და პრობლემა მათ თანამდებობის ფასად დაუჯდებათ. არსებული სიტუაცია ციხის ადმინისტრაციას არ აძლევს დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას და ფაქტობრივად ხელ-ფეხს უკრავს უსაფრთხოების მართვის რეალური ინსტრუმენტების გამოყენებისა და სუბკულტურასთან ბრძოლის მიმართულებით. ამ ფორმით, სამინისტრო პირდაპირ უბიძგებს დაწესებულების ადმინისტრაციას ციხის მართვის პროცესში გამოიყენოს პატიმართა არაფორმალური ჯგუფები. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს პენიტენციური სისტემის დეცენტრალიზაცია - დაწესებულების ადმინისტრაციას მიეცეს შესაძლებლობა მართვის პროცესში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც უწყებათაშორის თანამშრომლობას მოითხოვს); პერსონალისთვის განისაზღვროს კონკრეტულად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო სცენარს და მოქმედების ჩარჩოს; სამინისტროს დონეზე კი ჩამოყალიბდეს შიდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს დაწესებულების საქმიანობას ადგილებზე. ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ მყარი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში. ნებისმიერი სახის ცვლილებები, რაც ამ სისტემის რეფორმირებას ეხება, ცხადია უმტკივნეულოდ არ ჩაივლის და დიდი ალბათობით, გამოიწვევს სერიოზულ წინააღმდეგობას, განსაკუთრებით სისტემის შიგნით. ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს ჩამოყალიბებული ჰქონდეს მკაფიო ხედვა, სრულად გაემიჯნოს კრიმინალურ სისტემას როგორც დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ლეგიტიმური ძალა, ასევე მაქსიმალურად უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. საზოგადოების ჩართულობა და მხარდაჭერა, მოქალაქეებისა და სახელმწიფოს თანხვედრა ღირებულებით საკითხებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა მსგავსი ტიპის რეფორმა წარმატებით ჩატარდეს.

როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი პრაქტიკა აჩვენებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის პროცესში, ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია დაწესებულების პერსონალში არსებული ინსტიტუციური კულტურა. როგორც უკვე აღინიშნა, ციხეებში დაწესებულების პერსონალსა და კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის თანამშრომლობას ისტორიული წანამძღვრებიც აქვს. არსებული პრაქტიკაც აჩვენებს, რომ თანამშრომლები იმავე ტერმინებით (ჟარგონებით) საუბრობენ პატიმრებთან, რა სალაპარაკო ტერმინოლოგიაც გააჩნიათ პატიმრებს ერთმანეთთან ურთიერთობისას; ხშირია ფამილარული დამოკიდებულებები პერსონალსა და პატიმრებს შორის; რიგ შემთხვევაში იკვეთება პერსონალის უთანასწორო დამოკიდებულება პატიმრების სხვადასხვა ჯგუფების მიმართ, აშკარად გამოხატული დისკრიმინაციული ნიშნებით. განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, რასაც კრიმინალური სუბკულტურის იერარქია განსაზღვრავს. ასეთი სახის მიდგომები პირდაპირი ახალისებს კრიმინალურ სუბკულტურას და პატირებს შორის ძალადობას დაწესებულებებში. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელთა გადამზადების გარდა, ჩამოყალიბდეს მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემა. გარდა ამისა, კვლევამ ცალსახად გამოკვეთა პრივილეგირებული პატიმრების არსებობა, რაც ვერ მიიღწევა დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე. ამ ტიპის თანამშრომლობა კრიმინალური სუბკულტურისა და ინსტიტუციური კულტურის შემადგენელი ნაწილია და საკმაოდ დიდ რისკებს შეიცავს. არსებულ ატმოსფეროში, პატიმრებს არ უჩნდებათ არანაირი სურვილი, არსებული წესების წინააღმდეგ წავიდნენ. ისინი პირდაპირ ხედავენ, რომ არსებულ იერარქიულ სისტემას, მხარდაჭერა აქვს როგორც პატიმრების გარკვეული ჯგუფის, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდანაც, შესაბამისად პატიმრებს არ სურთ წინააღმდეგობა

გაუწიონ სუბკულტურულ წესებს, რაც პირდაპირ შეიძლება უკავშირდებოდეს მათ პირად უსაფრთხოებასა და კომფორტს. ციხის ადმინისტრაციის ნებისმიერი წარმომადგენელი ერთმნიშვნელოვნად უნდა აფიქსირებდეს ყველა პატიმრის მიმართ თანაბარ დამოკიდებულებას, რაც გარკვეულწილად აუცილებლად შეცვლის კლიმატს დაწესებულებებში. ასეთი სახის მანკიერი სტერეოტიპების მსხვრევის გზაზეც საჭიროა პოლიტიკური ნების არსებობა, კონკრეტული ფუნქციების განსაზღვრა და პერსონალის მხარდაჭერა. სახელმწიფოს ნება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სხვადასხვა უწყების ურთიერთობაზე კრიმინალურ ელემენტებთან, როგორც ციხის შიგნით, ასევე მის გარეთ. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევამ აჩვენა ციხის ადმინისტრაციის, არაჯანსაღი (მაღალი ალბათობით კორუფციულიც) ურთიერთობა კრიმინალურ ავტორიტეტებთან ციხის შიგნით, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ტიპის კავშირებისა და გავლენების აღმოფხვრა განხორციელდეს ციხის მიღმაც. ნებისმიერი ეჭვი კრიმინალურ ავტორიტეტებთან სავარაუდო თანამშრომლობისა თუ გარიგების შესახებ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს მიერ კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის წარმატებით განხორციელების პერსპექტივას. სახელმწიფოს პოლიტიკური ნება სწორედ ასეთი სახის პროცესებიდან მათ დისტანცირებაში უნდა გამოიხატებოდეს. სხვაგვარად, ის ფრაგმენტული ნაბიჯები, რაც ზოგ შემთხვევაში იდგმება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, მხოლოდ ფასადურ ხასიათს ატარებს და რეალურ შედეგს ვერ მოიტანს.

რეკომენდაციები:

- **გადაიდგას ნაბიჯები სისტემის დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რასაც თან უნდა ახლდეს პერსონალის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, მათი მხარდაჭერა მოვალეობის შესრულების პროცესში და ეფექტური მონიტორინგის/სუპერვიზიის სისტემა;**
- **განხორციელდეს პენიტენციური სისტემის ფუნდამენტური მოდიფიცირება არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ მკაფიოდ გამოხატოს კრიმინალური ჯგუფების გავლენების შემცირების ნება, უარი თქვას მათთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობაზე, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზითა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით ჩამოაყალიბოს კრიმინალური სუბკულტურასთან ბრძოლის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა.**